დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 12 - 18 აგვისტო

N 34 1552

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## საქართველოსთვის, ბიჭებო, სპორტით! 3

## ლაზარე ჯორბენაძე, რომელიც 2023 წლის 3 აგვისტომდე ზურაბ ჯორბენაძე იყო, 4



# 82 636

## საგანგაშო სტატისტიკას ასაჯაროებს!

## პარიზის ღვთისგმობის ბაზარი 8

### ლალი მოროშკინა:

პირბადეებით დაწყებული, ვაქცინებით დასრულებული, ყველაფერი გამოსაძიებელია!




14

## ვინ უღალატა და ვინ ერთგულა ზვიადს 20



### პროფესორი იგორ კვესელავა

### ხელს ადებს!

## დანიელთა ძლევენი 7

„მაპატიოს ღმერთმა, თუ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ გარემოცვა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ბოლო მომენტში შემორჩა, შევარდნაძის ხროვის მიერ იყო შერჩეული!“

12



## აი დოკუმენტი, რომელიც არჩევნების შემდეგ ნაცრეჟიმს გაასამართლებს!

### დავით ქართველიშვილი:



ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ამერიკული „ცერეუს“ თანამშრომელი ანა ჟვანია 2013 წლის ბოლოს საქართველოდან სააკაშვილთან ერთად გაქრა! 10



## შენთვის შესასვლელად ბუტკაც კი არ მემეტება! 11



## სტალინმა ალმაშენებლის ანდერძი დაარღვია! 15

*მიხეილ სააკაშვილი, რომელიც დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელების შეწყალებისათვის მისჯილ 6-წლიან პატიმრობას ციხის ნაცვლად კლინიკა „ვივამედში“ იხდის, ოროთახიანი ლუქს-პალატიდან სამოთახიან ლუქს-პალატაში გადაიყვანეს.*



# უპირველესი ნაცჯალათი ციხის მაგივრად უკეთეს ლუქს-პალატაში გადაიყვანეს!




ჰო, **იმის მაგივრად, რომ სამოქალაქო კლინიკის ლუქს-პალატაში ორწლიანი კოტრიალის შემდეგ გამოჯანმრთელებული, მოსუქებული და მოფერიანებული მთავარი ნაცჯალათი ციხის საკანში დაებრუნებინათ, კიდევ უფრო დიდ და კიდევ უფრო კომფორტულ სამედიცინო აპარტამენტში გადააბრძანეს.**

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება მსჯავრდებული და ბრალდებული სააკაშვილისათვის უფრო ვრცელი, უფრო ტევადი და უფრო კეთილმოწყობილი ლუქს-პალატის გამოყოფით არამხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და სისხლიანი დამნაშავე მაქსიმალურ განცხრომაში ჰყავდეს, არამედ წინასაარჩევნო კამპანიაში უფრო აქტიურად და ეფექტიანად ჩართვაშიც უწყობს ხელს.

სხვა თუ არაფერი, **სააკაშვილი, პოლიტიკური კონსულტაციების გასამართად და წინასაარჩევნო კამპანიის დასაგეგმად, სამოთახიან ლუქს-პალატაში ერთდროულად უფრო მეტი ნაცის მიღებას შეძლებს, ვიდრე ეს ოროთახიან პალატაში იქნებოდა შესაძლებელი.**

მერე რა, რომ მსჯავრდებული სააკაშვილი უცხო ქვეყნის — უკრაინის მოქალაქეა და კანონი არ აძლევს უფლებას, საქართველოს წინასაარჩევნო კამპანიაში იყოს ჩართული? **საქართველოს ხელისუფლებას კანონის უზენაესობა რომ ანალვლებდეს, სააკაშვილთან მიმართებაში შერჩევითი სამართლით არ იხელმძღვანელებდა და მსჯავრდებულ ნაცბელადს საქართველოს ციხეებში მსხდომ დანარჩენ პატიმრებზე უპირატეს მდგომარეობაში არ ჩააყენებდა!**

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა დიდ ნაწილს გაცილებით მსუბუქი დანაშაულები აქვს ჩადენილი, ვიდრე სააკაშვილს, ისინი სასჯელს ციხის საკანში იხდიან, სააკაშვილი კი კერძო კლინიკის აწ უკვე სამოთახიან აპარტამენტში ნებივრობს!

ის კი არა, **ძალიან ბევრი პატიმარი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ათჯერ უფრო მძიმეა, სასჯელს მაინც ციხის საკანში, საუკეთესო შემთხვევაში კი, ციხის საავადმყოფოში იხდის მაშინ, როცა მათზე ათჯერ ჯანმრთელი სააკაშვილი სამოქალაქო კლინიკის ლუქს-პალატაში კოტრიალობს!**

**არ არის ეს** უსამართლობა?

**არ არის ეს** კანონის უზენაესობის ფეხებზე დაკიდება?

**არ არის ეს** საქართველოს ციხეებში მსხდომი პატიმრების დაცინვა და დისკრიმინაცია?

**რა თქმა უნდა, არის!**

თუ ვინმე იმას ფიქრობს, რომ სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანდებოდა და ჩვეულებრივ პატიმრებთან შედარებით პრივილეგირებული უნდა იყოს, ძალიანაც ცდება, რადგან კანონი და სამართალი მსგავს პრივილეგიებს არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, მსჯავრდებული სააკაშვილისათვის მისი ექს-პრეზიდენტობა შემამსუბუქებელი კი არა, დამამძიმებელი გარემოებაა, რადგან პრეზიდენტს რიგით მოქალაქეზე მეტად მოეთხოვება, კანონი დაიცვას და დანაშაული არ ჩაიდინოს!

მოკლედ, **მსჯავრდებული სააკაშვილის ყველა სხვა პატიმარზე მაღლა დაყენება, მისთვის პრივილეგიების მინიჭება და სასათბურე პირობების შექმნა კანონის მოთხოვნა კი არა, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებაა!**

შესაბამისად, გამოჯანმრთელებული სააკაშვილის ციხეში დაბრუნებაც კანონსა და სამართალზე კი არა, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული!

მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლები ხელს ექიმებისაკენ იშვერენ — როცა ისინი გვეტყვიან, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მისი ციხეში გადაყვანის საშუალებას იძლევა, მაშინვე გადავიყვანთო, მაგრამ ქართველი საზოგადოება ისეთი გულუბრყვილო ნამდვილად არ არის, რომ დაიჯეროს, თითქოს ხელისუფლებას ექიმები არ რთავენ ნებას, სააკაშვილი ციხეში დააბრუნოს.

**მაშ, რატომ არ აბრუნებს საქართველოს ხელისუფლება მსჯავრდებულ სააკაშვილს ციხის საკანში?**

ნაკლებად სავარაუდოა, „ქართულ ოცნებას“ იმის ეშინოდეს, რომ სააკაშვილის ციხეში გადაყვანის გამო ქვეყნის შიგნით — კოლექტიური ნაცები, ქვეყნის გარედან კი ნაცების პატრონები დააწიოკებენ. ეს ხელისუფლება **საქართველოს „დაუძინებელი მეგობრებისაგან“** ისედაც ისეა შერისხული და შეჩვენებული, **ევრო-ამერიკელი ბიძია-დეიდები** ერთი ტონით მაღალ ხმაზე თუ დაუცაცხანებენ, ამით არაფერი შეიცვლება.

ესე იგი, გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლებას აწყობს, სააკაშვილი ციხის ნარის მაგივრად „ვივამედის“ სამოთახიანი ლუქს-პალატის ორთოპედიულ საწოლზე იყოს წამოგორებული!

ძნელი სათქმელია, რა პოლიტიკურ სარგებელს მოელის „ქართული ოცნება“ იმისაგან, რომ სააკაშვილის ციხეში გადაყვანა-არგადაყვანის თემა მუდმივად დღის წესრიგში იდგეს, მაგრამ ერთი რამ ცალსახა და უდავოა: **სააკაშვილის ციხეში გადაყვანის მაგივრად უფრო კომფორტულ ლუქს-პალატაში გადაყვანით ხელისუფლება ქართველ ხალხს, განსაკუთრებით კი პატიმრებს, მწარედ დასცინის და აბუჩად იგდებს!**

ხალხის დაცინვითა და აბუჩად აგდებით კი ჯერ არცერთ ხელისუფლებას არაფერი მოუგია!

ჰოდა, **ნურც „ქართულ ოცნებას“ გაუკვირდება, თუ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ძალიან ბევრი ამომრჩევლის ხმას სწორედ იმის გამო დაკარგავს, რომ სააკაშვილს ისედაც მიზერულ სასჯელს ციხის მაგივრად „ვივამედის“ სამოთახიან ლუქსში ახდევინებს!**

საქართველოს ხელისუფლება ამის პოლიტიკურ საფასურს აუცილებლად გადაიხდის და ეს სამართლიანი იქნება!

***ჯაბა ხუბუა***

> **„ქართულ ოცნებას“ ნუ გაუკვირდება, თუ ძალიან ბევრი ამომრჩევლის ხმას სწორედ იმის გამო დაკარგავს, რომ სააკაშვილს ისედაც მიზერულ სასჯელს ციხის მაგივრად „ვივამედის“ სამოთახიან ლუქსში ახდევინებს!**

## ხელისუფლება ქართველ ხალხს, განსაკუთრებით კი პატიმრებს, მწარედ დასცინის!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

როდესაც **„დემოკრატიის ფესტივალს“** უწოდებ ღონისძიებას, სადაც გამოფენილია **სააკაშვილის სურათები,** იქ ნათელია, რომ სინამდვილეში, ვიღაც ცდილობს, საქართველოში ჩაატაროს ავტორიტარიზმის ფესტივალი და **დააბრუნოს ავტორიტარიზმი.**

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

რუსეთის ჯარმა ჩვენი ტერიტორია **2007 წელს დატოვა,** არცერთი რუსი ჯარისკაცი საქართველოში **აღარ იყო 2007 წელს.** კითხვა დასვით — **როგორ მოახერხა ამ უგუნარმა, გამყიდველმა, სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომ რამდენიმე თვეში უფრო დიდი ძალით დააბრუნა?** როცა შენ ხარ ხელისუფლება, როცა შენ გაქვს ძალა, ეს რისკები გათვალო, **შენს ხალხს აარიდო ომი იქნება, ესკალაცია თუ ნებისმიერი კონფლიქტი,** ეს შენი პასუხისმგებლობაა.

„რეზონანსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

არაერთხელ დაგვიდასტურებია, რომ **საქართველო არის პარტნიორი, მეგობარი ქვეყანა,** მაგრამ მეგობრობა და პარტნიორობა ცალმხრივი ვერ იქნება.

„TV იმედი“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

დამნაშავეები **სასჯელს ციხეში უნდა იხდიდნენ** და არა — **ოროთახიან სამედიცინო აპარტამენტებში.**

„რეზონანსი“



**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერი*

აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებით, **სააკაშვილისთვის** არაფერი არ შეცვლილა, **როგორც იყო წამოწოლილი „ვივამედში“, ისე გააგრძელებს წოლას.**

„პრაიმტაიმი“

***2024 წლის 11 აგვისტოს ოფიციალურად დაიხურა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართული ზაფხულის 33-ე ოლიმპიადა, საიდანაც საქართველოს დელეგაცია 7 მედლით ხელდამშვენებული, უფრო სწორად, მკერდდამშვენებული დაბრუნდა!***

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ოლიმპიელები **ტრიუმფალური თალის ქალაქიდან ტრიუმფით დაბრუნდნენ!**

**7 ოლიმპიური მედალი,** აქედან 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო!

**7 ოლიმპიური მედალი** ერთ ციცქნა საქართველოს, რომელიც ოლიმპიადის მონაწილე 206 ქვეყნიდან, ალბათ, 7 ქვეყანასაც არ აღემატება ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით!

**7 ოლიმპიური მედალი** საქართველოს, რომელსაც პარიზის ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაცია ჰყავდა — სულ რაღაც 28 სპორტსმენი!

**საქართველო პარიზის ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში, 206 ქვეყანას შორის, 24-ე ადგილზე გავიდა და გაუსწრო მასზე ბევრად უფრო დიდ, ბევრად უფრო ძლიერ, ბევრად უფრო მდიდარ და განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს, როგორებიც, მაგალითად, ბელგია, შვეიცარია, ჩეხეთი, დანია, ავსტრია, საბერძნეთი, პოლონეთი, ხორვატია, სერბეთი, პორტუგალია და სხვები არიან.**

ჩვენს სამეზობლოს რაც შეეხება, საქართველომ გუნდურ ჩათვლაში ჩამოიტოვა 81-მილიონიანი თურქეთი, რომელსაც პარიზის ოლიმპიადაზე არცერთი ოქროს მედალი არ მოუპოვებია; 10-მილიონიანი აზერბაიჯანი, რომელმაც ჩვენზე ერთით ნაკლები — 2 ოქროს მედალი აიღო და სომხეთი, რომელიც ოქროს მედლის გარეშე დარჩა.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს აქამდე 3 ოლიმპიური ოქროს მედალი 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადაზე ჰქონდათ მოპოვებული, თუმცა, მაშინ საერთო გუნდურ ჩათვლაში ახლანდელზე სამი პოზიციით დაბალი — 27-ე ადგილი დავიკავეთ, რადგან 3 ოქროსთან ერთად 3 ბრინჯაო ავიღეთ და ვერცხლის მედალი არ გვქონია. ისიც აღსანიშნავია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე, სადაც 6 მედალი გვერგო, საქართველოს 35 სპორტსმენი ჰყავდა, ანუ 7 მონაწილით მეტი, ვიდრე ახლა — პარიზის ოლიმპიადაზე, სადაც 7 მედალი ვირგუნეთ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **პარიზის ოლიმპიადა, რომელიც სამარცხვინო ცერემონიალით გაიხსნა და საორგანიზაციო კუთხითაც ერთი-ერთი ყველაზე უარესი იყო აქამდე ჩატარებულ ოლიმპიადებს შორის, ქართველებისათვის, სპორტული თვალსაზრისით, ტრიუმფალური გამოდგა.**










# საქართველოსთვის, ბიჭებო, სპორტით!









ტატო გრიგალაშვილი, ილია სულამანიძე, გივი მაჭარაშვილი, ლაშა გურული

## ქართველი ოლიმპიელები ტრიუმფალური თალის ქალაქიდან ტრიუმფით დაბრუნდნენ!

საქართველოსათვის ისიც საამაყოა, რომ პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორთა მიერ გახსნის ცერემონიალზე ჩადენილ ღვთისგმობასა და ქრისტიანობის შეურაცხყოფას **ქართველებმა პარიზშივე, ძიუდოს დარბაზში, ღვთისმშობლის ხატის დემონსტრირებით უპასუხეს!**

საბოლოო ჯამში კი, პარიზის ოლიმპიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა ქართული სპორტის ახალი ისტორია დაწერეს, რადგან **ლაშა ბექაური** გახდა პირველი ქართველი ძიუდოისტი, რომელმაც ზედიზედ ორი ოლიმპიადა მოიგო, ხოლო **ლაშა ტალახაძე** — პირველი ქართველი ძალოსანი, რომელმაც 3 ოლიმპიადაზე 3 ოქროს მედალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოიპოვა.

ამასთან, **გენო პეტრიაშვილი** გახდა პირველი ქართველი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული — 2016 წელს, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე მან ბრინჯაოს მედალი აიღო, 2021 წელს ტოკიოში ვერცხლს დაეუფლა, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადა კი ოქროს მედლით დაასრულა.

ასე და ამრიგად, საქართველოს **გენო პეტრიაშვილის, ლაშა ბექაურისა და ლაშა ტალახაძის** სახით, 2024 წელს 3 ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს; ძიუდოისტები **ტატო გრიგალაშვილი და ილია სულამანიძე,** ასევე თავისუფალი სტილით მოჭიდავე **გივი მაჭარაშვილი** ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, ხოლო მოკრივე **ლაშა გურულმა** ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, რაც ასევე განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან საქართველოს კრივში ოლიმპიური მედალი ბოლოს 24 წლის წინათ, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ჰქონდა მოპოვებული.

ერთი სიტყვით, **2024 წელი სპორტული კუთხით საქართველოსათვის მართლაც უნიკალურია, რადგან საფეხბურთო ეროვნული ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული ისტორიული შედეგი პარიზში ქართველი ოლიმპიელების ტრიუმფით გაგრძელდა!**

**გვჯერა და დარწმუნებული ვართ, გაგრძელება კიდევ იქნება!**

ქართული სპორტი, რომელიც ქართველი კაცის უტეხ ბუნებას, მებრძოლ სულსა და სამშობლოსათვის თავდადების უნარს ყველაზე უკეთ გამოხატავს, კიდევ ბევრჯერ დაწერს საამაყო ისტორიას!

ასე რომ, **ტარიელ ჭანტურიას** ცნობილი სტრიქონები — **„საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“** — თამამად შეგვიძლია, ასეც ავახმიანოთ — **საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სპორტით!**

***ჟაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ჩიქოვანი**
*საქართველოს თავდაცვის მინისტრი*

დღესაც **ნაცმოძრაობა რომ იყოს ხელისუფლებაში,** ვიქნებოდით ომის ქარცეცხლში.

„რეზონანსი“



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

მთავარი გამოწვევაა, რომ **ქვეყანა აგენტურას არ გავანადგურებინოთ** — განვითარება, მშვიდობიანი და **ღირსეული სვლა ევროპისკენ** უნდა გავაგრძელოთ!

„ინტერპრესნიუსი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*ჯანდაცვის მინისტრი*

სასაცილო გახდა **მიხეილ სააკაშვილის** საპატიმრო უფლებებზე მოარული სიკვდილის ქრონიკები — **სააკაშვილი მოიხდის სასჯელს ყველა სტანდარტის დაცვით,** იმისგან განსხვავებით, როგორიც იყო პენიტენციური სისტემა მისი მმართველობის დროს.

„ინტერპრესნიუსი“



**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

**ბიძინა ივანიშვილს დებატებში ვიწვევ,** გვითხრას, რას ერჩის ამ ქვეყანას!

„ახალი თაობა“



**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*

**ზედაბალი წონის მქონე პოლიტიკოსი** ვერ გამოიწვევს ისეთ **გავლენიან, ავტორიტეტულ პოლიტიკოსსა** და საზოგადო მოღვაწეს, როგორიც **ბიძინა ივანიშვილია! ასეთი დებატები არ შედგება!**

„ინტერპრესნიუსი“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-33

**უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე სულისშემძვრელ სტატისტიკას აქვეყნებს და განგაშის ზარებს არისხებს. მისი განცხადებით, სააკაშვილმა, მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სანაცვლოდ, უცხოელთაგან, სავარაუდოდ, დიდძალი ქრთამი აიღეს, რის გამოც, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით, გამოძიება უნდა დაიწყოს:**



# „საქართველოში უცხო ქვეყნის, სულ მცირე, 300 ათასი აგენტი გვიზის!“

## ლაზარე ჯორბენაძე:

# სააკაშვილმა, მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭეს 82 636 უცხოელს, რომელთა უმეტესობა თურქები, ირანელები და არაბები არიან!

— პირველ რიგში, მადლობა **ლაშა ნადარეიშვილსა და „ასავალ-დასავალს“,** რომ საშუალებას მაძლევთ, საქართველოს მოსახლეობას ჩვენი ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ თავზარდამცემი სიმართლე მოვახსენო. სააკაშვილის გარყვნილი და სისხლიანი რეჟიმის დროს, როცა ნაძირალა **„ქილერა“** ციხეში მაწამებდა და მცემდა, „ასავალ-დასავალი“ ამბობდა სიმართლეს და დღესაც ამ გზას აგრძელებს. ამ ვაჟკაცობისთვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა **ბატონ ლაშას** და მთელ თქვენს კოლექტივს. ხაზგასმით ვაცხადებ: **რაც „ასავალ-დასავალს“ აქამდე მოვუთხრე, ყველაფერი სიმართლეა და დოკუმენტებს ემყარება, ხოლო, რასაც ახლა გეტყვით, ესეც დოკუმენტებით და ფაქტებით გახლავთ გამყარებული და არცერთი სიტყვა ტყუილი არ არის!**

დავიწყოთ იმით, რომ „ნულოვანი ტოლერანტობა“, რომლითაც სააკაშვილმა ქართველ ერს გენოციდი მოუწყო **ადეიშვილთან, მერაბიშვილთან, ახალაიებთან, კოდუასთან** და სხვა ვირთხებთან ერთად, მოიტანეს იმ მოსამართლეებმაც და პროკურორებმაც, რომლებიც სისტემაში დღემდე არიან. **ეს მოსამართლეები და პროკურორები თავიდან ბოლომდე არიან ჩათრეული იმ საუკუნის დანაშაულში, რომელიც ასევე სააკაშვილმა დაიწყო და დღესაც გრძელდება.** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოვითხოვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ უცხოელს მიანიჭა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა. მონაცემები თავზარდამცემი აღმოჩნდა...

**— ამის შესახებ საქართველოში ლეგენდები დადის. მაინც რამდენი უცხოელი გახდა სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს მოქალაქე?**

— საერთოდ, საქართველოს მოქალაქეობა პირს ენიჭება ან ქორწინებით ან დაბადებით, ანდა ნატურალიზაციის წესით. 2004-2013 წლებში მიხეილ სააკაშვილმა საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა 53 110 მოქალაქეს. ეს ის კონტინგენტია, რომელიც საქართველოსთან არავითარ შემხებლობაში არ იყო. ესენი არიან: **ირანელები, ჩინელები, ინდოელები, ერაყელები, პაკისტანელები, თურქები, არაბები...** 2004 წელს სააკაშვილმა საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ 45 კაცს მიანიჭა; 2005 წელს — 1312 კაცს; 2006 წელს — 3160 კაცს; 2007 წელს — 5839 კაცს; 2008 წელს — 4863 კაცს; 2009 წელს — 6718 კაცს; 2010 წელს — 5905 კაცს; 2011 წელს — 8559 კაცს; 2012 წელს — 7082 კაცს; 2013 წელს — 9627 კაცს. ეს არის ოფიციალური მონაცემები, სადაც ჩანს, რომ განსაკუთრებით 2011-2013 წლებში მიხეილ სააკაშვილმა **საგამონაკლისო წესით** ძალიან ბევრ უცხოელს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას **თურქები** წარმოადგენდნენ! უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სააკაშვილის მიერ ათეულათასობით ეთნიკური თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ფაქტის უკან **გიული ალასანიას მორიგი ქმარი,** ეროვნებით თურქი იდგა, რომელიც სტამბოლში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. სპეცსამსახურებს და იმ ხალხს, რომლებიც მსგავსი საკითხებით ინტერესდებიან, აქვთ ინფორმაცია, რომ სააკაშვილის დედას **გიული ალასანიას** თავისი თურქი ქმრის მეშვეობით თურქებმა დიდძალი თანხა გადაუხადეს, რათა სააკაშვილს საგამონაკლისო წესით ამდენი ეთნიკური თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭებინა!

**— საგამონაკლისო წესით ერთბაშად ამდენი უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება რამდენად კანონიერია?**

— სააკაშვილი ვალდებული იყო, დაესაბუთებინა, რატომ ანიჭებდა ამა თუ იმ პიროვნებას საქართველოს მოქალაქეობას საგამონაკლისო წესით! სააკაშვილს სათითაოდ უნდა განემარტა ყოველი ასეთი გადაწყვეტილების არსი და საქართველოს მოსახლეობისთვის არგუმენტირებულად აეხსნა, რომ კონკრეტულ თურქს, არაბს, ირანელს, ჩინელს, პაკისტანელს თუ ინდო-



## ქართველი მაგას ფეხქვეშ გაიგებს!

მიაქვთ მამული
შავბნელ
თარილებს,
ძე-ხორციელი
ხმასაც არ
იღებს...
ვიდრე წყალობას
ღმერთი გაიღებს,
მთაწმინდის
მთვარეს
ძერა წაიღებს!

ეს კაცი
ქართულ მიწებს
არიგებს,
არად დაგიდევს
არსთა
გამრიგეს...
ქართულად მაგი
ვერრას გაიგებს!
ქართველი მაგას
ფეხქვეშ
გაიგებს!

**ლაშა ნადარეიშვილი**





## კვირგვინოსნები



**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*

სამუშაო საათები რომ ამოიწურა და ჩემს შვილთან წვდომა აღარავის ექნებოდა, მომდევნო დღეებიც შაბათ-კვირა იყო, **დაავლეს ხელი და გადაიყვანეს სხვა ფლიგელში, სასტუმროს უწოდებენ იმ ნაწილს.** იქ მერვე სართულზე მოათავსეს. აღმოჩნდა, რომ **ტელევიზორიც არა აქვს,** თუმცა, დაპირება იყო, რომ **ყველაფერი იგივე უნდა ჰქონოდა.** ემატებოდა კიდევ რაღაც სავარჯიშოები, რომლებიც ექიმების რეკომენდაციით იყო. **იქ არც ეს სავარჯიშოებია.**

„რეზონანსი“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*

„ვივამედის“ ხელმძღვანელმა მითხრა, რომ **მიხეილ სააკაშვილი უკეთეს და უფრო დიდ ოთახში გადაიყვანეს,** სადაც ორის ნაცვლად, სამი ოთახი აქვს და თუ არ ვცდები, **ტელევიზორიც ექნება.**

„რეზონანსი“



**ზურაბ ჩხაიძე**
*„ვივამედის“ კლინიკური დირექტორი*

**სააკაშვილის** პირობები არ გაუარესებულა, აქამდე **ოროთახიან ლუქსში** იყო, ახლა **სამოთახიან ლუქსშია.**

„რეზონანსი“



**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

ოპოზიციას გადაწყვეტილი აქვს, **სააკაშვილის მოწოდება გაიზიაროს** და დანებით და ჩანგლებით შეიარაღებულები **გამოვიდნენ ქუჩაში ხელისუფლების დასამხობად.** ბოდიში მოიხადონ, საქართველოს ხელისუფლებას აქვს იმდენი ძალა, რომ დაიცვას ქვეყნის უსაფრთხოება! **საქართველოში რევოლუცია არ მოხდება!**

„საერთო გაზეთი“



**ცოტნე ანანიძე**
*აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“*

**მიშა** იბრძოდა არა საქართველოსთვის, არამედ **ებრძოდა საქართველოს** სკამისთვის. **ქართული ჯარი კი ყოველთვის იყო და არის საამაყო!**

„პრაიმტაიმი“

# „ყარაბაღიდან დევნილი სომხებისთვის სომხური ლობი აფხაზეთში ქართველების სახლებს გამალებით ყიდულობს!“

ელს, ამა და ამ დამსახურების გამო საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებდა. ასეთი განმარტება და დასაბუთება სააკაშვილს არასოდეს გაუკეთებია, რაც ქმნის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ **სააკაშვილმა თითოეული უცხოელისთვის საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სანაცვლოდ დიდძალი ქრთამი აიღო!** სააკაშვილის ეს ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას!

**— კიდევ ერთხელ მკაფიოდ განვმარტოთ, საერთო ჯამში, იმ 53 110 უცხოელზე, რომლებსაც საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, სააკაშვილი ვალდებული იყო, სათითაოდ გაეკეთებინა დასაბუთება და განმარტება?**

— დიახ, სააკაშვილი 53 110-ჯერ უნდა გამოსულიყო და ხალხისთვის დაესაბუთებინა, თუ რატომ აკეთებდა ამას, რადგან **საგამონაკლისო წესი** სწორედ იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას საერთოდ შემხებლობა არა აქვს ქვეყანასთან, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული დამსახურების გამო მოქალაქეობას ანიჭებენ. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის კიდევ ასეთი გრაფა — **„მოქალაქეობის აღდგენა“...** ცნობისათვის, სააკაშვილმა სულ 250 პიროვნებას აღუდგინა მოქალაქეობა.

**— ეს დამღუპველი ტენდენცია მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროსაც გაგრძელდა?**

— ვაი, რომ გაგრძელდა! „ქართული ოცნების“ პრეზიდენტებმა **გიორგი მარგველაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა** საგამონაკლისო წესით 29 526 უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭეს. **ეს ის სალომე ზურაბიშვილია, რომლის გაპრეზიდენტების წინააღმდეგაც სასამართლოში ვიბრძოდი, რადგან იგი არის ორმაგი მოქალაქე და დღესაც პენსიას იღებს საფრანგეთიდან.** თუნდაც მისი ორმაგი მოქალაქეობის გამო, სხვა ნაკლოვანებებს რომ თავი დავანებოთ, ამ ქალის პრეზიდენტობა კანონდარღვევა იყო, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლოში საქმე წამაგებინა და **სალომე ზურაბიშვილი** პრეზიდენტად დაგვისვა.

**— გიორგი მარგველაშვილმა რამდენ კაცს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით?**

— 2014 წელს **გიორგი მარგველაშვილმა** საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა 4567 უცხოელს; 2015 წელს — 4290 უცხოელს; 2016 წელს — 4596 უცხოელს; 2017 წელს — 4464 უცხოელს; ხოლო 2018 წელს — 33348 უცხოელს.

**— სალომე ზურაბიშვილმა რა უბედურება ქნა?**

— **სალომე ზურაბიშვილმა** იმავე საგამონაკლისო წესით 2019 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა 1550 უცხოელს; 2020 წელს — 818 უცხოელს; 2021 წელს — 1786 უცხოელს; 2022 წელს — 2005 უცხოელს; 2023 წელს — 1915 უცხოელს, ხოლო 2024 წელს — 187 უცხოელს. სააკაშვილის მსგავსად, არც **გიორგი მარგველაშვილსა** და არც **სალომე ზურაბიშვილს** არცერთი დასაბუთება და განმარტება ამ ყველაფრის შესახებ არ გაუკეთებიათ, რაც გვაძლევს ეჭვის საფუძველს, რომ თითოეული ამ გადაწყვეტილების უკან ისევ და ისევ დიდძალი ფული და კორუფციული გარიგება იმალება!

საერთო ჯამში, სურათი კატასტროფულია — 2004 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, **სააკაშვილმა, მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა** პირდაპირი, საგამონაკლისო წესით, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭეს 82 636 უცხოელს, რომელთა შორის უმეტესობას წარმოადგენენ **თურქები, ირანელები და არაბები! ჩინელებზე, ინდოელებზე, პაკისტანელებზე, ბანგლადეშელებსა და აფრიკელებზე** აღარაფერს ვამბობ, ანუ **სააკაშვილმა, მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა** ქვეყანაში 82 ათასი მტერი და აგენტი შემოგვისახლეს. ახლა მოგიყვებით იმის შესახებ, თუ რა საშინელება ტრიალებს ჩვენს თავს უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვის მხრივ. სანამ ამას მოგიყვებოდეთ, მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ 2023 წლის 3 აგვისტომდე მე **ზურაბ ჯორბენაძე** ვიყავი...

**— სახელი რატომ შეიცვალეთ?**

— როცა გავაანალიზე, თუ რა საშინელებებს სჩადიოდნენ ჩემი მეგობარი და ახლობელი მოსამართლეები, მათ შორის, ჩემი პატივცემული ძმა



ზურაბ ჯორბენაძე

# „მინდა, საზოგადოებას ვუთხრა — 2023 წლის 3 აგვისტომდე ზურაბ ჯორბენაძე ვიყავი!“



ომარ ჯორბენაძე

— **ომარ ჯორბენაძე** და ჩემი პატივცემული ბიძაშვილი — **მერაბ ჯორბენაძე,** რომელიც სააკაშვილის ჯალათი მოსამართლე იყო და დღეს სააპელაციო სასამართლოში ჩემი ძმის თანამდებობაზე ზის, გადავწყვიტე, სახელი შემეცვალა და ამ გზით მაინც მომეხდინა დისტანცირება ამ სამარცხვინო ხალხისგან.

სააკაშვილს შექმნილი ჰქონდა ბილწი სისტემა — კაცს ჯერ სიბინძურეს ჩაადენინებდა, გასვრიდა და მერე გახდიდა თავისი კლანის ნაწილად. ჩემს ძმას რასაც აკეთებინებდნენ, გითხარით, მაგრამ ახლა იმას გეტყვით, ჩემს ბიძაშვილს — **მერაბ ჯორბენაძეს** რა გააკეთებინეს და რა წინაპირობა წაუყენეს, რათა ამ ბინძური და დანაშაულებრივი კლანის წევრი გამხდარიყო. **მერაბ ჯორბენაძეს** გაასამართლებინეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი **ცოტნე გამსახურდია** და სრულიად უდანაშაულო კაცი ცხრა წლით ციხეში გააშვებინეს! როგორც ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ეს განაჩენი გამოიტანეს **ვირთხა ადეიშვილის** დავალებით და დაიწერა ჩემი ძმის კაბინეტში. ეს ყველაფერი იმიტომ მოგახსენეთ, რომ 2022 წელს გაყიდული ქართული მიწების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად საჯარო რეესტრს 2022 წელს მივმართე, როგორც **ზურაბ ჯორბენაძემ,** ხოლო 2023 წელს, როგორც **ლაზარე ჯორბენაძემ,** რადგან სახელი უკვე შეცვლილი მქონდა.

**— მაინც რამდენი ერთეული და რა რაოდენობის მიწის ნაკვეთია გაყიდული უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე?**

— საშინელება და ღვთის რისხვა ტრიალებს ჩვენს თავს, დაღუპულია ქვეყანა! საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 ნოემბერს გაცემული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია 25 533 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. „ერთეულში“ შეიძლება იგულისხმებოდეს 100 კვადრატული მეტრიც და 50 ჰექტარიც... ამას ემატება 11 393 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 566 კომერციული ფართი და 59 738 ერთეული ბინა, რაც უცხოელებს, კონკრეტულად კი, ფიზიკურ პირებს აქვთ საქართველო-

*გაგრძელება მე–6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**სალომე ზურაბიშვილი** პირდაპირ ჩართულია **წინასაარჩევნო აგიტაციაში,** რაც კონსტიტუციის დარღვევაა.

„ახალი თაობა“



**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*

**სალომე ზურაბიშვილს** ყარგონულად, ნაციონალური მოძრაობის ენაზე ვუპასუხებ: **ტოლი ნახოს!** რაის სალომე ზურაბიშვილი და რაის დებატები! **ლევან ხაბეიშვილმაც კი გაუსწრო მას რეიტინგითა და ავტორიტეტით.**

26 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, **სალომე ზურაბიშვილიც ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდება.**

„ინტერპრესნიუსი“



**არჩილ გორდულაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე*

**სალომე ზურაბიშვილი** ამბობდა, რომ **დეპოლარიზაციისთვის** არის ხელსაყრელი **ნიკა გვარამიას** შეწყალება. **სადმე პოლარიზაციის შემცირება ნახეთ?** პირიქით, ჩვენი გუნდის წევრებზე, **ჩვენს ოჯახებსა და შვილებზე მიმდინარეობს ტერორი.** თითქოს საზოგადოებრივი აზრის შემზადებას ახდენენ, რათა არ იყოს გასაკვირი, რომ **სალომე ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილიც კი შეიწყალოს.**

„იმედინიუსი“



**გიორგი ამილახვარი**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*

არ არის არც **შევარდნაძის** და არც **სააკაშვილის** მთავრობა, როდესაც უწყებები არიან მოდუნებულები. **დღეს სახელმწიფო აპარატი ფეხზე დგას.**

„იმედინიუსი“



**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*

რომელიმე პროექტის დაფინანსების შეჩერება **საქართველოში არ გამოიწვევს არც კოლაფსს** და არც ქვეყნის მუშაობისა და ფუნქციონირების გაჩერებას.

„იმედინიუსი“



# ლაზარე ჯორბენაძე:

# ჩემს ბიძაშვილ მერაბ ჯორბენაძეს გაასამართლებინეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი ცოტნე გამსახურდია და სრულიად უდანაშაულო კაცი ცხრა წლით ციხეში გააშვებინეს!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ში ნაყიდი. მაგრამ ამას გარდა საჯარო რეესტრიდან გამოვითხოვე მონაცემები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მიწები და ბინებია გაყიდული უცხოელების მიერ დაფუძნებულ ფირმებზე. მონაცემები კატასტროფულია — ზემოხსენებულის გარდა, უცხოელების მიერ საქართველოში დაარსებულ ფირმებზე გაყიდულია 7 710 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 12 442 ერთეული — არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 2 196 — კომერციული ფართი და 56 930 ერთეული ბინა. მაგალითად, საგარეჯოში, დავითგარეჯისკენ მიმავალ გზაზე, 540 ჰექტარი მიწა გაყიდულია **ირანელებზე.** 2017 წელს, ჩალაუბანში, „ქართული ოცნების“ დროს, **ვინმე ჩხაიძეს** მიჰყიდეს 129 ჰექტარი მიწა, რომელმაც ეს მიწა გაასხვისა **არაბზე,** რომელსაც სახელად **ათოვერდი** ჰქვია. მან ეს 129 ჰექტარი სხვა არაბებზე დაანაწილა, გაყიდა და ასე მივიღეთ **ჩალაუბანში არაბული დასახლება-სოფელი.**

**— კიდევ რა მიწები გაიყიდა „ქართული ოცნების“ დროს?**

— მიწები გაიყიდა **სოფელ ქვემო ჭალასა და წინარეხში.** წინარეხში გაყიდულია 13 ჰექტარი, ხოლო ქვემო ჭალაში — 29 ჰექტარი, სადაც ასევე **არაბული სოფლები** შენდება. წეროვანთან — გოროვანში **არაბებზე** გაყიდულია 129 ჰექტარი, სადაც **არაბული დასახლებაა.** იგივე სიტუაციაა კოჯორში, ტაბახმელაში, წავკისში, დიდ დიღომში. ეს ყველაფერი რომ შევაჯამე, 2022 წლის მონაცემებით საქართველოში გაყიდული იყო 38 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა. 2023 წლის 1 სექტემბერს უკვე **ლაზარე ჯორბენაძის** სახელით მოვითხოვე გაყიდული ქართული მიწების შესახებ მონაცემები. **საჯარო რეესტრი მიხვდა, რომ ეს სკანდალური მონაცემები გასაჯაროვდებოდა და ინფორმაციის მიღება დამიბლოკა, რის გამოც 2024 წლის იანვარში დავწერე საჩივარი.**

2024 წლის მაისამდე ინფორმაცია არ მაღირსეს, მაგრამ მაისში მომაწოდეს ოფიციალური მონაცემები, რომელიც იმაზე უფრო თავზარდამცემი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. საქმე ის გახლავთ, რომ **ყველაფერთან ერთად ვითხოვდი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი ფირმა ჰქონდათ საქართველოში დაფუძნებული უცხოელებს.**

**ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ 31 118 ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ, ᲐᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ, 300 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲒᲕᲘᲖᲘᲡ!**

გარდა ამისა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში დაფუძნებული აქვთ 344 503 შპს. თითო შპს წელიწადში თითო მილიონს რომ ატრიალებდეს, გამოდის, რომ საქართველოში მთელი წლის განმავლობაში უცხოელები **34 მილიარდ დოლარს** მაინც ატრიალებენ, რომლითაც საქართველოს მიწა-წყალი იყიდება. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაფუძნებული აქვთ 2 851 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 157 — კომანდიტური საზოგადოება და 2 950 — სააქციო საზოგადოება. ძალიან საინტერესოა სააქციო საზოგადოება, რადგან ის, როგორც წესი, მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებზეა გათვლილი; ხოლო ჩვენთან რაც მუშაობს, მოგეხსენებათ, ყველაფერი უცხოელების მიერ არის დაფუძნებული.

**— ბოლო ორ წელიწადში გაყიდული ქართული მიწების შესახებ ცნობები არ მოგაწოდეს?**

— ბოლოს და ბოლოს, ეს ცნობაც მომაწოდეს და თქვენს მტერს, რაც მე იქ ამოვიკითხე. მოკლედ, 2022 წლის 16 ნოემბრიდან 2024 წლის 29 ივლისის ჩათვლით საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დამატებით გაყიდულია 11 223 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 3 788 — არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 13 234 ერთეული ისეთი მიწის ნაკვეთი, რომელზეც არის შენობა-ნაგებობა და 57 328 — ერთეული ბინა. საერთო ჯამში, საქართველოში 45 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა და 175 ათასი ერთეული ბინა ძირითადად თურქების, ირანელებისა და არაბების საკუთრებაა. ქვეყანა გვეღუპება! ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო, ანუ სასარგებლო მიწის ფონდი 120 მილიონი კვადრატული მეტრია. გამოდის რომ, აქედან 45 მილიონი კვადრატული მეტრი, ანუ მესამედზე მეტი უცხოელების ხელშია. ეს მონაცემები ეხება მხოლოდ იმ საქართველოს, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, თორემ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რაც ხდება, ეს კიდევ ცალკე თემაა. მაგალითად, **დადასტურებული ინფორმაციაა, რომ ყარაბაღიდან დევნილი სომხებისთვის სომხური ლობი აფხაზეთში ქართველების სახლებს გამალებით ყიდულობს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამის შესახებ აზრზე არ არის!** ანდა აზრზე არიან, მაგრამ ხმას არ იღებენ, რაც დანაშაულია. ახლა ყველაზე მთავარი — ქართული მიწების გაყიდვის პროცესში ჩართულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, მათ შორის, **სააკაშვილისა და ადეიშვილის მიერ გაბახებული სასამართლო სისტემაც!**

**— როგორ, რანაირად?**

— წინარეხში, როცა არაბებთან სასამართლო დავა მიმდინარეობდა 13 ჰექტარი ქართული მიწის უკანონოდ ხელში ჩაგდების შესახებ, გორის სასამართლოს **მოსამართლე პაპუაშვილმა** არაბები გაამართლა და საქართველოს სასამართლოში შექმნა პრეცედენტი, რომ ნებისმიერი უცხოელი, რომელმაც ქართული მიწა იყიდა, სასამართლომ გაამართლოს!

**— რა მექანიზმი აქვს საქართველოს, რომ უცხოელებზე გაყიდული ქართული მიწები ისევ უკან დავიბრუნოთ?**

— ამისათვის არსებობს ორი მექანიზმი — ერთს საქართველოს ხელისუფლება არ გააკეთებს, ხოლო მეორეს გააკეთებს თუ არა, ღმერთმა უწყის! **უცხოელებზე გაყიდული ქართული მიწების დასაბრუნებლად პირველი არის სამართლებრივი გზა — მიწების ნაციონალიზაცია!** ამას დღევანდელი ხელისუფლება არ იზამს, რადგან სააკაშვილსაც და დღევანდელ ხელისუფლებასაც უცხოეთში ერთი პატრონი ჰყავთ და ისინი ერთსა და იმავე დავალებას ასრულებენ — **ყიდიან ქართულ მიწებს!** მიზანი ერთია — მოხდეს ქართველი ერის დენაციონალიზაცია და ქართველი ერი გადაფარონ უცხოელებით, რათა პოლიტიკური დღის წესრიგი თვითონ დაამყარონ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ასი თავით სჯობს სააკაშვილის ბინძურ რეჟიმს...

**— მეორე გზა რომელია?**

— გაყიდული ქართული მიწების დასაბრუნებლად მეორე გზა პოლიტიკურია! კერძოდ, რაკი **ზვიად გამსახურდიას** ლეგიტიმური ხელისუფლება **ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ხროვამ** ძალადობრივი გზით დაამხეს, რაკი **ბატონი ზვიადი** ისე მოკლეს, რომ არ გადამდგარა და მისი ხელისუფლება დღემდე კანონიერია, აქედან გამომდინარე, ყველა მომდევნო ხელისუფლება უკანონოა! **შესაბამისად, უკანონო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნებისმიერი აქტი, მათ შორის, უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვაც, უკანონო და იურიდიულად ბათილია. ამრიგად,**

**ᲗᲣ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ 1992 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ!**

აი, ეს არის ჩვენი გადარჩენის სამართლებრივი და პოლიტიკური გზა, სხვანაირად საქართველო დაღუპულია!

**— საქართველოს ხელისუფლება ამას გააკეთებს?**

— საუბედუროდ, **დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება არც ერთ და არც მეორე ნაბიჯს არ გადადგამს!**

*ესაუბრა*

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***



ცოტნე გამსახურდია





## კვირგვინოსნები

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*„ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი*



**ბობოხიძე და წერეთელმა** გიგას დაშანტაჟება დაიწყეს. თუ მე ადამიანებს **სოფლელობის და ქალაქელობის ნიშნით** ვარჩევ, მაშინ როგორ მოხვდა ჩემს უახლოეს გუნდში **ორი ჩოხატაურელი, ერთი ზუგდიდელი, ორი ხობელი, ოზურგეთელი, ბათუმელი, ხარაგაულელი, ჩხოროწყუელი, ქუთაისელი?** ასეთი იაფფასიანი ტყუილებიღა დარჩა არსენალში — **გაყალბება, დაბრალება, გაბრიყვება.**

„კვირის პალიტრა“

**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ**
*„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



ისეთი რამ მოხდა, რითიც **ბიგა ბოკერია,** როგორც პოლიტიკური ლიდერი, **ჩემს თვალში საბოლოოდ დასრულდა. თამარ ჩერგოლეიშვილი** ცხვრის ფარას უწოდებს იმ ხალხს, ვინც მხარი არ დაუჭირა მეორე სიას, რომელშიც თავად იყო პირველი ნომერი... მაპატიეთ, მაგრამ **ამომრჩევლის დაყოფა სოფლელებად და ქალაქელებად, ცხვრის ფარად და მაღალი ხარისხის ამომრჩევლებად** ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

„კვირის პალიტრა“

**ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲡᲐᲑᲝ**
*„გირჩის“ წევრი*



არ მგონია, **ბოკერია და ჩერგოლეიშვილი** ვინმემ მიიღოს იმ მდგომარეობაში, რაშიც ახლა არიან, **ალბათ, ისინი ამ არჩევნებს გამოტოვებენ** და ჩვენ ვეცდებით, მათი ამომრჩევლის ნაწილი წავიყვანოთ.

„პირველი არხი“

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



ყოფილ და დღევანდელ ხელისუფლებას შორის განსხვავება ის არის, რომ **2008 წლის აგვისტოში ნაცმოძრაობა საკუთარ ჯარს ზურგს უკან დაუდგა,** ჩვენ კი, როცა საჭირო გახდა, **დავდექით ჯარის წინ და არა მის უკან.**

„ინტერპრესნიუსი“

***ცნობილი ფრთიანი გამონათქვამი „დანაელთა ძღვენი“, რომლითაც ჩვენი წერილის სათაური „დანიელთა ძღვენი“ გახლავთ ინსპირირებული, სათავეს ჰომეროსის ეპოსიდან იღებს.***




# დანიელთა ძღვენი



კერძოდ, ფიგურალური გამოთქმა **„დანაელთა ძღვენი“** ძველბერძნულ ტომს — **დანაელებს** უკავშირდება, რომლებმაც უზარმაზარი ხის ცხენი ააგეს, შიგ მეომრები დამალეს და ტროელებს ქალაქის კარიბჭესთან დაუტოვეს, აქაოდა — ძვირფასი საჩუქარი გიბოძეთო!

**სანამ ილუზორული გამარჯვებით თავბრუდახვეული ტროელები კარიბჭეს გახსნიდნენ და დანაელთა ძღვენს ქალაქში შეაგორებდნენ, ნათელმხილველმა ლაოკოონმა მკაცრად გააფრთხილა — „გეშინოდეთ დანაელების მაშინაც კი, როცა საჩუქარი მოაქვთ!“ თუმცა, ტროელებმა ქურუმს არ მოუსმინეს და უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც დანაელი მეომრები იყვნენ ჩამალული, ქალაქში შეიტანეს, რაც ტროას დამხობით დასრულდა.**

სწორედ აქედან გამომდინარე, გამოთქმა **„დანაელთა ძღვენი“** მზაკვრულ, ვერაგულ და საბედისწერო საჩუქარს ნიშნავს.

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს **„დანიელთა ძღვენი“,** რომელსაც დანიის სამეფომ და საქართველოში მისმა საელჩომ მაცდური სახელი — **„დემოკრატიის ფესტივალი“** დაარქვეს?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **დანიელთა ძღვენს** საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ზუსტად იგივე ფუნქცია და დანიშნულება აქვს, რაც **დანაელთა ძღვენს** ტროასა და ტროელებისათვის ჰქონდა, ანუ **დანიელთა ძღვენი,** დანაელთა ძღვენის მსგავსად, მზაკვრული და ვერაგული საჩუქარია.

საქმე ის არის, რომ **დანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“** საქართველოს რეგიონებში ე.წ. დემოკრატიის ფესტივალს ატარებს, რომელშიც კოლექტიურ ნაცმოძრაობაში შემავალი ოპოზიციური პარტიები მონაწილეობენ. უფრო კონკრეტულად, **დანიიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია** სხვადასხვა ღია სივრცეში ერთგვარ პავილიონებს აწყობს, სადაც ოპოზიციურ პარტიებს თავიანთი სიმბოლიკა და სააგიტაციო მასალა აქვთ გამოფენილი, პოტენციურ ამომრჩეველს ხვდებიან და თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებსა თუ დაპირებებს აცნობენ.

ასე და ამრიგად, **დანიის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია** კოლექტიური ნაცმოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიაში ღიად მონაწილეობს, წყალწაღებული ოპოზიციის პიარით არის დაკავებული და ცდილობს, პოლიტიკურ მიცვალებულთა გაცოცხლებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი კი, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებაში ნაცმოძრაობისა და მისი სატელიტების მოყვანა, ანუ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის რეანიმაციაა.

**დანიიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის** მიერ მოწყობილ **„დემოკრატიის ფესტივალს“** დემოკრატიასთან არავითარი კავშირი რომ არა აქვს, ამის თვალსაჩინო და უტყუარი დასტური თუნდაც თელავში დაფიქსირებული ფაქტი გახლავთ, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ თავის ე.წ. პავილიონში მსჯავრდებული სააკაშვილის დიდი ბანერი გამოფინა წარწერით — **„თავისუფლება მიშას“.**

# დანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „დემოკრატიის ფესტივალი“ პოლიტიკური ტროას ცხენია, რომელშიც კოლექტიური სააკაშვილები, მერაბიშვილები, ადეიშვილები, ახალაიები და მეგისქარდავები არიან ჩამალული!

არადა, სად — სააკაშვილი და სად — დემოკრატიის ფესტივალი?

სად — დემოკრატია და სად — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი ნაცბელადი?

დემოკრატიის სახელით გამართულ ფესტივალზე სააკაშვილის ბანერი გამოფინო წარწერით — **„თავისუფლება მიშას“,** ეს იგივეა, ანტინაცისტურ ღონისძიებაზე ჰიტლერის პლაკატი ააფრიალო ლოზუნგით — **„დიდება ფიურერს!“**

რაც ყველაზე მთავარია, არც დანიის სახელმწიფო და არც მისი საელჩო საქართველოში არ პასუხობენ კითხვას — რა ესაქმება მათი ფულით დაფინანსებულ ღონისძიებაზე სისხლის სამართლის დამნაშავის, მსჯავრდებული და ბრალდებული სააკაშვილის ბანერს?

არც დანიის მთავრობა და არც დანიის საელჩო თავს ვალდებულად არ თვლიან, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს განუმარტონ, რატომ მონაწილეობენ ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიაში და მათ მიერ დაფინანსებული ფესტივალის სივრცე რატომ ეთმობა იმ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას, რომლის პატიმრობის კანონიერებაც სტრასბურგის სასამართლოს მიერ არის დადასტურებული?

სამაგიეროდ, ამ კითხვებზე, რომლებსაც დანიის მთავრობა და მისი საელჩო არ პასუხობენ, ცალსახა პასუხი აქვს საღად მოაზროვნე ქართველ საზოგადოებას — **დანიური ფულით დაფინანსებული „დემოკრატიის ფესტივალი“, სინამდვილეში, იმ დიდი პოლიტიკური მზაკვრობისა და ვერაგობის ნაწილია, რომელმაც ქართველი ხალხი კვლავ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცრეჟიმის ხელში უნდა ჩააგდოს!**

უკეთ რომ ვთქვათ, **დანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „დემოკრატიის ფესტივალი“ გახლავთ დანიელთა ძღვენი, რომელიც ქართულ დემოკრატიას, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს დაღუპვას უქადის ისევე, როგორც დანაელთა ძღვენმა ტროა და ტროელები დაღუპა!**

კი, დანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული **„დემოკრატიის ფესტივალი“** პოლიტიკური ტროას ცხენია, რომელშიც კოლექტიური სააკაშვილები, მერაბიშვილები, ადეიშვილები, ახალაიები და მეგისქარდავები არიან ჩამალული!

სხვათაშორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა დანიის მთავრობა და მისი საელჩო ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ პოლიტიკურ პროვოკაციაში მონაწილეობენ. გაგახსენებთ, რომ 2024 წლის იანვარში საქართველოში დანიის ელჩმა **ანე ტოფტ სორენსენმა** ერთ-ერთ დანიურ გამოცემაში საავტორო სტატია დაბეჭდა, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამჟამად პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი,** ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულების გარეშე, **ოლიგარქად** მოიხსენია. ამის გამო დანიის ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კი წერილი გამოვაქვეყნეთ სათაურით — **„დანიის საელჩოში რაღაც დალპა!“** რომელშიც ვწერდით, რომ, თუ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით, დანიის სამეფოში ჰამლეტის მამის აჩრდილი დაძრწის, დანიის საელჩოში სააკაშვილის დედის აჩრდილი დაბორიალობს, რადგან დანიის ელჩი სორენსენი **ბიული ალასანიას** პათოსით გაჟღენთილ განცხადებებს აკეთებს.

დღეს, როცა დანიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ **„დემოკრატიის ფესტივალზე“** სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილის ბანერებს აფრიალებენ და მის გათავისუფლებას ითხოვენ, დანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობას კი ამაზე რეაქცია არა აქვს, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **დანიის საელჩოში არათუ რაღაც დალპა, არამედ მთლიანად დანიის საელჩო გაიხრწნა და აყროლდა!**

# დანიის საელჩოში არათუ რაღაც დალპა, არამედ მთლიანად დანიის საელჩო გაიხრწნა და აყროლდა!

თუმცა, პოლიტიკურად დავრდომილ კოლექტიურ ნაცმოძრაობას, რომელიც დანიის და კიდევ სხვა ევროპული ქვეყნების საელჩოებს წვეთოვანზე ჰყავთ მიერთებული — იქნებ საარჩევნოდ ფეხზე წამოვაყენეთო, მაინც არაფერი უშველის, რადგან **ტროელებისაგან განსხვავებით, რომლებიც დანაელთა ძღვენმა გააცურა და დაღუპა, ქართველები დანიელთა ძღვენით არ მოტყუვდებიან!**

**2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველი ხალხი უზრუნველყოფს, რომ დანიელთა ძღვენში დამალული კოლექტიური სააკაშვილები, მერაბიშვილები, ადეიშვილები, ახალაიები და მეგისქარდავები მაგ ძღვენშივე ჩაიხრჩონ!**

***ჟაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ამბობენ, **„სამართალი ურმით დადისო“,** მაგრამ ბატონ **ხაზარაძეს და ჯაფარიძეს,** როგორც ჩანს, **არჩევნების წინ სამართალი სწრაფი მატარებლით წამოეწია.**

**„ენჯეოების“ ფულით ატარებენ წინასაარჩევნო შეხვედრებს** და აქ ჩანს, საზოგადოების მოტყუებას როგორ ცდილობენ, მაგრამ **ვერავინ შეაყრის ჩვენს ხალხს თვალში ნაცარს!**

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობის“ წევრი*



**როგორც ეშმაკს ეშინია ჯვრის,** ისე ეშინია „ქართულ ოცნებას“ **სააკაშვილის სურათის.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



როგორც **დრომ მიუჩინა გია ხუხაშვილს თავისი ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზე,** ასევე მალე დადგება მისი „დაფერთხვის“ დროც. დარწმუნებული ვარ, **ბოლო კაპიკამდე მოუწევს მოპარულის და ნაძარცვის დაბრუნება.**

„იმედინიუსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



ყველას უნდა, რომ **საქართველომ ჭაობი დატოვოს უკან** და წავიდეს წინ, მომავლისკენ — **ეს გუნდი ვართ ჩვენ, მიშა სააკაშვილთან ერთად,** ეს გუნდი ეიმედება საქართველოს.

„ინტერპრესნიუსი“

# პარიზის ღვთისმშობლის ბაზარი







**ლიტერატურულ ალუზიებს თუ გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ წინამდებარე წერილის სათაური ერთდროულად ორ დიდ ნაწარმოებს — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსა“ და „ამაოების ბაზარს“ ეხმიანება.**

თუ დიდი ფრანგი მწერლის **ვიქტორ ჰიუგოს** რომანი **„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“** ულამაზესი და თავქარიანი ბოშა ქალის — ესმერალდასა და ფიზიკურად მახინჯი, მაგრამ სულით მშვენიერი მნათეს — კვაზიმოდოს ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს, ინგლისელი მწერლის **უილიამ თეკერეის** ნაწარმოები **„ამაოების ბაზარი“** იმ დიდი უაზრობისა და უმსგავსობის, სულიერი და მორალური სიცარიელის შესახებ გვიყვება, რომლითაც მე-19 საუკუნის ინგლისის ზეპური საზოგადოება იყო მოცული.

რაც შეეხება ჩვენს წერილს — **„პარიზის ღვთისგმობის ბაზარი“** — იგი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში **ამა წლის 26 ივლისს დაწყებულ და 11 აგვისტოს დასრულებულ ზაფხულის ოლიმპიადას ეხება,** რომელიც **ღვთის გმობით** გაიხსნა, შიგადაშიგ სამარცხვინო სკანდალებით წარიმართა და კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინა ნეოლიბერალურ ამაოებაში ჩაძირული თანამედროვე ევროპის სულიერი და მორალური კრიზისი.

უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა იმ ღვთისმგმობელი და ქრისტიანობის შეურაცხმყოფელი წარმოდგენის შესახებ, რომელიც პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე გათამაშდა, როცა ჰომოსექსუალ და ტრანსსექსუალ მსახიობებს იესო ქრისტესა და მისი მოწაფეების საიდუმლო სერობა გააშარჟებინეს. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ჩადენილმა ამაზრზენმა მკრეხელობამ მთელ მსოფლიოში არამხოლოდ ქრისტიანები, არამედ სხვა ტრადიციული რელიგიის მიმდევრებიც აღაშფოთა და შეურაცხყო, საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** განაცხადა:

***„ფრანგები ძალიან ამაყობენ ამ ცერემონიით. საფრანგეთმა მოახდინა სითამამისა და მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისუფლების დემონსტრირება“.***

ესე იგი, რაც ქრისტიანული და არამხოლოდ ქრისტიანული სამყაროსათვის ღვთის გმობა და მკრეხელობაა, საფრანგეთის პრეზიდენტისათვის **„სითამამისა და მხატვრული თავისუფლების დემონსტრირება“** გახლავთ!

ესე იგი, **საფრანგეთის პრეზიდენტი „ძალიან ამაყობს“ იმით, რომ ე.წ. სექსუალურმა უმცირესობამ იესო ქრისტეს საიდუმლო სერობის სცენა გაათახსირა და როგორც საფრანგეთის, ისე მთელი მსოფლიოს ქრისტიანებს სულში ჩააფურთხა!**

ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი და მთავარი სახელმწიფოს — საფრანგეთის პრეზიდენტის ეს განცხადება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ **დღევანდელი ევროპის მმართველმა ლიბერალურმა ელიტამ ღმერთი საბოლოოდ დაკარგა და, შესაბამისად, დაკარგა არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ადამიანური სახეც!**

სწორედ ამიტომ, ღვთის გმობით გახსნილი პარიზის ოლიმპიადა განასახიერებს **ამაოების ბაზარს,** სადაც კაცობრიობის ჯანსაღ და ზნეობრივ ხმას უღმერთო ნეოლიბერალთა ყაყანი და კაკოფონია ახშობს!

ამ ფონზე, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე დაწყებულმა ლგბტ აღლუმმა სპორტულ ასპარეზზეც გადაინაცვლა და **ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, არამხოლოდ სპორტული თანასწორობის უგულებელყოფით, არამედ ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვით, ოლიმპიურ რინგზე მამაკაცს ქალი აცემინეს.** კერძოდ, იტალიელმა მოკრივე ქალმა **ანჟელა კარინიმ,** რომლის მეტოქეც ალჟირელი **იმან ხელიფი** გახლდათ, ორთაბრძოლა დაწყებიდან 43 წამში პროტესტის ნიშნად შეწყვიტა, რადგან მისი მოწინააღმდეგე ბიოლოგიური მამაკაცი აღმოჩნდა.

მოგვიანებით, იტალიელმა მოკრივე ქალმა ბრიტანულ გამოცემა „გარდიანთან“ ინტერვიუში განაცხადა:



## პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ოლიმპიურ რინგზე მამაკაცს ქალი აცემინეს!

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ არჩევნების დამკვირვებლების უმრავლესობა იყოს არა **კუბილიუს-პავილიონისების ჯიშის საერთაშორისო ნაცები,** არამედ პატიოსანი და ობიექტური ადამიანები.

„აიპრესი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



მთავარი მიზანი **ყველაფერი ქართულის აღმოფხვრაა** როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთში. **ეს ტენდენცია აფხაზეთში, გალის სკოლებში დაიწყო** და რამდენიმე წელია, გრძელდება.

„რეზონანსი“

**დავით ქიქინაძე**
*პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე*



თუ დასავლეთი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ **გრანტები, დახმარება, სესხი და ა.შ. შეაჩეროს,** 90-იანი წლები მოგვენატრება. **ოპოზიციის ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი** მეორე ვადით **სალომე ზურაბიშვილი** იქნება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ თავად **ბიძინა ივანიშვილმაც** კი მხარი **სალომე ზურაბიშვილს** დაუჭიროს.

„ახალი თაობა“

**ემზარ გოგუაძე**
*ანალიტიკოსი*



**ქართველი ხალხი გამოფხიზლდა** საღათას ძილიდან, რომელშიც ბოლო 30 წელია, მოაქციეს. **გამოფხიზლდა ასევე საქართველოს ხელისუფლება** და განაცხადა, რომ ჩვენი **თავი ჩვენვე გვეკუთვნისო!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# პარიზის ოლიმპიადა ლგბტ პრაიდად გადააქციეს!

*„ასეთი სიძლიერის დარტყმები არასოდეს მიმიღია, პირველი ძალიან მძიმე იყო, მეორემ კი ცხვირი გამიტეხა. იმედგაცრუებული ვარ“.*

როგორც გაირკვა, **ქალად „გადაკეთებული“ ალჟირელი მოკრივე იმან ხელიფი** გასულ წელს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატიდან სწორედ იმის გამო მოხსნეს, რომ ბიოლოგიური მამაკაცია, რაც შეჯიბრის წინ ჩატარებულმა ჰორმონალურმა ტესტმა დაადასტურა.

**მაშ, რატომ დაუშვეს პარიზის ოლიმპიადის ქალთა კრივზე ბიოლოგიური მამაკაცი, რომელსაც შარშან ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა?** ალბათ, იმიტომ, რომ პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ე.წ. **ტრანსგენდერი ქალის** „უფლებები“ დაიცვეს, მაგრამ რატომ დაიკიდეს ფეხებზე ბიოლოგიური, ანუ ნამდვილი ქალის უფლებები, რომელსაც მამაკაცური ჯან-ღონის მეტოქესთან დაპირისპირება არათანაბარ და არასამართლიან პირობებში აყენებდა? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არსებობს — **ნეოლიბერალიზმი,** რომელმაც, საუბედუროდ, სპორტშიც მოიკიდა ფეხი, მხოლოდ ე.წ. უმცირესობათა უფლებებს აღიარებს, უმრავლესობის უფლებები კი მისთვის არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს!

ამიტომაც **ოლიმპიურ რინგზე ბიოლოგიური მამაკაცის მიერ ბიოლოგიური ქალის ცემის გამო ადამიანის უფლებების დამცველ არცერთ ორგანიზაციას ხმა არ ამოუღია.** თვით დასავლელ ფემინისტებსაც კი, რომლებიც ვითომ ქალთა უფლებების სადარაჯოზე დგანან, მამაკაცი მოკრივის მიერ ქალი მოკრივის გალახვაზე არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ. ერთადერთი, ვინც ამ სამარცხვინო ფაქტის გამო ცალკება შეშფოთება გამოთქვა, ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი **რიმ ალსალემი** გახლდათ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პარიზის ოლიმპიური თამაშები, ფაქტობრივად, ლგბტ პრაიდად გადააქციეს!

თანაც, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ღვთისმგმობელი და ქრისტიანობის შეურაცხმყოფელი სცენების დადგმას, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასა და ნეოლიბერალური სიბილწეების აფიშირებას იმხელა ძალისხმევა დაახარჯეს, სპორტსმენები გვერდზე დარჩათ და მათთვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი ვერ უზრუნველყვეს. მაგალითად, **ე.წ. ოლიმპიურ სოფელში, სადაც ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენები ცხოვრობდნენ, ოთახებში მუყაოსაგან შეკოწიწებული საწოლები იდგა, კონდიციონერი არ ეყენა და აგვისტოს პაპანაქებაში გაგრილების ერთადერთ საშუალებას ვენტილატორი წარმოადგენდა.**

რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ფოტო, რომელზეც ჩანს, რომ პარიზის ოლიმპიადის მონაწილე იტალიელ სპორტსმენს — 23 წლის მოცურავე **ტომას ჩეკონს** ღია ცის ქვეშ, ერთ-ერთ სკვერში პლედი გაუშლია, ზედ დაწოლილა და დაუძინია. **ჩეკონმა, რომელმაც პარიზის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა, იტალიურ ტელეარხს განუცხადა, რომ სკვერში დაძინება ოლიმპიურ სოფელში სათანადო პირობების არარსებობამ აიძულა. მანვე აღნიშნა, რომ მუყაოს საწოლების, გაუმართავი კონდიცირებისა და უხარისხო საჭმლის გამო ძალიან ბევრი სპორტსმენია უკმაყოფილო.**

ტანმორჩილ და მსუბუქ სპორტსმენებს კიდევ რა უჭირთ, მაგრამ გოლიათ ქართველ ძალოსანს **ლაშა ტალახაძეს,** რომელიც 176 კილოგრამს იწონის, მუყაოს საწოლს რომ დაუდგამ, მარტო დისკომფორტს ვინ ჩივის, ტრავმის საფრთხეც ძალიან დიდია. აკი, საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ნაკრების ექიმმა **გიორგი ჭინჭარაულმა** 7 აგვისტოს სოციალურ ქსელში ფოტოები და პოსტი გამოაქვეყნა: **„ჩატყდა დღეს ტალახაძის კარდონის საწოლი. იატაკზე მიწევს დაწოლა“.**





**იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ტომას ჩეკონს პარიზის ერთ-ერთ სკვერში სძინავს!**

და ეს ხდება 21-ე საუკუნეში!

ეს ხდება შუაგულ ევროპაში — საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში!

ეს ხდება პლანეტის უმთავრეს და უდიდეს სპორტულ ფორუმზე — ოლიმპიურ თამაშებზე!

**ეს მარტო პოლიტიკური, მორალური, სულიერი და იდეოლოგიური თვალსაზრისით კი არა, პირდაპირი და ფიზიკური მნიშვნელობითაც ამაოების ბაზარია!**

მაგრამ რაში ანაღვლებთ პარიზის ოლიმპიადის ორგანიზატორებს ოლიმპიადის სპორტული მხარე და ხარისხი, **მთავარია, ქრისტე გააშარჟეს, ქრისტიანებს დასცინეს და შეურაცხყოფა მიაყენეს, ლგბტ პროპაგანდა აწარმოეს და მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეასუნთქეს ნეოლიბერალური შხამი.**

**მთავარია, პარიზის ღვთისგმობის ბაზარი გააჩაღეს!**

კი, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადა ისტორიას სწორედ ამ სახელით უნდა შემორჩეს — **პარიზის ღვთისგმობის ბაზარი!**



**ალბათ, სიმბოლურია, რომ დიდებული და ლეგენდარული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ოლიმპიადად წოდებულ ამაოების ბაზარს დაკეტილი და ხარაჩოებში ჩასმული შეხვდა!**

ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ დიდებული და ლეგენდარული პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ოლიმპიადად წოდებულ ამაოების ბაზარს დაკეტილი და ხარაჩოებში ჩასმული შეხვდა, რადგან 2019 წლის ხანძრის შემდეგ რესტავრაცია უტარდება.

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,** რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში სანახევროდ ჩამოქცეული იყო და სრულად დანგრევა ემუქრებოდა, **ვიქტორ ჰიუგოს** შედევრმა გადაარჩინა. როგორც ამბობენ, დიდმა ფრანგმა მწერალმა თავისი დიდი რომანი სწორედ ნოტრდამის გადასარჩენად დაწერა და გადაარჩინა კიდეც.

**შეძლებს კი დღეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, თავად გადაარჩინოს თანამედროვე საფრანგეთი და ევროპა, რომელიც ულმერთო ნეოლიბერალიზმმა ამაოების ბაზრად გადააქცია?**

უნდა შეძლოს!

ღმერთმა ქნას, რომ შეძლოს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გელა ბექაური**

*ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ბექაურის მამა*



მთელი ცხოვრება სულ გვიჭირდა, **ხან პურის ფული არ გვქონდა, ლაშას ვარჯიშზე სიარულის ფული არ ჰქონდა,** მაგრამ ადამიანობასა და სულიერ ღირებულებებზე წინ სხვა რამ არ დაუყენებია. ამანაც მოიტანა ეს შედეგი.

**300 არაგველის შთამომავალი ვართ,** ასე ვიცით გადმოცემით ჩვენი წინაპრებისაგან. ჩემი და ლაშას საიდუმლო ფრაზას გეტყვით: **„არის ნება შენი, არის ნება უფლისა“.** ამას ვუმეორებთ ერთმანეთს. რაც ძალიან გინდა ცხოვრებაში, ღმერთი ყოველთვის გაძლევს. **ლაშას რაც ძალიან უნდოდა და იბრძოდა, ღმერთმა მართლაც ყველაფერი მისცა.**

„სარკე“

**მანანა გოჩელაშვილი**

*ძიუდოისტ ილია სულამანიძის დედა*



ფაქტობრივად, **აჩუქა მეტოქეს გამარჯვება,** ხელი დაუსხლტა კიმონოზე და ჩავარდა. ამის გამო მისცეს გაფრთხილება. **ბავშვია და, ალბათ, იფიქრა, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვარო,** წამიერად გაითიშა და ეს იყო წაგების მიზეზიც. აქამდე ჩემი სახელი და გვარი **მანანა გოჩელაშვილი** იყო და ახლა **კარგი ბიჭების დედა ვარ.** ტყიბულში სამსახურში რომ მივდივარ, ასე მეძახიან — **კარგი შვილების დედაო.**

„სარკე“

**ვახტანგ ძაბირაძე**

*ანალიტიკოსი*



ქართული პოლიტიკური სპექტრი **ზნეობის მაღალი სტანდარტებით ვერ დაიკვეხნის,** უამრავი რამ ვიცი. **არჩევნების სასურველი შედეგით აღიარება** ძალიან მნიშვნელოვანი იქნება „ქართული ოცნებისთვის“ და შესაძლოა, **სააკაშვილი გახდეს სავაჭრო თემა.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ლორთქიფანიძე**

*ყოფილი პარლამენტარი*



**სააკაშვილის** გარეშე ნაცმოძრაობა ვერ იარსებებს. **სააკაშვილი თვალს მოაფარეს,** თითქოს მისი სისხლიანი რეჟიმი აქტუალური აღარ არის.

„ახალი თაობა“

# ჯოტო გუგუჩია ბაბუამისის – დიდი ჯოტო გუგუჩიას მსგავსად, გმირი ვერა, მაგრამ მეგის ქარდავასა და ნაცების შნირი გახდა!

***2024 წლის 6 აგვისტოს ზუგდიდის სასამართლოს მოსამართლე ეკა ბებიამ ნაცების მონას, მეგის ქარდავას ზონდერ-მწვალებელსა და ფორთოხლის გამყიდველ ჯოტო გუგუჩიას 5-ათასლარიანი გირაო შეუფარდა.***


დიდი და პატარა ჯოტო გუგუჩიები

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩაზე, ფორთოხლით მოვაჭრე **გუგუჩია** ის კაცია, რომლის ფორთოხლებიც დეპუტატმა **ვიტალი ჯაფარიძემ** გამჭვირვალობის კანონის მიღების დღეს ერთ-ერთ ნაციონალ მეკურტუმეს გამოლაყებულ თავსა და მოფამფალებულ უკანალში დაუშინა.

გახსოვთ, ალბათ, იმ მეკურტუმემ, რომელსაც რატომღაც **სამოქალაქო აქტივისტი** დაარქვეს, **დეპუტატ ჯაფარიძეს** ამაღლების ქუჩაზე **მონა** უწოდა. მომხდარის გამო **ვიტალი ჯაფარიძე** მანქანიდან გადმოვიდა, იმ ჭირიან ნაციონალს გაეკიდა და დახლიდან ჯოტო გუგუჩიას ფორთოხლებიც მიაწია.

მეორე დღეს დეპუტატი **ვიტალი ჯაფარიძე** ფორთოხლის გამყიდველს სოლოლაკში, ამაღლების ქუჩაზე, მაღაზიაში ესტუმრა, ბოდიში მოუხადა და იმ ნაცპროვოკატორი მეკურტუმისთვის უკანალში ნასროლი ფორთოხლების საფასურის გადახდაც პატიოსნად დააპირა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას საქმე ჰქონდა არა, უბრალოდ, ფორთოხლის გამყიდველთან, არამედ ავადსახსენებელი **მეგის ქარდავას** ზონდერ-მწვალებელთან და კარგად მოქოქილ ნაცთან, რომელმაც ტელეკამერების წინ შეკრული დალალები გაიშალა და **ვიტალი ჯაფარიძეს** ყინჩად მიმართა — **ფორთოხალი პრობლემა არ არის, თქვენ მომავალი წაგვართვითო!**

მოკლედ, **ნაცების მონა და ფორთოხლის გამყიდველი ჯოტო გუგუჩია** უცბად პოპულარული კაცი და სამოქალაქო აქტივისტი გახდა. თუმცა, ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და მეგის ქარდავას ზონდერ-მწვალებლის სახე სულ მალე გამოაშკარავდა, როცა ტელეკომპანია „პოსტივის“ გადამღებმა ჯგუფმა და ჟურნალისტმა ნათია ბერიძემ ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში ჩააკითხეს. ნაცების მონამ და ფორთოხლის გამყიდველმა საკუთარი მეუღლის, დედის, მცირეწლოვანი შვილებისა და მეზობლების თვალწინ ჟურნალისტ **ნათია ბერიძეს** უბინძურესი სიტყვებით აგინა, რაც ვერ აიტანა „პოსტივის“ ახალგაზრდა ოპერატორმა და გუგუჩიას დაებღღვნა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რაც პროკურატურამ ძალადობისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის მუხლებით დააკვალიფიცირა.

2024 წლის 6 აგვისტოს ზუგდიდის სასამართლოს მოსამართლე **ეკატერინე ბებიამ** სწორედ ეს საქმე განიხილა და ნაცების მონასა და ფორთოხლის გამყიდველ **ჯოტო გუგუჩიას** პატიმრობის ნაცვლად 5-ათასლარიანი გირაო შეუფარდა! სხვათაშორის, ეს თანხა ზუგდიდში უმოკლეს ვადაში შეგროვდა, რითიც მავანმა გუგუჩიას ზურგი გაუმაგრა — **უარესი ქენი, არ შეშინდე, შენ გვერდით ვართ, არ მიგატოვებთო!**

სამწუხაროდ, შემოგარენში კაცი არ აღმოჩნდა, ვინც ფორთოხლის აგრესიულ გამყიდველს ეტყოდა — როგორც ჟურნალისტ **ნათია ბერიძეს** მოექეცი, მაგ საქციელისთვის მთელ სამეგრელოში პატივცემული პაპაშენი — სოფელ კახათის საბჭოთა მეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, დიდი **ჯოტო გუგუჩია** მათრახით დაგასისხლიანებდა და გვერდებს აგიჭრელებდაო!

სხვათაშორის, **დიდი ჯოტო გუგუჩიას** შესახებ დოკუმენტური ფილმიც არის გადაღებული, სადაც აწ განსვენებული გოგი გეგეჭკორის ხმა გვამცნობს — **კახათში ერთი პატარა ბიჭის ნატვრაა, ბაბუამისი — ჯოტო გუგუჩია გამოვიდესო!** ვერ გამოვიდა!!!

ისე კი, ვინც ნაცების მონა და ფორთოხლის გამყიდველ **ჯოტო გუგუჩიას** გირაოს თანხა შეუგროვა, პაპამისის, **დიდი ჯოტო გუგუჩიას** ცხენის კუდზეა გამოსაბმელი, რადგან პირდაპირ თუ ირიბად, ყველა მეგის ქარდავასთან და სამეგრელოს ბინძურ სამალავებთან არის დაკავშირებული.

წესით და რიგით, ნაცების მონა და ფორთოხლის გამყიდველი **ჯოტო გუგუჩია** პატიოსანი საქართველოსაგან და, მათ შორის, დეპუტატ ვიტალი ჯაფარიძისაგან თავში 5 ათასი ცალი ფორთოხლის ჩათხლეშას მაინც იმსახურებს, მაგრამ

იმ ქვეყანაში, სადაც კეზერაშვილს **მედიამენეჯერს** უწოდებენ, ხოლო რუსეთის მიერ ჩაფულიანებულ ლიაკა ხოშტარიას — **პუტინის მტერს,** ყველაფერი სწორედაც რომ უკუღმა უნდა იყოს.

***დიტო ჩუბინიძე***



***წინა კვირას ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა საქართველოში კვლევითი პროექტები და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება შეაჩერა. ამერიკული დაფინანსება შეუწყდა ე.წ. ლუგარის ლაბორატორიასაც, რომელიც თავის დროზე ამერიკელებმა შექმნეს და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვეს. პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი მიიჩნევს, რომ ე.წ. ლუგარის ლაბორატორია და მისი საქმიანობა მეტ გამჭვირვალობას მოითხოვს, რათა უსაფუძვლო ეჭვები და კითხვები ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს:***



— საქართველოში **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის** ფუნქციონირება ორ ეტაპად უნდა გაიყოს! პირველი მოიცავს 2010 წლიდან 2013 წლის ბოლომდე პერიოდს, როცა ეს ლაბორატორია ამერიკელებმა გახსნეს და მისი უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო ქალბატონი **ანა ჟვანია,** რომელიც სააკაშვილის მრჩეველი გახლდათ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში. მოგვიანებით მან **ბათუ ქუთელიას** ადგილი დაიჭირა, ანუ დაზვერვის სამსახურის შეფი გახდა და უშუალოდ სააკაშვილს ექვემდებარებოდა. 54 წლის **ანა ჟვანია** არის ამერიკული „ცერეუს“ ერთ-ერთი სკოლის კურსდამთავრებული და პარალელურად მოღვაწეობდა ენჯეო სექტორშიც, ანუ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის უკანასკნელი ხელმძღვანელი ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს თანამშრომელი **ანა ჟვანია** გახლდათ.

**— დღეს სად არის ეს ქალბატონი?**

— **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის** ხელმძღვანელი, ამერიკული „ცერეუს“ თანამშრომელი **ანა ჟვანია** 2013 წლის ბოლოს, როგორც კი სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა, საქართველოდან სააკაშვილთან ერთად გაქრა. დღეს ამ ქალის ადგილსამყოფელი კაციშვილმა არ იცის. ჩემი აზრით, იგი ან ამერიკაში იქნება, როგორც „ცერეუს“ თანამშრომელი, ანდა — უკრაინაში! **2010-2013 წლებში რით იყო ე.წ. ლუგარის ლაბორატორია დაკავებული და რა ხდებოდა იქ, ეს იდუმალებით მოცული თემაა.** სწორედ ამან დაბადა 2014 წლიდან ლეგიტიმური კითხვები იმის შესახებ, თუ რას საქმიანობდნენ ამ ლაბორატორიაში და რით იყო დაკავებული მისი პერსონალი. **2014 წლიდან ე.წ. ლუგარის ლაბორატორია მთლიანად გადმოვიდა საქართველოს ბიუჯეტის დაქვემდებარებაში.**



რიჩარდ ლუგარი და მიხეილ სააკაშვილი

**„2010-2013 წლებში რით იყო ე.წ. ლუგარის ლაბორატორია დაკავებული და რა ხდებოდა იქ, ეს იდუმალებით მოცული თემაა!“**

**— მანამდე ე.წ. ლუგარის ლაბორატორიას ამერიკელები აფინანსებდნენ?**

— რა თქმა უნდა, ამერიკელები აფინანსებდნენ! მოკლედ, 2014 წლიდან იწყება **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის** საქმიანობის მეორე ეტაპი, როცა მას თავიდან ბოლომდე საქართველოს ხელისუფლება აფინანსებს. ასე რომ, თქმა იმისა, თითქოს ამერიკული დახმარების შეჩერების გამო **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის** თანამშრომლები უხელფასოდ დარჩებიან, სისულელეა! 2018 წლის 1 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ გამოთქვა ეჭვი, რომ **ე.წ. ლუგარის ლაბორატორია** დაკავებული იყო საიდუმლო პროგრამებით და მუშაობდა ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე. ამის პასუხად საქართველოს ხელისუფლება მოიქცა აბსოლუტურად სწორად, გამოაცხადა ღია კარის დღე და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დელეგაციები და, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებიც მიიწვია **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიაში,** სადაც სტუმრებს გაუხსნეს აბსოლუტურად ყველა კარი.

მართალია, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები მაშინ თბილისში არ ჩამოსულან, მაგრამ ღია კარის დღე მაინც შედგა და მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ლაბორატორიაში საშიში და საიდუმლო არაფერი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მხარე **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის** თემას პერიოდულად ააქტიურებს. მიმაჩნია, რომ **ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის,** მისი დანიშნულებისა და იქ მიმდინარე პროექტების შესახებ მეტი გამჭვირვალობაა საჭირო, რათა რუსეთს ეჭვების საფუძველი მოვუსპოთ. ლეგიტიმური ეჭვები რუსეთს შესაძლოა, ჰქონდეს და აქვს კიდეც უკრაინაში არსებულ მსგავს ლაბორატორიებზე, რომლებსაც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს ამერიკის საელჩო უკრაინაში, მაგრამ საქართველოში მსგავსი ეჭვის საფუძველი არ არსებობს!

**— ნაცები რატომ არიან გახარებული ამერიკელების მიერ ე.წ. ლუგარის ლაბორატო-**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*

**არც ერთი ხელფასი, არც ერთი პენსია, არც ერთი ჯარისკაცი, პოლიციელი,** არცერთი სახელმწიფო ინსტიტუცია თუ სოციალური პროგრამა **საზღვარგარეთიდან არ ფინანსდება — ყველაფერი საქართველოს ბიუჯეტით ფინანსდება,** მათ შორის, **ლუგარის ლაბორატორია.** თუ ლუგარის ლაბორატორიაში რომელიღაც კვლევითი პროექტი შეჩერდება, ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ვერავინ მეტყვის ლოგიკურ ბმას იმასთან დაკავშირებით, **თუ რა შუაშია გამჭვირვალობა და ლუგარის ლაბორატორია.** „რეზონანსი“



**კახა ოქრიაშვილი**
*„პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი*

საქართველო **დღეს უფრო დაუცველია,** ვიდრე 2008 წელს.

„ინტერპრესნიუსი“



**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

თუ „ქართული ოცნება“ **არჩევნების გაყალბებას გაბედავს,** კატასტროფულ შედეგს მიიღებს — **მას სანქციები სანატრელი გაუხდება.**

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*

გონივრული **სამშვიდობო პოლიტიკის შედეგად** 2008 წლის ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა.

„იმედინიუსი“



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

26 ოქტომბერს **ომისა და ღალატის პარტიის გარდაუვალი დამარცხების შემდეგ,** ზეაქტუალურია, საფუძვლიანად იქნას გამოძიებული 2008 წლის აგვისტოს ომში **სააკაშვილის რეჟიმის თანაოკუპანტობა!** „იმედინიუსი“

# დავით ქართველიშვილი: არ დაველოდოთ ახალ კოლონიზატორს!

## „დაპირისპირება აუცილებლად იქნება, რასაც არც მალავენ!“

**რიისათვის განკუთვნილი თანხის დაბლოკვით?**

— იმიტომ, რომ ნაცებს ასაწევად სხვა თემა აღარ დარჩათ. ისინი ყოველი წლის 25 დეკემბერს 7 იანვარს ებრძვიან, ყოველი წლის 8 მაისს — 9 მაისს, ხოლო ყოველი წლის 7 აგვისტოს — 8 აგვისტოს! მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების თარიღად თვით სააკაშვილი აღიარებდა 2008 წლის 8 აგვისტოს და წლების განმავლობაში, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის, ასევე ოპოზიციაში გადმონაცვლების შემდეგაც, ნაცები სულ 8 აგვისტოს დადიოდნენ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, ახლა რიტორიკა შეცვალეს და უსინდისოდ გვიმტკიცებენ — **ომი 7 აგვისტოს დაიწყოო!** რა გითხრათ, სექტანტური აზროვნების ადამიანები არიან...

**— ბოლოს და ბოლოს, რა უნდა საქართველოში ამერიკას — გადატრიალების მოწყობა?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებს საბოლოო ჯამში ორი სახელმწიფოსა და მეტოქის დასუსტება სურს — ერთი ჩინეთია, ხოლო მეორე — რუსეთი! როდესაც ამერიკელები ხედავენ, რომ საქართველო უმკლავდება აგენტოკრატების მიერ თბილისში თავიანთი აგენტების ხელისუფლებაში დასმის მცდელობას და საქართველოს ეკონომიკა სანიმუშოდ მზარდია; როცა შუა დერეფანი და ჩინეთიდან მომდინარე ტვირთები საქართველოსთვის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პერსპექტივებს ქმნის, ცხადია, ამერიკა ცდილობს, ამ ყველაფერს ხელი შეუშალოს, რათა არ დაუშვას ჩინეთისა და რუსეთის გაძლიერება. აქედან გამომდინარე, ამერიკა ცდილობს და კვლავაც შეეცდება, არ დაუშვას თავისი სამხედრო-პოლიტიკური და ბიზნეს-ინტერესების კრახი. მადლობა ღმერთს, საქართველო ჯერჯერობით ზეწოლას უმკლავდება.

**— დასასრულ, რა იქნება არჩევნებზე, დაპირისპირებასა და გადატრიალების მცდელობას კვლავ უნდა ველოდოთ?**

— დაპირისპირება აუცილებლად იქნება, რასაც არც მალავენ! წინასწარ გვეუბნებიან, რომ არჩევნები გაყალბდება და არ ენდობიან ახალ საარჩევნო სისტემას, რომლის შექმნასაც პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გვიკიჟინებდნენ. ამერიკელები კონსტიტუციისა და ქვეყნის მიღმა გასული პრეზიდენტის პირით გამუდმებით გვეუბნებიან, რომ კონსტიტუციასა და არჩევნებს არანაირი აზრი არა აქვს და ქვეყანას ყოველწლიურად უნდა მართავდეს ტექნიკური მთავრობის მსგავსი რაღაც წარმონაქმნი.

**— მერედა, ამერიკას თვითონ რომ აქვს ჩასატარებელი უმძიმესი არჩევნები, როგორ ფიქრობთ, ჩვენთან გადატრიალების მოსაწყობად მოიცლის?**

**– კაცმა არ იცის, ამერიკის პრეზიდენტი ტრამპი გახდება თუ კამალა ჰარისი, ამიტომ მოვლენათა განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის უნდა ვიყოთ მზად. ჩვენი პოლიტიკა არცერთის გამარჯვებაზე არ უნდა ავაგოთ,** მთავარია, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გავძლიერდეთ და არ დაველოდოთ ახალ კოლონიზატორს! ამ მხრივ დღევანდელი ხელისუფლების კურსი სწორია.

**— როგორ ფიქრობთ, ქართული სახელმწიფო მოახლოებული გამოწვევებისთვის მზად არის?**

— ქართულ სახელმწიფოს მეც წარმოვადგენ, თქვენც, სხვაც და ეს შეკითხვა თითოეულმა თავის თავს დაუსვას!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*



რიჩარდ ლუგარი და ანა ჟვანია

**„ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ამერიკული „ცერეუს“ თანამშრომელი ანა ჟვანია 2013 წლის ბოლოს საქართველოდან სააკაშვილთან ერთად გაქრა!“**



# შენთვის შესასვლელად ბუტკაც კი არ მემეტება!



რაიო? **ბიძინა ივანიშვილს დებატებში ვიწვევო?** ჰა, ჰა, ჰა!

რითა, ქალო, რითა, მაგ ჩიქორთული ქართულითა? ან კიდე შენი ღვლარჭნილი მეტყველებითა?

**გაპრეზოებამდე ბიძინას ხსენებაზე ელეთი და მელეთი მოგდიოდა, ახლა აღარ მოგდის და ეტოლები კიდეცა? ეგრე რანაირად ამოგაგდეს კალაპოტიდამ, რო აღარც ტოლი იცი, აღარც სწორი?**

**მიდი, ქალო, შენთვის შესასვლელად ბუტკაც კი არ მემეტება!**

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად

# ბაიდენმიდრეკილი

მეგონა, ეს ქალი 2012 წლის მოვლენების შემდეგ თუ არა, **პაატა ბურჭულაძის პარტიაში გაქცუნებისა და ჩაფეხვის კვალდაკვალ** მაინც გაიზრდებოდა!

გაიზარდა კი არა, პოლიტოლოგი და „საერთაშორისო“ ამბების სპეციალისტი **ხათუნა ლაგაზიძე** თლა დაპატარავებულა. არადა, როგორ ცდილობდა, 2012-ში **ბიძინა ივანიშვილის** ბანაკში აღმოჩენილიყო. შეხედა ივანიშვილმა და ეგრევე ხელი ჩაიქნია — ამისგან არაფერი გამოვაო.



☺

წამამჯდარა „საერთაშორისო“ ამბების სპეციალისტი ჭუტაანთ უბორნიაში და იძახის:

**მას შემდეგ, რაც ბაიდენი ჩაეხსნა საარჩევნო რბოლას, შეუძლია, უფრო აქტიურად დაუჭიროს მხარი უკრაინას, რომელსაც დარჩენილ სამ თვეში ხელშესახები წინსვლა ექნებაო. „ქართულ ოცნებას“ კი არ ეპატიება არჩევნების გაყალბება და შავი ზღვის გადაბარება რუსეთისთვისო.**

ახლა რომ დავდგე და **ლაგაზიძის** რახუნი გავარჩიო, სამაგისოდ არც ნერვები მაქვს, არც სურვილი. თუმცა, ერთს მაინც დავძენ: **დღეს რომ ვინმე ბაიდენის წარმატებულ სვლებსა და გონივრულ გადაწყვეტილებებზე ილაპარაკებს, ის თავად ვერ უნდა იყოს გონზე.**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



**დესტაბილიზაცია, სისხლისღვრა,** თუნდაც, კონკრეტული **ადამიანის ან ადამიანების მკვლელობა** არის ერთადერთი გზა, რამაც შეიძლება, **რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლებამდე მიიყვანოს.**

„იმედინიუსი“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



გვახსოვს **ქალაქ ანაკლიის მშენებლობის ბაქიბუქი** ოპოზიციის ლიდერის მხრიდან და **ერთი ცალი სასტუმრო აშენდა.** ოპოზიციას, რომ ამ პორტის აშენება სდომებოდა, ააშენებდა მაშინ, როდესაც თვითონ იყო ხელისუფლებაში.

„იმედინიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**„ოცნების“ რეიტინგი ქვესკნელშია...** მორჩა, დასავლეთისთვის **ბიძინა ივანიშვილი** არის დამთავრებული! „ახალი თაობა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



**ოპოზიცია თუ არ გაიყიდა, ივანიშვილის ეპოპეა დასრულდება.**

„ახალი თაობა“

**დათა თავაძე**
*ჟურნალისტი, მსახიობი*



ნოემბრიდან ისეთი ქვეყნის შენებას დავიწყებთ, სადაც **ტროლ-ბოტობაზე წასვლა აღარ მოუწევს ხალხს** თავის გადასარჩენად.

„ახალი თაობა“

# აი დოკუმენტი, რომელიც არჩევნების შემდეგ ნაცრეჟიმს გაასამართლებს!

***2024 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის მე-16 წლისთავზე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება აუცილებლად გამოიძიებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებს.***

მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოს განცხადებაში ვკითხულობთ:

***„ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ყველაზე დიდი და მძიმე დანაშაული სწორედ 2008 წელს ჩადენილი ავანტიურაა. ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი განვითარების უზრუნველსაყოფად და საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად უმნიშვნელოვანესია, ამ მოვლენებს სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცეს. საზოგადოებას ვაძლევთ პირობას, რომ არჩევნების შემდეგ ეს აუცილებლად ასე მოხდება“.***



მიხეილ სააკაშვილი და დავით კეზერაშვილი

კი მაგრამ, „ქართული ოცნება“, რომელიც ხელისუფლებაში 12 წლის წინათ მოვიდა, ამდენი ხანი რას აკეთებდა და რას ელოდებოდა?

„ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, როცა აგვისტოს ომიდან, სულ რაღაც, 4 წელი იყო გასული, სააკაშვილისა და მისი რეჟიმის სავარაუდო დანაშაულთა გამოძიება უფრო ადვილი არ იქნებოდა, ვიდრე ახლა, ომიდან 16 წლის შემდეგ?

ამ ლოგიკურ კითხვებზე, რომლებსაც საზოგადოების დიდი ნაწილი სვამს, „ქართული ოცნების“ პასუხი ასეთია:

***„ნაციონალური მოძრაობის მიერ 2008 წელს ჩადენილ დანაშაულზე ჩვენ დღემდე მხოლოდ მინიშნებებით ვსაუბრობდით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა... წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო სასამართლო პროცესები სტრასბურგსა და ჰააგაში, რომლებიც, ჩვენი ხელისუფლების უდიდესი ძალისხმევით, საქართველოს გამარჯვებით დასრულდა... დადგა დრო, საზოგადოებამ გაიგოს სრული სიმართლე და ყველა ფაქტს სრულფასოვანი სამართლებრივი შეფასება მიეცეს“.***

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება შეიძლება, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით წარიმართოს:

## რუსეთის ოკუპანტობა სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა!

***„ეს შეიძლება, იყოს პროკურატურისადმი მიმართვა, შეიძლება, იყოს საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, შეიძლება, იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, შეიძლება, ყველა ინსტრუმენტი იყოს გამოყენებული... ჩვენ ვიქნებით მოსარჩელე მხარე ამ პროცესში და ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი მოღალატეობრივი დანაშაულის გამო, კოლექტიურად მოუწევს პასუხისგება“.***

ნათქვამია — კოლექტიური პასუხისმგებლობა უპასუხისმგებლობას ნიშნავსო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილსა და მის ნაცბანდას 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით თავიანთი წილი პასუხი დღემდე ისედაც არ უგიათ, შეიძლება, „ოცნების“ მიერ დაპირებული გამოძიება სულ არაფერს მაინც სჯობდეს.

თუ ხელისუფლება სიტყვას შეასრულებს და აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის შესაძლო დანაშაულთა გამოკვლევას დაიწყებს, მაშინ გამოძიებისათვის ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო ევროკავშირის მიერ შექმნილი და დაფინანსებული **სპეციალური კომისიის დასკვნა** უნდა იყოს. კერძოდ, საუბარია **საერთაშორისო საგამოძიებო კომისიაზე,** რომელსაც ქართველი საზოგადოება **ტალიავინის კომისიის** სახელით იცნობს, რადგან უცხოელი სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებულ საგამოძიებო ჯგუფს, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები შეისწავლა და 2009 წლის სექტემბერში შესაბამისი დასკვნაც გამოაქვეყნა, შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა.

**ტალიავინის კომისიის დასკვნიდან** საკვანძო ფრაგმენტები „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ 12 წლის წინათ, 2010 წლის აგვისტოში, გამოვაქვეყნეთ, დღეს კი, როცა საქართველოს ხელისუფლება აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე აქტიურად ალაპარაკდა, **მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მრავალრიცხოვან მკითხველს შევახსენოთ, რა წერია საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის მიერ 15 წლის წინათ დადებულ დასკვნაში.**

●

**ტალიავინის კომისიის დასკვნაში** თავიდანვე აღნიშნულია, რომ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფი მხოლოდ ქართული და რუსული მხარეების მიერ მიწოდებულ ცნობებს კი არ დაეყრდნო, არამედ დასკვნას საფუძვლად დაუდო არაერთი ღია წყაროდან — სტატიებიდან, წიგნებიდან, ფოტო და ვიდეომასალებიდან მიღებული მნიშვნელოვანი ინფორმაციაც.

## 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მოწმე გენერალი მამუკა ყურაშვილი უნდა იყოს!



**ტალიავინის კომისიის დასკვნის** მე-13 თავის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ:

***„ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით, 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით, დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში, თუმცა, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია“.***

ესე იგი, საერთაშორისო საგამოძიებო კომისია ასკვნის, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული და საოკუპაციო რეჟიმები ინტენსიურად აწყობდნენ პროვოკაციებს, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება წამოეგო და პასუხად ცხინვალი დაბომბა, ეს კი ფართომასშტაბიანი ომის დაწყების მიზეზად იქცა.

შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ცხინვალის დაბომბვამ რომ განაპირობა, ეს გარკვევით წერია **ტალიავინის კომისიის დასკვნის** მომდევნო, მე-14 თავშიც:

***„ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 7-დან 8 აგვისტოს ღამით.*** *ოპერაცია საქართველოს მასიური საარტილერიო შეტევით დაიწყო. სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე საქართველოს გაერთიანებული სამშვიდობო ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა* ***მამუკა ყურაშვილმა*** *განაცხადა იმის შესახებ, სამხედრო ოპერაცია მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას.* ***ოდნავ მოგვიანებით, საქართველოს მხარემ უარყო მამუკა ყურაშვილის განცხადება, როგორც უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ გაკეთებული და სამხედრო ოპერაციის დაწყების საფუძვლად რუსეთის სამხედრო ძალების შემოსვლა გამოაცხადა“.***

მართლაც, ნაცრეჟიმი მაშინ მალევე მიხვდა, რომ **გენერალ ყურაშვილის** მიერ 7 აგვისტოს გაკეთებული განცხადება — **ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ვიწყებთო** — ავტომატურად გამორიცხავდა სააკაშვილის ხელისუფლების მიერვე შეთხზულ ვერსიას, თითქოს ქართული მხარის მიერ ცხინვალის დაბომბვა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრის საპასუხოდ მოხდა. შესაბამისად, ნაცებმა საზოგადოებას ახალი ზღაპარი შესთავაზეს — **გენერალი ყურაშვილი** კონტუზირებული იყო და თვითონაც არ იცოდა, რას ლაპარაკობდაო!

**გენერალი ყურაშვილი** იმ წუთიდანვე საჯარო სივრციდან გააქრეს და წლების განმავლობაში მისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა, 2012 წელს კი, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის კვალდაკვალ, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გამოჩნდა, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით სააკაშვილის რეჟიმის მამხილებელ ბევრ ფაქტსა და გარემოებაზე ისაუბრა.

ამდენად, თუ „ქართული ოცნება“ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულთა გამოძიებას შეუდგება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე, წესით, სწორედ **გენერალი მამუკა ყურაშვილი** უნდა იყოს, თუმცა, იგი დღეს ისევ ნაცმოძრაობის ბანაკის წევრია და საკითხავია, გამოძიებას რამდენად ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის?

სააკაშვილის ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ შექმნილ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიას ვერ მიაწოდა ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ქართული მხარე შეიარაღებულ კონფლიქტში მხოლოდ მას შემდეგ ჩაება, რაც რუსული სამხედრო ძალები ცხინვალის რეგიონში შეიჭრნენ. ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია:

***„მისიას არ შეუძლია, განიხილოს საქართველოს ბრალდება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტომდე რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრის შესახებ, როგორც საკმარისად დასაბუთებული. არსებობს კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა საერთაშორისო სამართლის მიხედვით გამართლებული საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება, რომელიც სამხრეთ ოსეთში 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვით დაიწყო? კითხვაზე პასუხია — არა“.***

# ტალიავინის კომისიის დასკვნა სააკაშვილის ხელისუფლებას ომის დანაშაულში ამხელს!

როგორც ხედავთ, **საერთაშორისო საგამოძიებო კომისია** ასკვნის, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა ყოვლად გაუმართლებელი და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან შეუსაბამო იყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ ეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის პროვოკაციებზე პასუხს წარმოადგენდა.



ჰაიდი ტალიავინი

**ტალიავინის კომისიის დასკვნაში** ვკითხულობთ:

***„რომც დავუშვათ, საქართველო შეტევას იგერიებდა, ანუ მისი რეაქცია სამხრეთ ოსეთის მხრიდან ქართველებით დასახლებულ სოფლებზე განხორციელებულ შეტევებზე პასუხს წარმოადგენდა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს შეიარაღებული პასუხი უნდა ყოფილიყო აუცილებელი და პროპორციული.*** *შეუძლებელია, დავუშვათ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის დაბომბვა „გრადის“ ტიპის მასიური სარაკეტო დანადგარებითა და მძიმე არტილერიით, შესაბამისობაშია აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნასთან იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო სოფლები.* ***საქართველოს სამხედრო შეტევის კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე, სამხრეთ ოსეთის მიერ განხორციელებული საპასუხო თავდაცვითი სამხედრო ქმედებები ნამდვილად შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლით დადგენილ თავდაცვის კანონიერ პრინციპებს“.***

**ევროკავშირის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის** დასკვნაში საუბარია იმის შესახებაც, რომ ქართულმა მხარემ საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, როცა ცხინვალის რეგიონში განთავსებულ რუსულ სამშვიდობო ძალებს დაესხა თავს:

***„გამართლებული იყო თუ არა საქართველოს მხრიდან რუსული სამშვიდობოების წინააღმდეგ ძალის გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე, ე.ი. სამხრეთ ოსეთში? პასუხი კვლავ უარყოფითია. ქართული ოპერაციის დაწყებამდე, რუსეთის მხრიდან შეიარაღებული თავდასხმა არ მიმდინარეობდა. საქართველოს მხარის მტკიცება სამხრეთ ოსეთში რუსული შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი თავმოყრის შესახებ, საქართველოს მიერ 7-8 აგვისტოს განხორციელებულ შეტევამდე, კომისიის მიერ ვერ იქნა დადასტურებული.*** *ასევე ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტიც, რომ რუსეთი ასეთი სერიოზული თავდასხმის განხორციელების ზღვარზე იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მზადყოფნაში იყო მოყვანილი გარკვეული ქვედანაყოფები და ტექნიკა.* ***ასევე არ არსებობს იმის დამადასტურებელი გარემოებები, რომ სამხრეთ ოსეთში რუსული სამშვიდობო დანაყოფები შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებებს... შესაბამისად, საქართველოს მიერ რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა“.***



საქართველო, 2008 წლის აგვისტო



**გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იმის დადგენა უნდა იყოს, რატომ არ გააფრთხილა სააკაშვილის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ და ომის გაჩაღებამდე რატომ არ იზრუნა კონფლიქტის ზონიდან მათ გამოყვანაზე?**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ევროკავშირის მიერ შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნით, რომელსაც ქართული გამოძიება აუცილებლად უნდა დაეყრდნოს, სააკაშვილის რეჟიმი საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევასა და ომის დანაშაულშია მხილებული!

ცხადია, **ტალიავინის კომისიის დასკვნაში** რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთში **ქართველების ეთნიკურ წმენდაზეც** არის საუბარი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღებას სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებზე ვამახვილებთ, რადგან საქართველოს ხელისუფლება სწორედ მათი გამოძიების პირობას დებს.

საერთოდ, 2008 წლის 8 აგვისტოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ძალით შემოჭრილი რუსეთი ოკუპანტი რომ არის, ამას არავითარი მტკიცება არ სჭირდება, რადგან საერთაშორისო დონეზე, ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოების მიერ არის დადასტურებული, მაგრამ **რუსეთის ოკუპანტობა სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა!**

მაგალითად, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწყებული გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იმის დადგენა უნდა იყოს, რატომ არ გააფრთხილა სააკაშვილის ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ და ომის გაჩაღებამდე რატომ არ იზრუნა კონფლიქტის ზონიდან მათ გამოყვანაზე?

თუკი 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულთა გამოძიება მართლაც დაიწყება, **გამოძიებას მოუწევს, მოწმის სახით დაჰკითხოს სამაჩაბლოდან დევნილი მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც წლებია, აცხადებენ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ისინი დასახოცად გაიმეტა.** მაგალითად, გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე შეიძლება, იყოს **სოფელ ერედვიდან დევნილი ლიზა ჟუჟნიაშვილი,** რომელმაც რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ სატელევიზიო თოქ-შოუში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ შოთა მალაშხიას მთელი ქვეყნის თვალწინ თავლაფი დაასხა და სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის საზარბაზნე ხორცად გამოყენებაში ამხილა:

## გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე შეიძლება, იყოს სოფელ ერედვიდან დევნილი ლიზა ჟუჟნიაშვილი, რომელმაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ შოთა მალაშხიას თავლაფი დაასხა და სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის საზარბაზნე ხორცად გამოყენებაში საქვეყნოდ ამხილა!



***„მინდა, ერთი შეკითხვა დავუსვა ბატონ მალაშხიას:*** *რატომ არ გააფრთხილეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომ ომი გარდუვალი იყო და გამოვსულიყავით? თუ თვითონ არ გამოგვიყვანდნენ, ჩვენ ხომ შეგვეძლო, ჩვენი ძალით გამოვსულიყავით? მათ სასწორზე დამადებინეს შვილისა და მამის სიცოცხლე. იძულებული გავხდი, ორიდან ერთ-ერთი ამომერჩია.* ***მაპატიოს მამაჩემის სულმა და მაღალმა ღმერთმა, რომ შვილის სული ვარჩიე და მამა ვერ გამოვიყვანე, დღემდე ტვირთად მაწევს ეს, დღემდე მამის საფლავი არ ვიცი, ისე დაიღუპა, რომ დღემდე ვერ გავიგეთ, დაიმარხა თუ არ დაიმარხა. ასევე დაემართა ბიძაჩემს. რა გინდოდათ, ხალხო, რისთვის გაგვწირეთ, საზარბაზნე ხორცად რატომ გვაქციეთ? თქვენ გინდოდათ, გენოციდი მოგეწყოთ ჩვენთვის და მსოფლიოსთვის დაგენახვებინათ, რუსები როგორი ბოროტები და აგრესორები იყვნენ, მაგრამ თქვენ იმათზე მეტი ბოროტება გამოიჩინეთ თქვენი ადგილობრივი მაცხოვრებლების წინაშე. რატომ დამადეთ ეს დიდი ტვირთი ზურგზე ცოდვად? როგორ მოვინელო ეს დიდი ცოდვა, როგორ ვაპატიო ჩემს თავს ის, რომ მამის სიცოცხლეს შვილის სიცოცხლე ვარჩიე? როდემდე ვზიდო ეს ტვირთი? მიპასუხეთ, ბატონო შოთა, გამეცით პასუხი ამაზე!“***

ამაზე და კიდევ მრავალ ასეთ დანაშაულზე სააკაშვილმა და მთელმა მისმა ნაცხროვამ უნდა აგონ პასუხი!

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, **სააკაშვილსა და მის ნაცხროვას,** ბოლოსდაბოლოს, თავიანთი სახელი უნდა დაერქვათ — **შინაოკუპანტები და თანაოკუპანტები!**

რაც მთავარია, საქართველოს **შინაოკუპანტები და თანაოკუპანტები** აუცილებლად უნდა გასამართლდნენ!

თუ ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კიდევ ერთხელ დატოვა, მას საჯაროდ დადებული პირობის შესრულება და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება მოუწევს!

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი „ქართულ ოცნებას“ სიტყვის გატეხას აღარ აპატიებს!**

**უკვე ისედაც ბევრჯერ და ბევრი აპატია!**

***ჯაბა ხუბუა***



# ლალი მოროშკინა: ნაციონალებს გეგმაში აქვთ საქართველოს ლიდერების და მოლაპარაკე თავების მასობრივი ხოცვა!

*— ხელისუფლების შეპასუხება დასავლეთისადმი, ირაკლი კობახიძის განცხადებები, ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლები გვაჩვენებს, რომ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ყველაფერზე. პირადად მე ასეთი განცდა პირველად მაქვს,* ***— აცხადებს ჟურნალისტი, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა და ხელისუფლებას რამდენიმე მნიშვნელოვან რჩევას აძლევს:***




## „პირბადეებით დაწყებული, ვაქცინებით დასრულებული, ყველაფერი გამოსაძიებელია!“

## „ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს ე.წ. პანდემიასთან დაკავშირებით!“

**კიბოს დიაგნოზს საქართველოში. მერწმუნეთ, დომინოს პრინციპით დაიშლება ყველაფერი და ძალიან ბევრ შეკითხვას გაეცემა პასუხი.**

— საზოგადოება არ უნდა შეშინდეს იმის გამო, რომ ამერიკამ 95-მილიონიანი დახმარება შეგვიწყვიტა. ეს დახმარება ჩვენს ქვეყანას მაინც არ ხმარდებოდა, რამდენიმე არასამთავრობოზე ნაწილდებოდა, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ საქართველოში სიტუაციის არევით. **კარგია ისიც, რომ ლუგარის ლაბორატორიას 2-მილიონიანი დაფინანსება შეუწყდა. უცხო ქვეყნის ლაბორატორია ქვეყანაში ნელი მოქმედების ნაღმია!**

რამდენიმე წელია, ვითხოვთ ლუგარის ლაბორატორიის მონიტორინგს, მაგრამ ვერ ვეღირსეთ. ახლა, როდესაც ლუგარის ლაბორატორიაზე კონტროლი ქართულ მხარეს ექნება, მარტივად შემოწმდება და არ იქნება მავნებელი. **როგორ შეიძლება ამდენი ონკოლოგიური პაციენტი იყოს ქვეყანაში, სადაც არცერთი ქარხანა არ მუშაობს? ან ყოველი მეორე ქალი ჩიყვის ოპერაციას იკეთებდეს?** ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს ე.წ. პანდემიასთან დაკავშირებითაც, რაზეც თქვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ მისაუბრია.

**— ასე არ ფიქრობს ყველა, მათ შორის, ეპიდემიოლოგები... მეტიც, ამბობენ, რომ უფასოდ არაერთი კარგი პროგრამა განხორციელებულა.**

— **იმნაძისა და გამყრელიძის** თავს მოხვეული პანდემიის გამო დაიღუპა ქვეყნის ძალიან დიდი ნაწილი და რა აქვთ სათქმელი?! **კვლევითი ლაბორატორია ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ სხვა ქვეყნის მიერ არ უნდა ფინანსდებოდეს.** კიდევ ერთხელ ვამბობ, ლუგარის ლაბორატორიის დაფინანსების შეწყვეტა ამოგვასუნთქებს და ეს ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია დამოუკიდებლობისაკენ სავალ გზაზე!

**ახლა პროკურატურის ჯერია, რომ ფარდა აეხადოს საუკუნის აფერას, ამდენი გარდაცვლილის ისტორიას და ამდენ**

პირბადეებით დაწყებული, ვაქცინებით დასრულებული, ყველაფერი გამოსაძიებელია. ხალხმა უნდა იცოდეს, კვაზიექიმებმა როგორ იშოვეს მილიონები,

## «ხალხმა უნდა იცოდეს, კვაზიექიმებმა როგორ იშოვეს მილიონები!»

როგორ იყიდეს საფრანგეთში ბინები მაშინ, როცა ადამიანები სახლებში ჰყავდათ გამოკეტილი. **დადგა დრო, დამნაშავეების დასჯა დავიწყოთ!** მსოფლიო როცა მორჩება ომობანას, შემდეგ ისევ პანდემია და ელექტრონული ფულის საკითხი დადგება დღის წესრიგში. თუ გვინდა, გლობალისტებს ამ ორომტრიალში ჩავყვეთ, კი ბატონო, მაგრამ ვფიქრობ, შეგვიძლია ეს ქვეყანა ოაზისად ვაქციოთ. ის ნიშა დავიჭიროთ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰქონდა შვეიცარიას.

2024 წლის არჩევნებზე ქვეყნის ბედი, მისი მომავლის საკითხი წყდება! ერთ მხარეს დგას „ქართული ოცნება“, რომელიც ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, მეორე მხარეს — **კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა,** რომელიც ხელისუფლებაში დაბრუნებისთანავე გაორმაგებული ძალით იძიებს შურს მათ მოწინააღმდეგეებზე.

პირდაპირ გეტყვით — **სიები აქვთ გამზადებული, რამდენი ადამიანი უნდა დახოცონ იმისთვის, რომ „დემოკრატიულად“ გააგრძელონ სვლა.** ნაციონალებს გეგმაში აქვთ საქართველოს ლიდერების და მოლაპარაკე თავების მასობრივი ხოცვა! ამ სიაში ბევრ ჩემს თანამოაზრესთან და მეგობართან ერთად მეც ვარ!

**— საკმაოდ ხმამაღალი განცხადებაა! საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?**

— საიდან გახდა ცნობილი **აკერმანის ტრენინგების** შესახებ? ძალიანაც ნუ იქნებიან დარწმუნებულნი თანაგუნდელების ერთგულებაში. ჩვენამდეც მოდის ინფორმაციები, მათ შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც აქეთა მხარეზე მუშაობენ.

სიების შედგენა რომ მათი საყვარელი საქმიანობაა, ამაში ეჭვი ხომ არ გეპარებათ?! **ამ სიაში არიან შეყვანილნი ის მოლაპარაკე თავები, რომლებიც ძალიან უშლით ნერვებს და საზოგადოებრივ აზრს ქმნიან.** პირდაპირი ბრძანებაა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ამ ადამიანების განადგურება მოხდეს.

**თანამედროვე პოლიტიკაში არ არის რთული ადამიანის თავიდან მოშორება, ამისთვის ბევრი გზა არსებობს. მათ შორის, მოწამვლა, რომელმაც ბოლო დროს ძალიან იმატა.**

ნაციონალების გეგმაა, განადგურდნენ ნარკომანებიც ისევე, როგორც ჰიტლერმა გააკეთა. ის გზებიც ცნობილია ჩვენთვის, როგორ აპირებენ ამის მიღწევას.

**— ვინ ადგენს სიებს და ვინ გეგმავს ამ ყველაფერს?**

— ისინი, ვინც ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია დაგეგმეს. ესენი არიან **ზურაბ ადეიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.** არაფერი შეცვლილა. იგივე ფიგურები აქტიურობენ!

**— სააკაშვილი კლინიკიდან ადგენს ე.წ. შავ სიებს? ცოტა დაუჯერებელია...**

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი ფიზიკურად ან პოლიტიკურად დასუსტებულია და არ აპირებს ბრძოლას, ძალიან ცდება. ის კვლავ მოძრაობის ფლაგმანია. **გიგა ბოკერია** ჩამოწერეს და მოაშორეს ოპოზიციას, რომელიც სააკაშვილს უშლიდა ხელს. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — **მიხეილ სააკაშვილი** ფენიქსივითაა და ფერფლიდან აღდგენა შეუძლია. დღეს საკმაოდ დიდი ფსონი კეთდება **ალასანია-სააკაშვილის** ტანდემზე.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებენ არჩევნებისთვის სიტუაციის არევას და დესტაბილიზაციის მოწყობას? როგორც ამბობენ, სერიოზულად ემზადებიან...**

— ჩვენც ვემზადებით. ყველაფერზე გვაქვს ინფორმაცია და გზადაგზა მოგაწვდით. ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ძალოვანი უწყების მუშაობაზე. **პრევენცია იქნება იმ ადამიანების დაჭერა, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებას და ჩვენს მკვლელობას აპირებენ. ეს თამაში ახლა უკვე დასწრებაზეა!**

მაშინ, როდესაც კომკავშირელები და კომუნიზმის აპოლოგეტები — **გიგი წერეთელი და მამუკა ხაზარაძე** ლიდერები არიან, რუსული ფულით გამდიდრებული **ლიაკა ხოშტარია** მორალს გვიკითხავს და კაცის მკვლელები აპირებენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, ძალიან დიდი შანსი აქვს „ქართულ ოცნებას“, ხელისუფლებაში დიდი უმრავლესობით მოვიდეს! რა თქმა უნდა, იქნება ბევრი მცდელობა, რომ რამენაირად გადაგვიყვანონ საომარ ვითარებაში, სალომე ზურაბიშვილიც თავიდან ბოლომდე დესტრუქციულ თამაშს ითამაშებს, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ბურთი „ოცნების“ მხარესაა.

**— საფრანგეთში ჩატარებულმა ოლიმპიადამ ყველას დაანახა ევროპის დეგრადაცია...**

— რაღა შორს წავიდეთ — საქართველოში, პირველ რიგში, ოჯახურ ძალადობაზე კანონი უნდა გაიწვიონ. **გადატენილია ციხეები უდანაშაულო ბიჭებით.** რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს, ყოფილ კოლეგებს შევხვდი და წუხილი გამოთქვეს — ისეთი ზრდილი და კარგი ბიჭები ტყუილად სხედან ციხეში, რომ გული გეტკინებაო. არანაირი ფემიციდი და თითიდან გამოწოვილი ტერმინები. **არავინ დამიწყოს ქალთა უფლებებზე საუბარი. დამნაშავე დამნაშავეა, ქალია თუ კაცი და ერთნაირად უნდა დაისაჯოს.** გვახსოვდეს — ესეც ზემოდან თავს მოხვეული პოლიტიკაა — გენოფონდის გადაშენების პროგრამა! ვფიქრობ, დიდი ამნისტია უნდა მოხდეს და ხელისუფლებამ ციხეში უდანაშაულოდ მსხდომი ბიჭები დაიხსნას!

უფრო მეტიც, „ოცნებამ“ განაწყენებულ, ერთგულ ადამიანებს უნდა დაუძახოს და დააფასოს! პარალელურად დაიწყოს დარჩენილი ჯალათების სტრუქტურებიდან გაყრა და დასჯა!

ასევე, დღეს ნებისმიერი გლეხი გეტყვით, რომ რუსეთთან შუბლით შესკდომა არ შეიძლება. რამდენჯერაც შევასკდით, იმდენჯერ დავკარგეთ ტერიტორია. მოლაპარაკებას არა აქვს ალტერნატივა! **ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომელიც სააკაშვილისთვის ქვების გროვა იყო, დავიბრუნოთ!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



# ონკოლოგია

## „როგორ შეიძლება ამდენი ონკოლოგიური პაციენტი იყოს ქვეყანაში, სადაც არცერთი ქარხანა არ მუშაობს? ან ყოველი მეორე ქალი ჩიყვის ოპერაციას იკეთებდეს?“

# გენერალისიმუსი

**№40 (276) ★ 2024 წლის 12 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან**

***ზუსტად 903 წლის წინათ, 1121 წლის 12 აგვისტოს, საქართველოს უდიდესმა ხელმწიფემ დავით აღმაშენებელმა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ბრძოლაში გაიმარჯვა და 55 ათას 600 კაცით დაამარცხა უზარმაზარი ისლამური კოალიცია, რომელსაც ბაღდადის გამგებელი და აუღებელი ციხე-ქალაქ მარდინის მფლობელი ნეჯმ ედ-დინ ილღაზი მეთაურობდა!***

# სტალინი რომ ცოცხალი იყოს, კურსკში გერმანულ ტანკებზე ამხედრებული უკრაინელები ვერ ირბენდნენ!





# სტალინმა აღმაშენებლის ანდერძი დაარღვია!







2021 წელს დიდგორის ომის 900 წლისთავი საქართველომ თურქეთის **„დიპლომატიური გაფრთხილების"** თუ **„მეგობრული რჩევის"** გამო ვერ გადაიხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი და რეალური დამოუკიდებლობა სინამდვილეში **მამუკა ხაზარაძის „უბორნიაშია"** მოსროლილი.

დიდგორის ბრძოლით **დავით აღმაშენებელმა** შეკრა კავკასიის იმპერია და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ასოცწლოვან უძლეველობას, რაც კულტუროლოგებმა და ხელოვნების ისტორიკოსებმა **საქართველოს ოქროს ხანად** მონათლეს!

სწორედ **აგვისტოში, ოღონდ 1943 წელს,** 81 წლის წინათ, კურსკის შვერილზე, კაცობრიობის ისტორიაში გაიმართა **უდიდესი სატანკო ბრძოლა,** რომელიც წითელი არმიის ქართველი მთავარსარდლის გამარჯვებით დასრულდა. **კურსკის ორმოცდაათდღიან ბრძოლაში, რომელშიც დაახლოებით 800 ათასი გერმანელი და 2 მილიონამდე წითელარმიელი მონაწილეობდა, ჰიტლერის გეგმა საბოლოოდ ჩაფლავდა.** 30 გერმანული დივიზია **კურსკის თვალუწვდენელ ტრამალებზე** ჩაწვა, ხოლო საბჭოთა კავშირმა სწორედ **კურსკის დიადი გამარჯვების** შემდეგ მოიპოვა გამარჯვება ცაში, გაათავისუფლა მარცხენა ნაპირის უკრაინა და ფაშისტური ვერმახტი თავდასხმის ნაცვლად თავდაცვით რეჟიმში გადაიყვანა.

**ახლა კი რა ხდება?**

**დღეს კურსკში სამარცხვინო მდგომარეობაა...** იქ, სადაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა მებრძოლებმა 81 წლის წინათ, **1943 წლის 5 ივლისიდან 23 აგვისტომდე,** მანშტეინის, მოდელის, კლუგესა და ჰოთის 80-ტონიანი „ტიგერები" და „პანცერები" დაადუღეს, გერმანული ტანკები ისევ გამოჩნდნენ, **ოღონდ დღეს ამ ტანკებზე უკრაინელები არიან გადამჯდარი და კურსკის ოლქის ქალაქების ქუჩებში რუსების მსუბუქ ავტომანქანებს გასწრებაში ეჯიბრებიან.**

ეს ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ, სანამ კრემლში სტალინის მსგავსი გენია არ დაიდებს ბინას, სანამ რუსები დიდი ბელადის დამსახურებას არ გაითავისებენ და პუტინი თავის საცხრამისო გამოსვლაში, ბოლოს და ბოლოს, არ იტყვის, რომ ომი **მაროდიორმა და ბრილიანტების ქურდმა მარშალმა ჟუკოვმა** კი არა, **გენერალისიმუსმა სტალინმა,** მისმა უმტკიცესმა დისციპლინამ და ზებუნებრივმა ნიჭმა მოიგო, რუსეთი ყოველთვის იქნება მეორეხარისხოვანი, მაჩანჩალა და გამასხარავებული სახელმწიფო ზუსტად ისე, როგორც კურსკში გაამასხარავეს და აბუჩად აიგდეს!

თუმცა, **ბუჩაში მოწყობილი სასაკლაო** და ხალხებისა და სახელმწიფოების **აბუჩად აგდება** რუსეთის ისტორიის შლეიფად გასდევს...

სტალინმა იცოდა დავით აღმაშენებლის ფასი. საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც სტალინმა **ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს** საგანგებოდ შეუკვეთა, საქართველოს წინაშე დავით აღმაშენებლის უდიდესი როლი და დამსახურება სწორედ სტალინის მითითებით გამოიკვეთა.

1951 წლის აგვისტოში საქართველოში სტუმრობისას, როდესაც ბელადმა გელათის სამონასტრო კომპლექსის დათვალიერება და დავით აღმაშენებლის საფლავის მონახულება ისურვა, მოხდა მრავლისმეტყველი ფაქტი — გაწერილი გრაფიკის თანახმად, სტალინი მონასტერში 20 წუთით უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ **მსოფლიო იმპერატორის** სტუმრობა **კავკასიის იმპერატორის** საფლავთან 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

**სტალინმა — მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის მომგებმა გენერალისიმუსმა** მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი ბრძოლის მომგებ ხელმწიფეს **გულზე ფეხი არ დაადგა, რითაც დავით აღმაშენებლის ანდერძი დაარღვია!**

ბელადი მარტო შევიდა გელათის მონასტერში და სათითაოდ ჩამოუარა ხატებს... განსაკუთრებით დიდხანს დავით აღმაშენებლის ფრესკის წინ იდგა, რომელიც მე-16 საუკუნეშია შესრულებული. **ქანდიდ ჩარკვიანი, აკაკი მგელაძე** და სხვა ჩინოსნები, რომლებიც მას ახლდნენ, სტალინის შიშით ეკლესიაში ვერ შედიოდნენ და ნახევრად ღია კარიდან იჭყიტებოდნენ.

— **თქვენ ღმერთი მართლა არ გწამთ?** რაღას უდგეხართ, შემოდით! — მიმართა **სტალინმა** მხლებლებს... დაფეთებული **ჩარკვიანი და მგელაძე** მთავარი ტაძრის დარბაზში შევიდნენ და ბელადის შორიახლოს დადგნენ. მონასტრიდან რომ გამოვიდნენ, სტალინმა სკამი მოითხოვა, დაჯდა და ზუსტად იმ მხარეს, საიდანაც ქუთაისი ხელისგულზე მოჩანს, დიდხანს გასცქეროდა ქალაქს.

დაახლოებით 2 საათის შემდეგ ბელადი წამოდგა და თქვა: — **ჩემს ცხოვრებაში ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძნია. არ შეიძლება, რომ აქვე, მონასტრის სიახლოვეს, ორსართულიანი საცხოვრებელი აგაშენოთ ათი კაცისთვის ისე, რომ გელათის არქიტექტურული ანსამბლი არ დაირღვეს?**

**ჩარკვიანი და მგელაძე** დაფაცურდნენ, ბელადს მაშინვე წარუდგინეს იქვე მყოფი **მიროტაძე** — ტაძრულშენის დირექტორი და მოახსენეს — **ამხანაგო სტალინ, ამხანაგი მიროტაძე ბრწყინვალედ შეასრულებს ამ საქმეს!**

ამხანაგმა მიროტაძემ მეორე დღიდანვე დაიწყო მუშაობა სტალინის აგარაკის გეგმაზე, რომელიც გელათში უნდა აშენებულიყო, მაგრამ საქართველოში დიდი ცვლილებების ხანა დაიწყო — ჩარკვიანი მგელაძემ შეცვალა, ხოლო სტალინი დიდი დავით აღმაშენებლის საფლავის მონახულებას მეტად ვეღარ მოესწრო, რადგან 1953 წლის 5 მარტს მოწამლეს და მოკლეს!

**რაც დღეს კურსკში ხდება, დიდი სტალინისა და კურსკის ბრძოლაში ფაშისტების წინააღმდეგ დაცემული ათასობით ქართველის შეურაცხყოფაა!**

ხოლო დავით აღმაშენებლისა და დიდგორის გმირების შეურაცხყოფაა ის, რომ **ჟიჟე გაშაძე,** რომელმაც **მქართუშეების მანიფესტს** მოაწერა ხელი, **„სტრატეგია აღმაშენებელს"** ხელმძღვანელობს და საქართველოს პრემიერ-მინისტრობას აპირებს!

**დავით აღმაშენებელი რომ ცოცხალი იყოს, ჟიჟე გაშაძეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მე-18 მუხლის თანახმად, ყურებს დააჭრიდა!**

სტალინი რომ ცოცხალი იყოს, კურსკში გერმანულ ტანკებზე ამხედრებული უკრაინელები ვერ ირბენდნენ!

***დიტო ჩუბინიძე***

**თანამედროვე რაკურს(კ)ით! ★**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲓᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ წლების მანძილზე მუშაობდა ქართულ პრესაში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის თანაშემწე, 1961-1970 წლებში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხოლო 1971-1991 წლებში — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი.*



# ᲓᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ

# ᲠᲐᲪ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘᲡ“ 2024 ᲬᲚᲘᲡ №39*

**ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡ ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ** დამრჩა ორი წიგნი ავტოგრაფებით: პირველი — „აზრები და მოგონებები ლენინზე“ წარწერით: **„ძვირფასო დევი! ეს შენ, ჩემი დაუვიწყარი მეგობრისა და შენი მამის სამახსოვროდ. ა. მიქოიანი.** 3. XII. 70 წ.“ და მეორე — **მემუარების ტომი „ბრძოლების გზით. წიგნი პირველი“** წარწერით: **„ჩემი მეგობრის შვილს — დევი სტურუას — კეთილი სურვილებით. ა. მიქოიანი, 71 წლის 16. IV“.** ამ ბოლო წიგნში არის მამისადმი მიძღვნილი რამდენიმე პასაჟი.

მაგრამ **ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ** მე დამრჩა მისი ზეპირი მოგონებები სტალინზე, რომლებსაც სხვადასხვა დროს ვიწერდი.

თავის პუბლიკაციებში სერგო მიქოიანი ზოგჯერ კარგავს ობიექტურობას, ვინაიდან მისი მამაც და ბიძაც — ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი **არტემ მიქოიანი** — სტალინისადმი დამოკიდებულებაში წინააღმდეგობრივნი იყვნენ.

სხვათაშორის, თვით ხრუშჩოვიც კი, რომელმაც პირველმა აღმართა ხელი „ღვთაებაზე“, რომლის შექმნაში უაქტიურესი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, ერთ საათს ვერ ძლებდა, რომ არ ეხსენებინა სტალინი, თანაც ხშირად დადებითად. მის გაწელილ სადილებსა და ვახშმებზე სტალინი ამ წვეულებების უცვლელი თანამესუფრე იყო.

**მე ახლაც მესმის ხრუშჩოვის ომახიანი ხმა:** — ჩვენ უხერხემლონი ვართ, უქნარები და არარაობანი, ჩვენ ვერაფერი ბოლომდე ვერ მიგვიყვანია!!! აი, სტალინმა კი იცოდა, როგორ აემუშავებინა ეს... და ა.შ.

აქ მომყავს მხოლოდ ნაწილი ნოველებისა, რომლებიც **ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ** გამიგონია და ჩამიწერია.

●

„სტალინს არ უყვარდა, როცა ადამიანი თავის გარეგნობას დიდ ყურადღებას უთმობდა, თუმცა, თვითონ ყოველთვის მოწესრიგებული იყო. განსაკუთრებით ვერ იტანდა **ᲨᲕᲔᲠᲜᲘᲙᲘᲡ** ძალზე გახამებულ თეთრ კიტელს და ენამწარეობდა ამასთან დაკავშირებით. ერთხელ ვაჩვენე სტალინს უშველებელი ბულგარული პომიდორი ძალზე თხელი კანით, ხომ გესმის? პომიდორი იყო კარგად მოსული, წვნიანი. მე ის ვაჩვენე სტალინს იმ განზრახვით, რომ ჩვენში დაგვენერგა ეს ჯიში.

სტალინმა პომიდორი გამომართვა, ხელში შეატრიალა და თქვა: პომიდორი კარგი ჩანს, გემრიელიც უნდა იყოს. დავნერგოთ იმის მერე, რაც გამოვცდი მას შვერნიკზე. ის ახლა მოვა აქ. აიღო მარჯვენა ხელში ჩემი პომიდორი, ხელი კი ზურგს უკან მიმალა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა შვერნიკი თავის ზომაზე მეტად გახამებულ, კარგად დაუთოებულ თეთრ კიტელში და ამბობს: გამარჯობათ, ამხანაგო სტალინ.

სტალინმა ისე მარჯვედ ესროლა მას ჩემი ბულგარული პომიდორი, რომ პირდაპირ შუა მკერდში მოახვედრა. ერთ წამში გაიწუწა შვერნიკის გახამებული კიტელი და მისი სახე, შვერნიკმა მოულოდნელობისაგან პირი დააღო, მაგრამ ვერაფერი ვერ თქვა. წასვლა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა, ვაითუ სტალინს ეწყინოსო. სტალინი უყურებდა შვერნიკს და გულიანად იცინოდა, თან ხელსა მკრავდა, — შეხედე ერთი ამასო. მეც გავიცინე, თუმცა, სასაცილო აქ არაფერი იყო. ბოლოს სიცილი დაიწყო თვით შვერნიკმაც, თუმცა, მას, მითუმეტეს, სულაც არ ეცინებოდა.

ბოლოს სტალინმა სიცილი შეწყვიტა და შვერნიკს უთხრა: წადი, სამოსი გამოიცვალე და დაბრუნდი. გაწუწული შვერნიკი წავიდა, სტალინმა კი მითხრა — პომიდორი ჩინებულია, აუცილებლად უნდა დავნერგოთ ჩვენში“.

●

„მე ხშირად ვაჩვენებდი სტალინს სხვადასხვა პროდუქტს, ვთხოვდი, გაესინჯა. სტალინი ყოველთვის მეუბნებოდა: — ჯერ შენ თვითონ გასინჯე, თუ საათ-ნახევარში არაფერი მოგივა, მეც მივირთმევო. ის სრულებითაც არ ხუმრობდა, თუმცა, ამ სიტყვებს სახუმარო იერს აძლევდა. განსაკუთრებით ფრთხილობდა, როცა სასმლის დეგუსტირებას ვთავაზობდი. რატომღაც ძალიან არ უყვარდა „იზაბელა“ ***(თვითონ მიქოიანს ეს ღვინო უყვარდა — დ.ს.)***. ამბობდა, ეს რა ღვინოა, ეს ხომ საზაფხულო მსუბუქი სასმელიაო, პლაჟზე დაილევა, როცა ძალიან ცხელაო. ახალგაზრდობაში შეეძლო, ბევრი დაელია, მაგრამ იშვიათად თვრებოდა. ომის შემდეგ ცოტას სვამდა, თითქმის არ სვამდა, თუმცა, სხვებს აძალებდა, ზოგჯერ დათრობამდე. ალბათ, ფიქრობდა, — ასეთ მდგომარეობაში ადამიანი თავის გრძნობებსა და განზრახვებს ვერ დამალავსო. ძალზე ეჭვიანი იყო, განურჩევლად ყველას მიმართ.

ერთხელ, ეს იყო 1952 წლის ზაფხული, ხრუშჩოვი და მე სოჭში ვისვენებდით. სტალინმა ლიკანის რომანოვების სასახლიდან დაგვირეკა, ბორჯომის თავზე რომ არის. საქმე ჰქონდა. სოჭიდან საღამოს გამოვედით და დილით უკვე ლიკანში ვიყავით.

**ჩაის სმის დროს სტალინი ვითომც სასხვათაშორისოდ გვეუბნება:** აქ ჩემთან იყვნენ ამხანაგები საქართველოდან, ძველი კომუნისტები. მათ მითხრეს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში და ქვედა ფენებშიც სულ მეგრელები არიან, ადგილი აქვს ნათლიმამობას, მექრთამეობას და სხვა საზიზღარ მოვლენებს. ეს ყაჩაღების ხროვა გრძნობაზე უნდა მოვიყვანოთ. რას იტყვით ამაზე?

**მე იმწამსვე მივხვდი, რომ სტალინმა თვით ბერიაზე აღმართა ხელი, მას უკვე დიდი ხანია, ეშინოდა ამ სალახანის, ამიტომაც, ალბათ, გეგმავს ახალ „საქმეს“.**

რაღა თქმა უნდა, ნიკიტაც მიხვდა, ქარი საით უბერავს და უცებ თქვა:

— ეს ძალზე სერიოზული სიგნალია. ამით უნდა დავინტერესდეთ საფუძვლიანად.

ხრუშჩოვს ბერია ეზიზღებოდა. მეც არ მქონდა მისდამი რაიმე განსაკუთრებული სიმპათიები, მაგრამ, ვიდრე სტალინი ბერიას მოიხელთებს, რამდენი ადამიანი დაზარალდება? ასეც მოხდა.

●

„სტალინი შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებდა. მე ის იქ ვინახულე. საქმე იყო. სადილის შემდეგ აივანზე ვზივართ, ვსაუბრობთ, სადღაც მოშორებით რაღაცას აფეთქებენ. საკმაოდ ძლიერი აფეთქებები გაისმის 10-15 წამის ინტერვალით. სტალინმა ეს ინტერვალი დაიჭირა და დაიწყო: **— ქართველებს ცეცხლი! ისმის მორიგი აფეთქება. — სომხებს ცეცხლი! და ა.შ. მოკლედ, საბჭოთა ხალხების მთელი თაიგული ცეცხლს მისცა“.**

●

„დაბრუნდა ერთხელ სტალინი შავი ზღვის სანაპიროდან. ძალიან კარგ ხასიათზე იყო. შევიკრიბეთ მის აგარაკზე მოსკოვთან ახლოს, ვსაუბრობთ. მოულოდნელად შემოდის პოსკრებიშევი და სტალინს ეუბნება:

— ამხანაგო სტალინ, იმ დროს, როცა თქვენ შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებდით, **ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲛᲐ** შეთქმულება მოაწყვეს თქვენ წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ გადაეყენებინეთ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობიდან.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მას თვითონ სტალინმა დაავალა, თორემ, აბა, ისე რას გაბედავდა ამისთანა პროვოკაციული სისულელის მოჩმახვას. მე ამას უცებ მივხვდი და შინაგანად მშვიდად ვიყავი. სლავას ***(ვ. მ. მოლოტოვს. — დ.ს.)*** კი ნერვებმა უმტყუნა. ის საშინლად გაფითრდა და კარადას მიეყრდნო, რომლის გვერდითაც იდგა. მე კი ვტაცე ხელი წნულ სკამს და პოსკრებიშევს ვესროლე.

სტალინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყოველივე ამას. როგორც მომეჩვენა, ჩემი რეაქცია **ᲞᲝᲡᲙᲠᲔᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ** სიტყვებზე მას მოეწონა, მოლოტოვის სისუსტე კი არა“.

●

„სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში დაკანონდა ერთი დაუწერელი წესი. თუ ჩვენ ვეთანხმებოდით მის აზრს, მის წინადადებას, ვამბობდით: **კეთილი, ამხანაგო სტალინ, კარგია, ამხანაგო სტალინ.** თუკი არ ვიყავით თანახმანი, ვდუმდით და სტალინი ხვდებოდა, რომ წინააღმდეგი ვართ. ეს წესი ჩამოყალიბდა უპირატესად ომის შემდეგ, ომის დროს კი შეიძლებოდა მისი მოსაზრების საწინააღმდეგო დებულების ჩამოყალიბება. სტალინი ამას ცოდვად არ გვითვლიდა, პირიქით, ხშირად გვაქეზებდა კიდეც.

ერთხელ, ეს იყო „ექიმების საქმის“ შემდეგ, სტალინმა მოულოდნელად გამოგვიცხადა პოლიტბიუროს წევრებს:

**— სანამდე უნდა ვუმალოთ ხალხს სიმართლე სერგოს *(ორჯონიკიძის — დ.ს.)* შესახებ?**

მე, ცხადია, გავიფიქრე, რომ სტალინს მხედველობაში აქვს მისი თვითმკვლელობა, მაგრამ მან მთლიანად გაგვაოგნა შემდეგი განცხადებით:

**— როდემდე უნდა დავუმალოთ ხალხს, რომ სერგო ინგლისის ჯაშუში იყო და როცა მიხვდა, რომ ხვალ თუ ზეგ ჩავარდება, აიღო და შუბლში ტყვია დაიხალა.**

ჩვენ ვდუმდით.

**— არ გინდათ და ეშმაკებსაც წაუღიხართ.“**

●

„სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პოლიტბიუროს თითქმის არცერთ წევრს არ ენდობოდა, ეჭვის თვალით უცქეროდა. ერთხელ მოსკოვის მახლობლად მდებარე აგარაკზე, რომელიც, ფაქტობრივად, მის სამუშაო რეზიდენციად იქცა, პოლიტბიუროს ყველა წევრის დასწრებით პოსკრებიშევს უთხრა: **ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲡ** „წითელი ტასის“ მასალებს ნუ აჩვენებთ, ეგენი ინგლისის დაზვერვის აგენტები არიანო“.

●

„სიცოცხლის ბოლო წლებში სტალინი ბევრ დროს ატარებდა სუფრასთან. სადილები და ვახშმები, როგორც წესი, ჭიანურდებოდა. იმას, ვისაც სმა-ჭამა უყვარდა, ეს, რა თქმა უნდა, აწყობდა, მაგრამ მე, პირადად, ვიტანჯებოდი ***(მიქოიანი ამაშიც დიდ ზომიერებას იჩენდა, ვეგეტარიანელი იყო, არ სვამდა, ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა არ უყვარდა, სეირნობდა სიამოვნებით ნებისმიერ ამინდში. — დ.ს.)***. ამ ტრაპეზების დროს ხშირად ვიხილავდით ამა თუ იმ, ზოგჯერ ძალზე სერიოზულ საკითხებს. ეს იყო, ასე ვთქვათ, პოლიტბიუროს არაოფიციალური სხდომები, უო-



ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡ ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ

## მოგონებანი გარდასულ დღეთა ★

# რაც მსმენია!



## მიქოიანისაგან მე დამრჩა მისი ზეპირი მოგონებები სტალინზე, რომლებსაც სხვადასხვა დროს ვიწერდი...

ანასტას მიქოიანი და იოსებ სტალინი

ქმოდ, მაგრამ, თუკი რაიმე გადაწყვეტილებაზე შევთანხმდებოდით, შემდეგ ეს შესაბამისად ოფიციალურად ფორმდებოდა.

ზოგჯერ კი ვსაუბრობდით განყენებულ თემებზე, ვხუმრობდით, ვიცინოდით, მაგრამ მეცა და ყველა სხვა დანარჩენიც შინაგანად მობილიზებული ვიყავით, ვინაიდან სტალინს ნებისმიერ დროს შეეძლო, რაიმე გამოხდომა დაეშვა, მახე დაეგო. ეს შინაგანი მზადყოფნა იმათაც კი არ ტოვებდა, ვინც თვრებოდა ამ გაჭიანურებული სადილებისა და ვახშმების დროს.

ერთხელ როგორღაც შევრჩით დილის ხუთ საათამდე. ვლაპარაკობდით ყველაფერზე, რასაც სიტყვა მოიტანდა, საქმეზე არა. დავლიეთ მაგრად, განსაკუთრებით **ვოროშილოვმა და ბერიამ.** ბოლოს წამოვდექი და ვამბობ: აბა, დავიძრათ, დავღალეთ მასპინძელი. სტალინი კი ამბობს: **მაცალეთ ცოტა ხანს, შესანიშნავი მწყერით გაგიმასპინძლდებით.** დავჯექი ჩემს ადგილზე და ვფიქრობ, ასეთი დიდებული ვახშმის მერე კიდევ რაღა მწყერი გვინდა?

რა გაეწყობა, უნდა დაველოდოთ მწყერს. ბოლოს, როგორც იქნა, აგარაკის დიასახლისმა ვალიამ ვეებერთელა ლანგრით შემოიტანა მწყრების მთელი გორა. რამდენი იყო იქ ეს ფრინველი, ღმერთმა უწყის. ჭამა არავის არ უნდა, მაგრამ რას იზამ, გადმოვიღეთ თითო-თითო. თითო მწყერს ყველა სწრაფად მოერია. სტალინი ამბობს: **თითოც გავსინჯოთ.** რას იზამ, გადმოვიღეთ ყველამ კიდევ ერთი მწყერი. უცებ მე შევამჩნიე, რომ ბერიამ მეორე მწყერი პიჯაკის გვერდითა ჯიბეში ჩაიდო. იმწამსვე სტალინს შევხედე. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან ეს ვერ შენიშნა.

— **ღმერთი სამებითაა,** — ამბობს სტალინი, — **კიდევ მივირთვათ.** არავის არ უნდა ამ მსუქანი მწყრის ჭამა, მაგრამ რას იზამ, სტალინს უარს ვერ ეტყვი, ეწყინება, რას არ გაკადრებს. გადმოვიღეთ მესამეც. ბერიამ ისიც პიჯაკის ჯიბეში ჩაუშვა. კიდევ შევხედე სტალინს, — არა, ვერ შეამჩნია. ერთი სიტყვით, ათამდე ავედით. აღარ შეგვიძლია, მაგრამ გმირულად ვღეჭავთ ამ წყეულ მწყერს. ბერია კი ასევე შეუმჩნევლად უჩენს მათ ადგილს პიჯაკის ჯიბეებში. სტალინი კი, როგორც მე მეჩვენებოდა, ამ ყალთაბანდობას ვერ ამჩნევდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ვალიას მიერ მოტანილი ვეებერთელა ლანგარი დაიცალა და ჩვენც წამოვიშალეთ, ვემშვიდობებით ამხანაგ სტალინს. მე ვიბოღმები, რომ **ბერიამ** მოახერხა, არ შეეჭამა ეს საზიზღარი მწყერი, თან ისე, რომ თვით სტალინიც კი გააცურა. **როცა სტალინმა ბერიას ხელი ჩამოართვა, უეცრად ჰკითხა: რა გაქვს პიჯაკის ჯიბეებში?** დახე, როგორ გამოგებერა. — არაფერი, ამხანაგო სტალინ, ისე, სხვადასხვა რამ, — მაგრამ ბერია უკვე მახეში გაება. — სხვადასხვა რამ, ამბობ, — განაგრძობს სტალინი, — აბა, ამოიღე ჯიბიდან ეს სხვადასხვა რამ, ჩვენც დავხედოთ. **ბერიამ ერთი მწყერი ამოიღო ჯიბიდან. — შეჭამე, — მოკლედ უბრძანა სტალინმა. ბერიამ შეჭამა. — აბა, კიდევ რა გაქვს მანდ, ამოიღე. ერთი სიტყვით, ორ-სამ წუთში ბერიამ ჯიბეში გადამალული ყველა მწყერი შეჭამა.** ცხადია, სტალინს არ გამოჰპარვია ბერიას თაღლითობა და მან ასეთნაირად გადაწყვიტა მისი დასჯა.

აგარაკის ჰოლიდან გამოვედით თუ არა, ბერიამ პირველივე ბუჩქთან მიირბინა. მას გული აერია. — ასე მოგიხდება, შე არამზადავ. — ვამბობ გუნებაში. სხვებსაც ძალიან გაეხარდათ, რომ ამჯერად მისი ნომრები არ გამოვიდა. რომ შემსუბუქდა ლავრენტი, დაიწყო ქართულად გინება: — **მაგის დედა... მაგის დედა...“**

●

„სტალინმა დაატრიალა თავისებურად ეს **„მეგრელების საქმე“.** ყველამ ვიცოდით, რომ ეს უხეშად შეთითხნილი პროვოკაციაა, **„ექიმების საქმის“** არ იყოს. ბერია მაშინ ორგანოებს აღარ მეურვეობდა. „მეგრელების საქმე“ მის წინააღმდეგ იყო მიმართული და მან ეს შესანიშნავად იცოდა, მაგრამ თავი ეჭირა. მხოლოდ ერთხელ გამოვიდა წონასწორობიდან, როცა სტალინმა პოლიტბიუროს სხდომაზე თქვა: **ხომ არ გადავასახლოთ ეს მეგრელები ყაზახისტანში?** ბერიას სახე ნაცრისფერი გაუხდა და აშკარა მუქარის კილოთი იკითხა: — **იქნებ, ჩემს გადასახლებასაც ფიქრობთ?** რაზეც სტალინმა მყისვე უპასუხა: — **თუ საჭირო იქნება, გადაგასახლებთ.**

ბერია ადგა და გავიდა პოლიტბიუროს სხდომათა დარბაზიდან, კარიც მაგრად გაიჯახუნა. ასეთი რამ არავის არასოდეს გაუბედავს. სტალინმა არანაირი რეაგირება არ მოახდინა ბერიას ამ თავხედურ საქციელზე. მხოლოდ თქვა: — დღეს ამით დავამთავროთ, ხვალ კი ისევ შევიკრიბოთ.

ვერ გეტყვი, იყო თუ არა ამის შემდეგ მათ შორის რაიმე საუბარი, მაგრამ, როცა მეორე დღეს შევიკრიბეთ, სტალინიცა და ბერიაც მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი. სტალინი აღარ შეხებია დეტალურად **„მეგრელების საქმეს“,** მოუბრუნდა ლავრენტის და უთხრა: — **ბერია, ჩადი საქართველოში, პირადად ჩაიხედე ამ საქმეში, შემდეგ კი პოლიტბიუროზე მოგვახსენე.**

ამ სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ სტალინმა გადაიფიქრა, ეს „მეგრელების საქმე“ ბერიას წინააღმდეგ მოებრუნებინა. ყველამ ასე გავიგეთ, მაგრამ ბერიამ სტალინს მაინც არ დაუჯერა, ასეთი კაცი არ იყო ***(ეს იყო ერთადერთი და ძალზე ფრთხილი ნართაული, რომ სტალინის სიკვდილში ბერიას ხელი ერია. სხვა შემთხვევაში მიქოიანი კატეგორიულად უარყოფდა სტალინის მოკვლის ყოველგვარ ვერსიას. ასევე თანმიმდევრულად მისდევდა მიქოიანი ბერიას მხილებისა და განადგურების კანონიკურ ვერსიას. — დ.ს.).***

ბერია ძალზე ცბიერი და ვერაგი იყო. სტალინის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ცდილობდა, დაახლოებოდა პოლიტბიუროს ზოგიერთ წევრს, განსაკუთრებით გველოლიავებოდა მოლოტოვსა და მე. სლავამ ერთხელ საუბარში კონფიდენციალურად მითხრა, რომ ბერიამ პოლინას ***(პოლინა ჟემჩუჟინა — მოლოტოვის მეუღლე — დ.ს.)*** დაპატიმრებასა და გადასახლებაში პირადად სტალინი დაადანაშაულა. როდესაც სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა, ბერიამ იმწამსვე თავისი პირადი თვითმფრინავი გაგზავნა პოლინას დასაბრუნებლად, თვითონვე დახვდა აეროპორტში და თავისივე მანქანით მიუყვანა მოლოტოვს კრემლის ბინაზე. — აჰა, სლავა, ჩაიბარე შენი პოლინაო.

**მოლოტოვმა** ეს, რა თქმა უნდა, დაუმადლა ბერიას და როცა დადგა საკითხი ბერიას მხილებისა და მოსპობისა, საკმაოდ ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოგვცა თანხმობა. მთელი ამ ისტორიის ინიციატორი იყო **ხრუშჩოვი.** პირველად გაგვენდო მე და **ვოროშილოვს,** მერე სხვებსაც. **მალენკოვს** სულ ბოლოს ვუთხარით, მაგრამ მან, წარმოიდგინე, იმწამსვე მოგვცა თანხმობა. ჩვენ ცოტა არ იყოს, გვეშინოდა, რომ მას არაფერი ეთქვა ბერიასთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, საღმა აზრმა გაიმარჯვა — გაყიდა თავისი მეგობარი, მიხვდა, რომ მას აღარაფერი უშველიდა. არათანმიმდევრული და მერყევი იყო მალენკოვი, თანაც უზომო მლიქვნელი. **როცა პოლიტბიუროზე სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იხილებოდა, მალენკოვმა წინადადება შემოიტანა, მოსკოვს სტალინი ვუწოდოთო.** სტალინი გაბრაზდა და თქვა: **„რომელ სულელს მოუვიდა თავში ეს აზრი?“** სხვათაშორის, საიუბილეოდ ბევრი წინადადება იყო გამოთქმული. სტალინმა ყველა ისინი უარყო. დატოვა მხოლოდ საზეიმო სხდომა დიდ თეატრში“.



ნიკიტა ხრუშჩოვი და ლავრენტი ბერია

## „ხრუშჩოვს ბერია ეზიზღებოდა!“

●

„ამბობენ და, მგონი, წერენ კიდეც, რომ სტალინმა ომის დაწყება რომ გაიგო, შეშინდა, დაიბნა, პროსტრაციას მიეცა, აგარაკზე წავიდა, იქ ჩაიკეტა და ვითომ ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებმა, ლამის ძალით გამოვიყვანეთ ის იქიდან და ჩამოვიყვანეთ კრემლში. ზოგი იმასაც ამბობს, რომ თითქოს გვინდოდა მისი გადაყენება ყველა პოსტიდან. ყველაფერი ეს სისულელეა. სტალინს სრულებით არ უნდა იცნობდე, რომ ამისთანა სისულელე თქვა. **სტალინი ყველაფერში შეგეძლო დაგედანაშაულებინა, ოღონდაც სიმხდალეს ვერ დასწამებდი. მაგარი იყო. მართალია, მოგვიანებით ორი თუ სამი დღით ჩაიკეტა, — თავის ცნობილ ივლისის გამოსვლას წერდა.** ომის დაწყების დღიდან, მე, ისევე როგორც პოლიტბიუროს სხვა წევრები, თითქმის ყოველდღიურად ვხვდებოდი მას. ვნახე ომის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ. გარეგნულად ის მშვიდად გამოიყურებოდა, ლაპარაკობდა და იქცეოდა ჩვეულებრივად, პროსტრაციის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. არა, ძალიან მაგარი კაცი იყო.“

●

„45-ის მაისის პირველ რიცხვებში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების წინა დღეებში სტალინმა პოლიტბიუროს სხდომა მოიწვია. სხდომას ესწრებოდა თითქმის ყველა მარშალი. სხვა არავინ იყო. ოქმიც არ იწერებოდა. ყველა მიხვდა. საქმე მეტად სერიოზულია.

— **მაშ, რა, ვამთავრებთ ომს?** — გაგვაოგნა ყველანი ამ შეკითხვით სტალინმა და განაგრძო: **დღეს ჩვენ გაცილებით უფრო ძლიერნი ვართ ჩვენს მოკავშირეებზე. დასავლეთ ევროპაში მოქმედებენ უძლიერესი კომპარტიები. ამ ქვეყნებს ცერემონიული მარშით გავივლით, ფრანკოს ზღვაში გადავუძახებთ. გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ომი შეუძლებელი გახდება. რას იტყვით ამაზე?**

ჩვენ ყველას ელდა გვეცა, ნუთუ სტალინი აპირებს, დააჯახოს საბჭოთა არმია გუშინდელ მოკავშირეებს? როგორ შეხედავს ამას ჩვენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო?!

სამარისებური მდუმარება **ჟუკოვმა** დაარღვია. მან მტკიცედ თქვა: — **ამხანაგო სტალინ, მთელი ჩვენი არმია სულდგმულობს იმით, რომ ომი, დღეს თუ არა, ხვალ, დამთავრდება. არმია დაღლილია, ამხანაგო სტალინ. ან როგორ გინდათ, აუხსნათ ჯარისკაცებს, რომ აუცილებელია ომი იმათთან, ვისთანაც ერთად ამდენი წლის განმავლობაში ვიბრძოდით ფაშისტების წინააღმდეგ?**

— საბაბი მოიძებნება! — თქვა სტალინმა.

**— დავუშვათ, მაგრამ ევროპას ჩვენ ვერ გავივლით ცერემონიული მარშით. მოკავშირეთა ძალის შეუფასებლობა არ შეიძლება, მითუმეტეს,**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

# მოგონებანი გარდასულ დღეთა ★



ლად უთხრა: — **აფსუს, რომ ამ სურათს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე არ ხედავენო.**

მე ვკითხე ბატონ **გრიგოლ კარანაძეს,** რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ისტორია, რაზეც ბატონმა გრიგოლმა ღიმილით მიპასუხა: — **ხო, იყო რაღაც ამდაგვარი.**

ამ სტრიქონების ავტორი შეხვდა ირანის შაჰს **რეზა ფეხლევის,** როცა ის უკვე კარგა მოწიფული იყო. მისმა უდიდებულესობამ საქართველო ინახულა.

ფუნიკულიორის რესტორანში გაიმართა მიღება (მასპინძელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი **გიორგი ძოწენიძე** გახლდათ), რომელზეც ევროპულად გაზრდილი, დახვეწილი შაჰი თავს არხეინად გრძნობდა. ის სრულებითაც არ ჰგავდა იმ ნორჩ გვირგვინოსანს, რომელსაც სტალინის დანახვაზე გული წაუვიდა.

და აი, ამ ევროპულად განათლებულმა, დახვეწილმა შაჰმა თავის გამოსვლაში მიღების დროს ერთი უტაქტობა დაუშვა. როცა მან სუფრასთან მსხდომი მანდილოსნების სადღეგრძელო წარმოთქვა, დააყოლა — **სპარსელებს ყოველთვის უყვარდათ ქართველი ქალებიო.**

ჩვენ ვიცით, როგორც უყვარდათ სპარსელებს ქართველი ქალები. საუკუნეთა მანძილზე როგორ ერეკებოდნენ ქართველ ასულებს შაჰებისა და ხანების ჰარამხანებში. არ უნდა ეთქვა მას ასეთი რამ.

მალე საქართველო შაჰის და**აშრაფ ფეხლევიმ** ინახულა. აშრაფი და შაჰი ტყუპები იყვნენ. ხალხმრავალ მიღებაზე აშრაფისა და მისი მეუღლის, ნავთობმრეწველის მოროზოვის (განთქმული რუსი კაპიტალისტის სავა მოროზოვის შვილიშვილი) პატივსაცემად, მე მივეცი ჩემს თავს ნება, შაჰის უტაქტობისათვის პატარა „შური მეძია“. ეს „შურისძიება“ შემდეგში გამოიხატებოდა:

მე ვუთხარი აშრაფს: — თქვენო უმაღლესობავ! ქართველებს აქვთ ერთი ასეთი ჩვეულება — ისინი აძლევენ საშუალებას მაღალ სტუმარს, შეასრულოს თავისი ქვეყნის ცეკვა. გთხოვთ, შეასრულოთ სპარსული ცეკვა და ამით გვცეთ პატივი აქ მყოფ ქართველებს.

აშრაფი, რომელმაც სამიოდე ფუჟერი შამპანური მიირთვა და წამოწითლდა კიდეც, სიამოვნებით დაეთანხმა ჩემს წინადადებას. შემდეგ მე მივუბრუნდი მიღებაზე მყოფ ჩემს თანამემამულეებს შემდეგი სიტყვებით:

**— ქართველებო! ახლა საქართველოს ისტორიაში პირველად ჩვენ წინ იცეკვებს შაჰის და, როგორც ცეკვავდნენ ჩვენი ასულები შაჰებისა და ხანების წინ. ეს არის ჩემი პასუხი და „შურისძიებაც“ შაჰის იმ სიტყვების გამო, რომ სპარსელებს ყოველთვის უყვარდათ ქართველი ასულები.**

ყველა დამსწრემ ერთსულოვანი ტაში შემოჰკრა. რაღა თქმა უნდა, ის, რაც მე ვთქვი, სარისკო იყო. აშრაფისა და მოროზოვის ამალაში ვინმეს რომ სცოდნოდა ქართული, დიდ ხათაბალაში გავებმებოდი, მაგრამ არა უშავს რა, ჩაიარა.

მე გამოვიყვანე წამოწითლებული **აშრაფი** დარბაზის შუაგულში და ჩავჩურჩულე: ძალიან გთხოვთ, ვიდრე მუსიკოსები დაკვრას არ დაამთავრებენ, ცეკვას ნუ შეწყვეტთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ძალიან გაანაწყენებთ მასპინძლებს.

შემდეგ მუსიკოსებს ვთხოვე, რაიმე აღმოსავლური რითმული ცეკვის ჰანგი შეესრულებინათ და არ გაჩერებულიყვნენ, ვიდრე ნიშანს არ მივცემდი.

ერთი სიტყვით, აშრაფი ლამის გულის წასვლამდე ცეკვავდა. როცა მან მუდარით სავსე მზერა მესროლა, მხოლოდ მაშინ მივეცი ნიშანი მუსიკოსებს, შეეწყვიტათ დაკვრა.

●

სტალინზე წერდნენ და წერენ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ბევრს, ძალიან ბევრს. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ამ გოლიათს ახლაც ჰყავს მონუსხული მთელი მსოფლიო თავისი შემაძრწუნებელი ხიბლით.

მახსოვს, თბილისში რუსული ლიტერატურის დღეები რომ ტარდებოდა, **ევგენი ევტუშენკო** ჩვეულებისამებრ სტალინს მოსდგა, არ დაიშურა მკვახეზე მკვახე ეპითეტები. სხვადასხვა გრძნობით უსმენდნენ მაშინ ევტუშენკოს, მაგრამ არავინ არ შეპაექრებია. ბოლოს **სიმონოვმა** თქვა წყნარად, თითქოს იმ ეპოქის ტალღებში იძირებაო: **ეხ, ჟენია, ჟენია. აი, წარმოთქვამ შენ აქ სხვადასხვა ხმაურიან სიტყვას, მაგრამ ერთხელ მაინც რომ გენახა ეგ ადამიანი, გასაუბრებოდი მას, როგორც ქალმა იცის თავდავიწყებით შეყვარება, ისე შეგიყვარდებოდა.**

სტალინის გარშემო, ისევე როგორც იულიუს კეისრის ან ნაპოლეონის გარშემო, ყოველთვის იქნება აზრთა და შეფასებათა ჭიდილი იმიტომ, რომ ასეთი ფენომენის ანატომირება ყოველთვის საინტერესოა, ვინაიდან მათ აჩვენეს ერთი ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმუმი.

ბალზაკი წერდა, რომ გენიოსი არ აბარებს ანგარიშს ეპოქას, ვინაიდან თვითონ არის მისი შემქმნელი. **ჩააბარებს თუ არ ჩააბარებს სტალინი ანგარიშს თავის ეპოქას — ალბათ, შორეული მომავლის საქმეა.**

## დევი სტურუა

# რას მინახავს და რას მსმენია!

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე

**რომ ამერიკელებს ატომური ბომბი გააჩნიათ. თუ ჩვენ ახალ ომს წამოვიწყებთ, ეს იქნება ახალი დასაღუპავად განწირული ავანტიურა, რომელიც მილიონთა სიცოცხლეებს შეიწირავს. ომი უნდა დავამთავროთ, ამხანაგო სტალინ.**

— რას იტყვიან სხვა მარშლები? — იკითხა სტალინმა. ყველა მარშალმა ჟუკოვს მხარი დაუჭირა. — **ომი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება** — ერთხმად ამბობდნენ ისინი.

შემდეგ ამავე კითხვით სტალინი მოგვიბრუნდა ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებს. დადგენილი ტრადიციის მიხედვით, ჩვენ ვდუმდით, ესე იგი, არ ვეთანხმებოდით მის წინადადებას.

სტალინისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. მცირე პაუზის შემდეგ მან თქვა, რომ ჩვენ ყველანი, მარშლებიც და პოლიტბიუროს წევრებიც, ვართ მხდალები, რომ ის მარტო თავისთავზე არ აიღებს ასეთ პასუხისმგებლობას, რომ ისტორია ამას არ გვაპატიებს, რადგან სხვა ასეთი შანსი აღარ იქნება.

ყველამ შვებით ამოისუნთქა.“

●

**რა შეიძლება ითქვას ანასტას მიქოიანის ამ ზეპირ მონათხრობზე, მის მეტად საინტერესო ნოველებზე?** რა თქმა უნდა, ისინი სუბიექტურია და, როგორც მკითხველმა იოლად შეამჩნია, ძირითადად, ნეგატიურია სტალინის მიმართ. მაგრამ **როგორი ინტერპრეტაციაც უნდა მივცეთ მიქოიანის მიერ გადმოცემულ ეპიზოდებს, ისინი მაინც მეტ-ნაკლებად ასახავენ იმ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში სტალინის ერთმმართველობის დროს.**

●

თეირანის კონფერენციის შემდეგ ხალხში დადიოდა ერთი ასეთი ისტორია:

სტალინმა გადაწყვიტა, ვიზიტად სწვეოდა ირანის შაჰს **რეზა ფეხლევის,** რომელიც ამერიკელებმა ეს-ესაა აიყვანეს ტახტზე, დაამხეს რა მისი მამა. შაჰი მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო და სტალინის მოსვლამდე ძალზე ინერვიულა.

როცა სტალინი ბერიასა და სახელმწიფო უშიშროების გენერლის **გრიგოლ კარანაძის** თანხლებით სატახტო დარბაზში შევიდა და ნორჩ შაჰს მიუახლოვდა, ირანის ახალ მფლობელს მუხლები მოეკეცა და სტალინის წინ ჩაიჩოქა. სტალინი დაეხმარა შაჰს, ფეხზე წამომდგარიყო, შემდეგ მიუბრუნდა ბერიასა და კარანაძეს და ქართუ-




**სტალინმა გადაწყვიტა, ვიზიტად სწვეოდა ირანის შაჰს რეზა ფეხლევის, რომელიც ამერიკელებმა ეს-ესაა აიყვანეს ტახტზე, დაამხეს რა მისი მამა. შაჰი მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო და სტალინის მოსვლამდე ძალზე ინერვიულა!**

გენერალისიმუსი
2024 წლის 12 აგვისტო. №40 (276)
სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „გლობალურმა ომის პარტიამ კუდი ველარ უნდა მოიქნიოს!“





## ოლეგ იაძე:

## გადაიყვანეთ სააკაშვილი ციხეში და წაუყენეთ რეალური ბრალდებები!

*„სულმოუთქმელად ველი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას“, —* ***სამიოდე კვირის წინ ამ სათაურით დაიბეჭდა ინტერვიუ ცნობილ ქართველ სპორტსმენთან, კასპის რაიონის ყოფილ გამგებელთან, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელ ოლეგ იაძესთან. მისი პროგნოზი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა და ბაიდენმა პოლიტიკური სიცოცხლე მართლაც დაასრულა:***

— ზუსტად, ამოხროტინების ტოლფასი იყო **ბაიდენის** განცხადება, რომ, ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ აპირებს. დგება თვალის ახელისა და გონზე მოსვლის დრო და ისიც ირკვევა, რომ **„დემოკრატია“, „პარტნიორი ამერიკა“** ან **„მშობლიური ევროპა“** — ქართველებისა და სხვა მიამიტი ერების დასაბანგად შეთხზული თემებია!

**— და მაინც, რატომ ესროლეს ტრამპს?**

— იმიტომ რომ, აცხადებს, პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემთხვევაში უკრაინაში ომს უმოკლეს ვადაში დავასრულებო! ეს მართლაც რეალურია, რადგან ომის შესაჩერებლად სწორედ ამერიკის პრეზიდენტის ნებაა საკმარისი! კიდევ იმიტომ, რომ არ იზიარებს ლგბტ იდეოლოგიას, რომელიც მსოფლიოს ისტერიასავით მოედო და კაცობრიობის კრიზისი განაპირობა! იმიტომ, რომ ამერიკის დღევანდელი ოფიციალური პოლიტიკისგან განსხვავებით, რაც კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომისკენ უბიძგებს, ტრამპს მშვიდობა სურს! ახლახან თეირანში სარაკეტო იერიშის შედეგად მოკლეს პალესტინელთა მოძრაობა „ჰამასის“ ლიდერი **ისმაილ ჰანია,** რომელიც ირანის ახალი პრეზიდენტის **მასუდ პეზეშქიანის** ინაუგურაციაზე დასასწრებად იყო ჩასული. ამერიკელები და მათი დამქაშები ჯერ ტერორისტებად აცხადებენ და შემდეგ კლავენ ქვეყნების ლიდერებს, რეალურად კი, თავად არიან ტერორისტები!

**თუ რომელიმე ქვეყანა ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მისი ლიდერი უეჭველად ფაშისტად ან ტერორისტად ცხადდება და მერე მათ კლავენ!**

ზვიად გამსახურდიაც ხომ ჯერ ფაშისტად გამოაცხადეს, მერე ხელისუფლებიდან ჩამოაგდეს და ბოლოს მოკლეს! ასე დაგეგმა და განახორციელა დასავლეთმა სხვადასხვა ქვეყანაში ფერადი რევოლუციები. როგორც ჩანს, ტრამპი ამ ჭაობის ამოშრობას აპირებს!



საიდუმლო სერობის პაროდია პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე. 2024 წლის 26 ივლისი

## „ევროპამ პარიზის ოლიმპიადით გაამჟღავნა, რომ თავად არის გახრწნილების გვირგვინი!“

**— და მაინც, რა დავუშავეთ ქართველებმა ამერიკას, რომელიც სანქციებით დაგვიპირისპირდა?**

— ამერიკაში დარწმუნდნენ, რომ მათი მოსატყუებელი კბილი მოვიცვალეთ და უკრაინელებივით თვითლიკვიდაციაზე არ წავალთ. იმაშიც დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ლგბტ იდეოლოგია და ერთნაირსქესიანთა ქორწინება ვერასოდეს ფეხს ვერ მოიკიდებს! ამიტომ გადაგვემტერნენ, სახელმწიფო გადატრიალებაც ამის გამო დაგეგმეს, მაგრამ კისერსა და კინჩხს სწორედ საქართველოში წაიმტვრევენ!

**— ამასობაში, პრეზიდენტად დასაქმებული სამარცხვინო პრეზიდენტი დებატებში იწვევს ბიძინა ივანიშვილს...**

— მართლაც სამარცხვინოა მისი ნაბიჯი, რათა როგორმე დორბლიან სააკაშვილს აამოს! რა აქვს სათქმელი ქალს, რომელიც ღიად მოღალატურ პოლიტიკას ეწევა?! როგორც ჩანს, სააკაშვილის გარეთ გამოყვანისათვის იღვწის! **ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ დასავლეთმა ჩვეული ბინძური მეთოდებით აიძულა ხელისუფლება, საპრეზიდენტო სავარძელში ჩაესვათ თავიანთი ფავორიტი და ყურმოჭრილი აგენტი!**

**— 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა არჩევანი უნდა გააკეთოს ომსა და მშვიდობას შორის. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ნაცებმა და მათ ორბიტაზე მყოფმა ყველა ძალამ კარგად უწყიან, რომ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ გააჩნიათ! ამიტომ ისინი არჩევნების შემდგომი დღისთვის ემზადებიან, როცა არჩევნების ნებისმიერი შედეგი გაყალბებულად უნდა გამოაცხადონ და ხელისუფლების დასამხობად ქმედებაზე გადავიდნენ! ამიტომ არჩევნების შედეგი უნდა იყოს მაქსიმალურად დამაჯერებელი, **გლობალურმა ომის პარტიამ კუდი ველარ უნდა მოიქნიოს!**

აქვე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას გამოვხატავ, თუ ხელისუფლებას მივმართავ — **გადაიყვანეთ სააკაშვილი ციხეში და წაუყენეთ რეალური ბრალდებები!**

დასავლელი მენტორების რჩევით, გამყიდველ ოპოზიციას უამრავი გეგმა აქვს შემუშავებული, რათა როგორღაც დესტაბილიზაციას მიაღწიოს. არც ის არის გამორიცხული, რეჟიმის დროს კატაკომბებში საგანგებოდ გადამალული იარაღი გამოაჩინონ, მაგრამ, გარწმუნებთ, ამას იქით ვერ წავლენ! ჩვენი ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება საკმაოდ კარგად არის შემზადებული ნებისმიერი პროვოკაციის ასალაგმავად! გარწმუნებთ, ვერც იმ რაოდენობის ხალხის გამოყვანას შეძლებენ, ამასწინანდელ აქციებზე რომ ჰყავდათ, რადგან **ევროპამ პარიზის ოლიმპიადით, რომლის გახსნის ცერემონიალზე იესო ქრისტეს საიდუმლო სერობა სოდომისტებს გააშარჟებინეს, ბოლომდე მოიჭრა თავი და გაამჟღავნა, რომ თავად არის გახრწნილების გვირგვინი!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



2008 წელს **ჯარმა — მაგრად დადგომით, ხალხმა — ქუჩაში გამოსვლით, მე — თბილისში დარჩენით, პარტნიორებმა — აქ ჩამოსვლით და ამერიკელებმა ფლოტის გამოგზავნით** სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ.

„ინტერპრესნიუსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე*



მიხეილ სააკაშვილი 26 ოქტომბრის შემდეგ **იქნება თავისუფალი და აუცილებლად ერთად ავაშენებთ** დამოუკიდებელ, ევროპულ და დემოკრატიულ საქართველოს.

„რეზონანსი“

**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი*



**მიხეილ სააკაშვილის მაგინებელ ხალხს** ჩვენთან არაფერი ესაქმება — **ისინი არავის აღარ წარმოადგენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



**„დემოკრატიის ფესტივალი“** გამოიყურება ნაცმოძრაობის დიდ მოწადინებად, **„გაანაცოს“ იქ მონაწილე ოპოზიცია,** სხვანაირად არ იხსნება **სააკაშვილის სურათის თუ პოსტერის გამოტანა.**

„პირველი არხი“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო მდივანი*



პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ **ომის დაწყების თარიღი იყოს 7 აგვისტო** და ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობდეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, **ვინ დაიწყო ომი.**

„ინტერპრესნიუსი“



# ვინ უღალატა და ვინ

## იგორ კვესელავა:

# მოვუწოდებ ხელისუფლებას, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ახალი ნიურნბერგის პროცესის გამართვის პირობა დადოს!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ საგაზეთო საუბრების ციკლს ასრულებს და ზვიად გამსახურდიას პიროვნებას აფასებს:***

— ზვიად გამსახურდია გამარჯვებისთვის მებრძოლი პოლიტიკოსი იყო, რომელსაც ეკუთვნის ხუთიათასწლოვანი ქართველი ერის ბრძოლისა და გამარჯვების ფორმულა — **„ყოველთვის წინ წასვლა სჯობს! ყოველ თაობას სჭირდება მაგალითი უთანასწორო ომში დაკარგული სიცოცხლისა, რათა მომავალმა ბრძოლაზე არ აიღოს ხელი!“** მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მსგავსი რამ არ წამიკითხავს. ასე მოკლედ და მკაფიოდ, მგონი, არავის მოუცია ადამიანის და, მითუმეტეს, ქართველის დანიშნულება და ამქვეყნად მოვლინების აზრი. როდესაც გერმანიაში ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებდა, **თომას მანმა** წარმოთქვა საუკუნის ფრაზა — **„მე გათავისუფლებული ვარ გერმანელობისაგან!“** საქართველოში შევარდნაძის სისხლიანი ხუნტის მძლავრობის ჟამს ბევრი სინდისიანი ქართველი ვიცი, რომელსაც პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი — **მე გათავისუფლებული ვარ ქართველობისაგან!**

**მიხეილ კვესელავასგან,** რომელიც ჩემი ახლობელი იყო და მერე ეს ყველაფერი თავის საქვეყნოდ ცნობილ „ასერგასის დღეშიც“ დაწერა, ვიცოდი, რომ ნიურნბერგში, სადაც ფაშისტები გაასამართლეს, ათეულათასობით ტონა მამხილებელი დოკუმენტისგან, საბოლოოდ 1000 ფუთი, ანუ 16 ტონა ბრალდება შეკრეს და ჰიტლერელებს წარუდგინეს. **საქართველოში შევარდნაძისა და მისი ბანდის გასასამართლებლად 1 ტონა ბრალდების მოგროვება ადვილი შესაძლებელია, მაგრამ საქაშვილიც და დღევანდელი ხელისუფლებაც წარმოადგენენ შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელებას და არა შევარდნაძის გამსამართლებლებს!** არადა,

**ერის ღირსების გადასარჩენად აუცილებელია, თბილისშიც გაიმართოს ახალი ნიურნბერგი და გავასამართლოთ ცოცხლებიც და მკვდრებიც, რათა ქართველმა ერმა და მთელმა მსოფლიომ გაიგოს, თუ რა მოხდა საქართველოში 1992 წლიდან დღემდე.**

ყველაფერი, რაც დღეს ხდება, სწორედ იქიდან მოდის. ამიტომ, თუ დამნაშავეებს საკადრისს არ მივუზღავთ, არაფერი გვეშველება. არავის დახვრეტასა და ჩამოხრჩობას არ ვითხოვ, მაგრამ ბნელი და სისხლიანი წარსული უნდა გასამართლდეს! ამიტომ მოვუწოდებ, პირველ რიგში, ხელისუფლებას, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე თბილისში ახალი ნიურნბერგის პროცესის გამართვის პირობა დადოს!

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბესარიონ გუგუშვილის პერსონა! რატომ?**

— დიახ, სწორედ ასეა, რადგან ზვიადის მკვლელობის საქმეში **შევარდნაძის, ავთო იოსელიანის, ავთო მარგიანის, გია გულუას, გივი ლომინაძისა** და სხვათა და სხვათა როლი ჩემთვის აბსოლუტურად გარკვეულია. ასევე საქმე არ მაქვს **რობიზონ მარგველანთან, ბაჩუკი გვანცელაძესთან** და სხვებთან, რომლებიც გამსახურდიას სიცოცხლის ბოლოს გვერდით შემორჩნენ, რადგან აქ მთავარი პერსონა სწორედ **ბესარიონ გუგუშვილია.** მისი მამა, აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** კონსტანტინე გამსახურდიასთან მეგობრობდა. ისინი ერთი რაიონიდან — აბაშიდან იყვნენ. სწორედ ბესარიონ გუგუშვილთან მაქვს კითხვები...



**— მაინც რა კითხვები გაქვთ?**

— პირველ რიგში, რატომ არის გუგუშვილი ფინეთში და რატომ არ ჩამოდის საქართველოში? საინტერესოა, ბესო გუგუშვილს ფინეთში, თავისი სახლის სამუშაო კაბინეტში, უკიდია თუ არა ზვიად გამსახურდიას სურათი?

**— ამას თქვენ შემთხვევით არ იკითხავდით!**

— მიზეზი სწორედაც მაქვს, რადგან, ვინც გუგუშვილთან იყო და მისი სახლი ნახა, ამბობს, რომ კაბინეტში ჯოჰარ დუდაევის სურათი უკიდია. გასაგებია, რომ დუდაევი გუგუშვილს ბევრ რამეში, მათ შორის, ფინანსურადაც დაეხმარა, მაგრამ ზვიადის სურათისათვის ადგილი რატომ არ მოიძებნა?

1994 წლის 5 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად გაავრცელა შევარდნაძესთან შეთანხმებული ცნობა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ, რომელიც ემყარებოდა მხოლოდ **ბესარიონ გუგუშვილის, რობიზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის** ზეპირ ნაამბობს. აი, სწორედ ეს არის ზვიადის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი საკვანძო და მთავარი საკითხი, ანუ მარტივად და ხალხისთვის გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, შევარდნაძემ 1994 წლის 5 იანვარს ქართველ ხალხს გამოუცხადა — **როგორც ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე ადასტურებენ, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო!** დარწმუნებული ვარ, აი, ამ განცხადების სანაცვლოდ, ბესარიონ გუგუშვილმა შევარდნაძისგან ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო და ეს გარანტია დღესაც ძალაშია, რადგან ზემოთაც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ — **მიუხედავად შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლისა და ედუარდის სიკვდილისა, საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი არ შეცვლილა და ქვეყანას ისევ შევარდნაძის მემკვიდრენი მართავენ!** რომ არა შევადნაძისგან მიღებული უსაფრთხოების გარანტიები და ზვიადის იდეიდან გადახვევა, **ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე** დღეს ცოცხლები არ იქნებოდნენ! არასოდეს დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1993 წლის 25 დეკემბერს საქართველოში და, უფრო კონკრეტულად, სამეგრელოში, ხალხში გავრცელდა ვერსია, რომ ზვიად გამსახურდია საკუთარი გარემოცვის წევრებმა მოკლეს!

**— ამ ხმას ვინ ავრცელებდა?**

— ცხადია, ამ ხმას ავრცელებდნენ შევარდნაძე და მისი სპეცსამსახურები! ისინი მოწადინებული იყვნენ, ზვიადი გროზნოდან საქართველოში ჩამოსულიყო. დღემდე არ არის გარკვეული, თუ რატომ ვერ ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია საქართველოში პირველ ჯერზე და რატომ მოხდა ისე, რომ მან მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო ჩეჩნეთიდან საქართველოსკენ გამომგზავრება.

**— სხვათაშორის, სამეგრელოში მყოფმა ბესარიონ გუგუშვილმა ზვიად გამსახურდიას გროზნოში შეუთვალა, რომ საქართველოში არ ჩამოსულიყო!**

— კი, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ რა იმალებოდა ამის უკან, ესეც გასარკვევია. ზვიადს საქართველოში ჩამოსვლას არათუ ურჩევდნენ, არამედ აიძულებდნენ კიდეც... პირდაპირ უნდა ვთქვა — მაპატიოს ღმერთმა, თუ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ **გარემოცვა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ბოლო მომენტში შემორჩა, შევარდნაძის ხროვის მიერ იყო შერჩეული!** აქ საუბარია **გუგუშვილზე, მარგიანსა და გვანცელაძეზე.** დანარჩენები, რომლებიც ვერ გადაიბირეს და ვერ იყიდეს, ან სიტუაციიდან მოტეხეს, ანდა მოკლეს და გაანადგურეს. ხუნტის მიერ შერჩეულ ამ გარემოცვაში იყო **ორი ქალი.** ჩვენ ამ ქალების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, როცა **ავთო იოსელიანი** ახსენებდა — „გარემოცვის გარემოცვას ვაკონტროლებდითო!“ — შევარდნაძის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი სწორედ ამ ქალებს გულისხმობდა! საქმე ის გახლავთ, რომ ეს ორი ქალი ცხოვრობდა **ჯონსონ კვარაცხელიას სახლის** მეზობლად, სადაც პერიოდულად გადადიოდა **რობიზონ მარგველანი** და იმ ქალებს საიდუმლოდ ხვდებოდა. ამ შეხვედრების შესახებ ზვიად გამსახურდიამ არაფერი იცოდა. **სწორედ ეს ქალები იყვნენ დაკავშირებული შევარდნაძის უშიშროებასთან, რომლებიც პრეზიდენტის მდგომარეობისა და გეგმების შესახებ ინფორმაციას რობიზონ მარგველანისგან ღებულობდნენ.** მაპატიოს ღმერთმა, თუ ვცოდავ, მაგრამ ყველაფერი იმა-



**„რატომ არის გუგუშვილი ფინეთში და რატომ არ ჩამოდის საქართველოში?“**

# უერთგულა ზვიად გამსახურდიას

ზე მიუთითებს, რომ არ ვცდები. მიმაჩნია, რომ ეს ქალები უნდა გამოვიდნენ და თქვან სიმართლე, მაგრამ, თუ ისინი უშიშროების თანამშრომლები არიან, არაფერს იტყვიან და როგორც აქამდე დუმდნენ, ისევე გააგრძელებენ ცხოვრებას.

**— ბესარიონ გუგუშვილის მისამართით მეტი კითხვა არ გაქვთ?**

— ერთმა ქართველმა გოგონამ, რომელიც ბრიტანეთში ცხოვრობს და ზვიად გამსახურდიას ფენომენს იკვლევს, 2013 წელს ბესარიონ გუგუშვილთან ინტერნეტის საშუალებით დაამყარა კავშირი და შეკითხვები დაუსვა. ეს გოგონა გვარად წერეთელია. გუგუშვილმა გოგონას მისწერა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოში **„ეროვნულ-დამამონებელი იდეოლოგიის ფუძემდებელი და ეროვნულ-დამამონებელი მოძრაობის ლიდერია“.** ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. სხვათაშორის, იმავე გოგონასთან მიმოწერაში გუგუშვილი ამასაც ამბობს — ზვიად გამსახურდია არც დისიდენტი და არც პოლიტიკოსი არ ყოფილაო. ახლა კი დროა, შევასრულოთ ჩვენი დაპირება და დავასახელოთ ზვიადის მტრები და მოკეთენი!

**— კეთილი, დაასახელეთ ვინ უღალატა ზვიად გამსახურდიას?**

— ზვიადის ღალატი საქართველოს ღალატი იყო. ასე რომ, მე ჩამოგითვლით საქართველოს მოღალატეებს. ესენი არიან: *ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, რეზო ჩხეიძე, თამრიკო ჩხეიძე, ფიქრია ჩიხრაძე, კოტე გაბაშვილი, გოკა გაბაშვილი, გივი თარგამაძე, გოგი ხოშტარია, ლანა ღოღობერიძე, ვახტანგ კიკაბიძე, გია ჭანტურია, ვაჟა ადამია, რომან გოცირიძე, ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ედიშერ ჩარგაზია, ჯონი ქარჩავა, გელა ლანჩავა, გია ყარყარაშვილი, ელგუჯა ბუცხრიკიძე, თამაზ დუმბაძე, ჯემალ ჭუმბურიძე, ბესიკ ქუთათელაძე, რეზო თაბუკაშვილი, რეზო ესაძე, გიგა ლორთქიფანიძე, ლალი ჯავახიშვილი, ნოდარ ლომოური, ჯუმბერ თითმერია, მურმან ჯგუბურია, გია ბარამიძე, აკაკი ბობოხიძე, გიგა ბოკერია, ნანა ალექსანდრია, გურამ მგელაძე, გურამ გეგეშიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, იზა ორჯონიკიძე, შოთა ქრისტესაშვილი, მამუკა კიკალეიშვილი, მურმან ლებანიძე, გურამ ფანჯიკიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ზურაბ წერეთელი, თემურ გოცაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ჯანსუღ კახიძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, გოგა ხაინდრავა, ირინა სარიშვილი, ძმები ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეები, დოდო გუგეშაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, ჯანრი კაშია, ქეთევან ბაგრატიონ-ორსინი, ივლიანე ხაინდრავა, გურამ მამულია, რომან მიმინოშვილი, გოგი ქავთარაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ქეთი დოლიძე, ლევან ღვინჯილია, თემურ ქორიძე, მზექალა შანიძე, თამაზ გამყრელიძე, ოთარ ლითანიშვილი, ვახტანგ რაზმაძე, ჯამლეთ ბაბილაშვილი, მიხეილ ქვლივიძე, რეზო ამაშუკელი, მელორ სტურუა, რუსუდან ბერიძე, ლუიზა შაკიაშვილი, ზურაბ ჟვანია, გივი ლომინაძე, რუსლან მიქაბერიძე, თემურ მირიანაშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიქტორ რცხილაძე, გოგი ხარაბაძე, მიხეილ ნანეიშვილი, მერაბ მამარდაშვილი, ფრიდონ ადამია, ზურაბ პაიჭაძე, რამაზ კლიმიაშვილი, რეზო ჯაფარიძე, ფრიდონ ხალვაში, არჩილ სულაკაური, ნესტან სულავა, თენგიზ ჩხაიძე, თეიმურაზ ჭანტურიშვილი, დიმა ჯაიანი, კლარა აბრამია, გიორგი პაპუაშვილი, შოთა კვირაია, ნოდარ მგალობლიშვილი, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, მანანა გიგინეიშვილი, ავთო მარგიანი, ვახტანგ ძაბირაძე...* საუბედუროდ, მოღალატეთა სია გაცილებით დიდია, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ, ყველაზე უფრო ცნობილი მოღალატეები დაგვესახელებინა.

**— ვინ არ უღალატა ზვიადს და ბოლომდე ვინ უერთგულა პირველ პრეზიდენტს?**

— ზვიად გამსახურდიას უერთგულეს: *ელიზბარ ჯაველიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ვახტანგ ბოჭორიშვილმა, ლეილა აბაშიძემ, ნაზი შამანაურმა, ირაკლი გოცირიძემ, აკაკი გაწერელიამ, კოკა გაწერელიამ, გოგი და ირაკლი ოჩიაურებმა, ნინო ნიშნიანიძემ, ანზორ აბრალავამ, მანანა დარჩაშვილმა, გია ფერაძემ, დავით სოკოლოვმა, ზაურ ბედიამ, რომეო კუჭუხიძემ, აჩიკო რამიშვილმა, მაია თოდაძემ, მედეა თუშმალიშვილმა, ჩარლზ ჩხოტუამ, რენო სირაძემ, ნაუმ გაბაძემ, ბადრი გოგელაშვილმა, ფირუზ დიაკონიძემ, ვახტანგ ჟვანიამ, თეოდორე ჩიხლაძემ, გოგი გაჩეჩილაძემ, გოჩა კეკენაძემ, ზაზა ბურჯანაძემ, ვაჟა ჭინჭარაულმა, ირაკლი გოგაძემ, გია და გოჩა ესებუებმა, ძმებმა ვაწაძეებმა, თემურ მამაგეიშვილმა, თამაზ კერძევაძემ, ირაკლი მირზიაშვილმა, გივიკო რეხვიაშვილმა, ჟანა რეხვიაშვილმა, მამუკა ტერიშვილმა, მარინა ტერიშვილმა, იმედა ჭანტურიძემ, თამაზ ბულიამ, დათო წოწორიამ, ზურაბ ქუთათელაძემ, ნუგზარ წულაიამ, შოთა წიკლაურმა, თამაზ ბულაურმა, აჩიკო მაკარიძემ, ეთერ მგალობლიშვილმა, ნუგზარ ცერცვაძემ, გურამ და რობერტ პეტრიაშვილებმა, ჯემალ დავლიანიძემ, ლია კაცაძემ, ნანა დვალმა, ნოდარ წულეისკირმა, ლატავრა ფოჩიანმა, ზურაბ შანიძემ, ნოდარ ჯალაღონიამ, აკაკი ელიავამ, ავთანდილ რცხილაძემ, ვანო თვალავაძემ, ლია ანდღულაძემ, დოდონა კიზირიამ, ნოდარ ჭითანავამ, ვაჟა აბაკელიამ, სოსო სიგუამ, ჯემალ ნინუამ, გოჩა კელენჯერიძემ, გელა სალუაშვილმა, თემურ მჟავიამ, ლალი ბარძიმაშვილმა, ლერი გოგოლაძემ, თეიმურაზ გვანცელაძემ, ტარიელ ფუტკარაძემ, დილარ ივარდავამ, ქიშვარდ ისაკაძემ, კოტე ფირცხალავამ, ტარიელ გელანტიამ, გელოდი მირცხულავამ, გაბრიელ ისაკაძემ, ალე შუშანაშვილმა, გელა ნიკურაძემ, ამირან კალაძემ, ოლღა დემურია-კოსტავამ, მეუფე ამბროსი ქათამაძემ, მეუფე ქრისტეფორე წამალაიძემ, მამა კონსტანტინე კოღუაშვილმა, ციცინო კვიკვინიამ, ნანა ნაცვლიშვილმა...* ერთგულთა სია გრძელია, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ მოღალატეებმა საქართველოსა და ზვიადის ერთგულებს აჯობეს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, დღეს ცოტა უფრო სხვა საქართველოში ვიცხოვრებდით!

**— როგორც მკვლევარი და მეცნიერი, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას როგორ აფასებთ?**

— „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტმა **პაველ ვოშანოვმა** ზვიად გამსახურდია რამდენჯერმე ინახულა გროზნოშიც და სამეგრელოშიც. ეს არის ერთადერთი ჟურნალისტი, რომელსაც ზვიადმა უკანასკნელი ინტერვიუ მისცა და ფილოსოფიური შინაარსის წიგნი აჩუქა. წიგნის ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ ზვიადის მინაწერს: *„ამქვეყნად არაფერია ისეთი, რასაც შეიძლება, აბსოლუტური სიკეთე ვუწოდოთ, რადგან არაფერია ისეთიც, რასაც აბსოლუტურ ბოროტებას დავარქმევთ. დღეს დადებითად აღქმული მოვლენა, ხვალ შესაძლოა, უარყოფითად მოგვეჩვენოს. ის, რაც ერთ ადამიანს აუბედურებს, შესაძლოა, მეორის ბედნიერების წყაროდ იქცეს. მაშასადამე, ბოროტების განადგურება შესაძლებელია მხოლოდ სიკეთის განადგურებით. თუ ჩვენ გვსურს სიკვდილის შეჩერება, ჩვენ მოგვიხდება სიცოცხლის შეჩერებაც!“* ეს არის ზვიად გამსახურდიას სიმართლე და ვფიქრობ, მისი, როგორც პიროვნების, მოაზროვნის, პოლიტიკოსისა და ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერის სიღრმის შესაფასებლად ყველაზე მეტად ეს სიტყვები გამოდგება!

**ესაუბრა**
***დიტო ჩუბინიძე***




**„მაპატიოს ღმერთმა, თუ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ გარემოცვა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ბოლო მომენტში შემორჩა, შევარდნაძის ხროვის მიერ იყო შერჩეული!“**


რობიზონ მარგველანი


ბაჩუკი გვანცელაძე და მიხეილ სააკაშვილი

**„რომ არა შევარდნაძისგან მიღებული უსაფრთხოების გარანტიები და ზვიადის იდეიდან გადახვევა, ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე დღეს ცოცხლები არ იქნებოდნენ!“**

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №29–33*

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*ქართულ ისტორიოგრაფიაში აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და სხვათა მიერ დამკვიდრებული მავნებლური და მცდარი აზრი, თითქოს „აფხაზთა“ მთავარმა ლეონ მეორემ მთელი დასავლეთ საქართველო ვიდრე ლიხის ქედამდე დაიპყრო და მე-8 საუკუნის შუა წლებში „აფხაზთა სამეფო“ ჩამოაყალიბა, არამარტო ისტორიულ სიმართლეს, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წმიდათაწმიდა იდეას ეწინააღმდეგება!*



ლევან მეორე დადიანის ფრესკა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში



კელასურის კედელი, იგივე აფხაზეთის დიდი კედელი

**სამეგრელოს ყველაზე ძლევამოსილი მთავარი ლევან მეორე დადიანი იძულებული გახდა, აფსუა გადამთიელებისგან თავის დასაცავად ისევ აღედგინა კელასურის კედელი და ყველა მეგრელი ფეოდალისთვის მისი დაცვა დაევალებინა!**

ქართველ ბავშვებს ყურით მოთრეული ზემოხსენებული აბდაუბდა კი არა, სიმართლე უნდა ვასწავლოთ და ვუთხრათ, რომ **„აფხაზეთის“, ანუ დასავლეთ საქართველოს მთავარმა ლეონ მეორემ,** რომელიც ქვეყანას 753-798 წლებში მართავდა, ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის სამეფო კარზე არსებული არეულობით, დაიხმარა ხაზარების ჯარი, რის შემდეგაც ბიზანტიელი ოკუპანტები მთელი დასავლეთ საქართველოდან გააძევა და შექმნა **„აფხაზთა სამეფო“,** რომელიც თავიდან ბოლომდე მხოლოდ ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ქართველ ბავშვებს ისიც უნდა ავუხსნათ, რომ **ლეონ მეორე** იყო კეთილშობილი ქართველი, რომელიც **ლაპარაკობდა ქართულად** და დასავლეთ საქართველო, ანუ **„აფხაზთა სამეფოც“** იყო ის **„ქართლი“,** ანუ **საქართველო, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა.**

მართლაც, დასავლეთ საქართველოში და, მათ შორის, საკუთრივ აფხაზეთშიც ბერძნული გავლენისგან გათავისუფლების შემდეგ, **საეკლესიო ენა მხოლოდ ქართული იყო,** ხოლო იმის მტკიცება, რომ **ლეონ მეორეც** იმ ენაზე საუბრობდა, რომელზეც **ვლადისლავ არძინბა** და მისი მოკეთენი ლაპარაკობენ, იმაზე უფრო დიდი სიტუტუცე და სიბნელეა, ვიდრე იმის თქმა, რომ დღევანდელი ეგვიპტელები და იტალიელები ძველი ეგვიპტელებისა და რომაელების პირდაპირი შთამომავლები არიან!

აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი ქართული ტომების — **მესხებისა და კოლხების** გვერდით უხსოვარი დროიდან **სვანებიც** ცხოვრობდნენ. ამის შესახებ უტყუარ ცნობებს გვაწვდის ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი **სტრაბონი** (ძვ.წ. 64 — ახ.წ. 24 წ.წ.), რომელიც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო ავტორად არის აღიარებული. **სტრაბონის** თქმით, **„სვანები არიან ძალითა და ძლიერებითა, ისინი მბრძანებლობენ ყველა გარშემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის ზემოთ!“**

სწორედ ვაჟკაცური ბუნება და მიუვალი მთები გახდა ის მთავარი ზღუდე და შემაკავებელი ბარიერი, რომელმაც სვანები გადამთიელთა გამანადგურებელი შემოსევებისგან დაიფარა, თორემ საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორია მე-17 საუკუნიდან უცხო თესლთა სათარეშოდ იქცა.

აფსუა და სხვა ჩრდილოკავკასიელი ჩამოსახლებულები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას ისეთი გამალებით უტევდნენ და ისეთ საშინელებებს სჩადიოდნენ, რომ თვით ძლევამოსილი **ლევან მეორე დადიანიც** კი იძულებული გახდა, **კელასურის კედელი** გაემაგრებინა.

მანამდე **ლევან მეორე დადიანმა** აფხაზეთის ტერიტორია ორჯერ აიკლო და **ილორის ღვთისმშობლის ეკლესიაზე** ასეთი წარწერა გააკეთებინა: **„მას ჟამსა, ოდეს მიუხვედით შარვაშიძეს ზუფუს, მიწუს წყალსა აქათ მოვაოხრეთ. კიდევ მეორეთ მიუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ, და სადაც სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ!“**

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც **ლევან მეორე დადიანმა** თავის ცოლს **თამუნია შარვაშიძეს** ღალატი დასწამა, ამ ქალთან გაჩენილი შვილები მოაკვლევინა, ულამაზეს თამუნიას ცხვირი მოჭრა და აფხაზთა მთავარს **სეტიმან შარვაშიძეს** თავისი ქალიშვილი სახლში ისე მიუგდო, როგორც უკანასკნელი კახპა.

**ლევან მეორე დადიანზე** უფრო დიდი და საშიში სეპარატისტი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ ეს თავგასული, თავკერძა და საქართველოს ერთიანობის დაუძინებელი მტერიც კი, რომელმაც 1623 წელს გოჭოურას ბრძოლაში იმერეთის მეფე **გიორგი მესამე** დაამარცხა და ქუთაისი გადაწვა, ილორის ტაძარზე ქართულად წერდა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აურაცხელ შესაწირს აგზავნიდა, რათა წმინდა მიწაზე ქართული სული არ ჩამკვდარიყო!

სხვათაშორის, როცა **გიორგი სააკაძე** სამეგრელოში ჩავიდა, ქუთაისის გადამბუგველმა და ტყვეებით მოვაჭრე **ლევან მეორე დადიანმა** სახელოვან სარდალს ბრწყინვალე დახვედრა მოუწყო და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. როგორც ჩანს, ზნეობრივად დაცემულ და მიწასთან გასწორებულ **ლევან დადიანშიც** კი, რომელმაც საკუთარი ბიცოლა — **ჭილაძის ქალი ნესტან-დარეჯანი** ცოლად შეირთო, აღფრთოვანებას იწვევდა დიდი და ერთიანი საქართველოს აღდგენის იდეა, რისთვისაც **გიორგი სააკაძე** იბრძოდა.

ეს კარგად დაიმახსოვროს ყველა იმ ნაძირალამ, რომელიც დღეს სოციალურ ქსელებში ათას სიბინძურეს ჯღაბნის და ამტკიცებს — **ლიხს იქით ქართული ენა არ ისმოდა, ხალხი მხოლოდ მეგრულად ლაპარაკობდაო!**

ახლა კი მივუბრუნდეთ **ლევან მეორე დადიანის** ლაშქრობას აფხაზეთში. „კაპოეტის წყალი“, რომელსაც **ლევან მეორე** ილორის მონასტრის წარწერაში ახსენებს, დღევანდელი მდინარე ბზიფის ხეობაა. აქ უხსოვარ დროში **კაპოეტის ციხეც** მდგარა, რომელსაც 914 წელს არაბთა სარდალ **აბულ-ყასიმის** ლაშრობის დროს ერთ-ერთი სომეხი მეფე აფარებდა თავს, მაგრამ არაბებმა ის მაინც შეიპყრეს და მოკლეს.

მოკლედ, როგორც ირკვევა, **ლევან მეორე დადიანს** მეორე ლაშქრობის დროს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია თავიდან ბოლომდე, ანუ მდინარე ბზიფის ხეობამდე მოუთარეშებია და აფხაზეთის მთავარი მოხარკედ გაუხდია... ასეთი რამ შემთხვევით არ ხდებოდა — **დადიანმა კარგად იცოდა, რომ ტრაპიზონიდან მოყოლებული ნიკოფსიამდე ტერიტორია უძველესი დროიდან „მეგრელთა ქვეყნად“ იწოდებოდა და მას ჰქონდა ამბიცია, მთელი სამეგრელო ემართა!**

რაც შეეხება ზემოხსენებულ **კელასურის კედელს,** ის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც **„აფხაზეთის დიდი კედელი“** და, როგორც ჩანს, ისტორიკოს **ჯუანშერის** დროსაც, ანუ მე-8 საუკუნეშიც არსებობდა, რადგან ქართველი ისტორიკოსი გარკვევით ამბობს — **„ზღუდე კლისურისა“.** „აფხაზთა სამეფოს“ შექმნისა და მისი პოლიტიკური გაძლიერების შედეგად, აშკარაა, რომ ამ კედლის მნიშვნელობა დაკნინდა, რადგან ჩრდილოეთიდან ველურებისა და უცხოტომელების შემოსევები შეწყდა, მაგრამ **ლევან მეორე დადიანი** (1611-1657 წ.წ.), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იძულებული გახდა, აფსუა გადამთიელებისგან თავის დასაცავად ისევ აღედგინა **კელასურის კედელი** და ყველა მეგრელი ფეოდალისთვის მისი დაცვა დაევალებინა. მართლაც, თვეში ერთხელ მეგრელი ფეოდალები **კელასურის კედელთან** თავიანთი ხარჯებით მოლაშქრეებს გზავნიდნენ და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოხეტებული ველურებისგან იცავდნენ როგორც აფხაზეთს, ისე სამეგრელოს.

ხაზგასმით ვაცხადებთ:

**როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროებით უტყუარად დასტურდება, რომ სამეგრელო უძველესი დროიდან დღევანდელი სოხუმის**

## *ბერძენი მეცნიერი კაფანტარისი:*

## კოლხებს, რომლებიც მაშინ კრეტაზე სახლობდნენ, შეუძლიათ, არამხოლოდ იოცნებონ, არამედ ისიც გაითავისონ, რომ ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები!

### კვირგვინოსნები

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



მოველი, რომ **2008 წლის მოვლენების გამო კვალიფიციური გამოძიება წარიმართება პროკურატურაში,** რის შედეგადაც **სააკაშვილს** და მის ბანდას, ვინც ეს ყველაფერი ჩაიდინა, **ბრალს წაუყენებენ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის** (*„საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა“*) მე-2 ნაწილით: ***„საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, რამაც მისი მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია“,*** რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით **თხუთმეტიდან ოც წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



ჩვენ გვჭირდება **ჩინური ინვესტიციები და ნაკლებად ჩინური სესხები!** ჩინურ სესხთან დაკავშირებით **ფრთხილად უნდა ვიყოთ,** ინვესტიცია რატომაც არა. **ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერების** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი დაკავშირება ევროპასთან და დღეს ამის **ყველაზე მოკლე გზა აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადის.** ამიტომ არის აშშ-ის ასეთი დაპირისპირება საქართველოსთან.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



როდესაც დასავლეთიდან ვაქცინების შემოტანაზე შეგვექმნა პრობლემა, **ჩინეთმა გამოგზავნა თავისი ვაქცინები,** თან ძალიან საინტერესო წარწერით — **მეგობარი გასაჭირში იცნობაო.** ჩემი დაკვირვებით, სამწუხაროდ, **საქართველოს არ ჰყავს სახელმწიფო ინტერესებზე მზრუნველი პოლიტიკური კლასი.** ასეთი პოლიტიკოსების **დეფიციტია ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც.**

„კვირის პალიტრა“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



ანაკოფიის ციხე

**აი, ეს უნდა ვასწავლოთ ქართველ ბავშვებს და არა ის სიტუტუცე და გაყალბებული ისტორია, სადაც გვიმტკიცებენ — აფხაზებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრეს და „აფხაზთა სამეფო“ შექმნესო!**

**თემებსაც მოიცავდა და ანაკოფიამდე, ანუ დღევანდელ ახალ ათონამდე აღწევდა.**

ეს იმას ნიშნავს, რომ ძველთაძველი **დიოსკურია,** ანუ ახლანდელი **სოხუმი,** რომელიც ძველ ქართულ წყაროებში **„ცხუმის“** სახელით არის ცნობილი, სწორედ სამეგრელო იყო. ამიტომაც უწოდებდნენ ევროპელი მოგზაურები **სოხუმს „პორტო მენგრელოს“,** რაც მათ მიერ დამზადებულ პორტულანებზეც კარგად ჩანს და რის შესახებაც ჩვენ უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ.

ვიმეორებთ: **საკუთრივ აფხაზეთი იწყებოდა ისტორიული ანაკოფიის ციხიდან, ანუ დღევანდელი ახალი ათონიდან და მთავრდებოდა ნიკოფსიასთან.** რაც შეეხება ძველ ქართულ წყაროებში ხსენებულ **„შუა სოფელს“, ანუ ტერიტორიას ღალიძგასა და კელასურს შორის,** ეს მიწა, როგორც აკადემიკოსი **პავლე ინგოროყვა** მიიჩნევს, სამეგრელოსა და ისტორიულ აფხაზეთს შორის ე.წ. „ბუფერული ზონა“ იყო.

**კელასურის ზღუდე** შავი ზღვისა და მდინარე კელასურის შეერთების ადგილიდან იწყებოდა, მდინარე კელასურის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა, მერე ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ უხვევდა და კოდორის ქედით ღალიძგის ხეობისკენ მიემართებოდა. **ლევან მეორე დადიანის** სიკვდილის შემდეგ **კელასურის კედლის** დაცვის სისტემა მოიშალა, რადგან ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულმა აფსუებმა იმძლავრეს და თავიანთი ძალაუფლება მდინარე ენგურამდე გაავრცელეს. შესაბამისად, სამეგრელოს საზღვრებიც დაიმცრო და **„მეგრელთა ქვეყანა“,** რომელიც ოდესღაც ტრაპიზონიდან იწყებოდა, ნელ-ნელა ცხენისწყალსა და ენგურს შორის მოექცა. ცნობისათვის, როგორც ქართულ, ისე უცხოურ და, განსაკუთრებით, ბიზანტიურ წყაროებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ტრაპიზონი **„მეგრელთა სოფელია“...**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმავე **პავლე ინგოროყვას** განმარტებით, აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი — დასახლებული პუნქტი **ნიკოფსია** შედარებით ახალი წარმოშობის სახელი უნდა იყოს და იგი ამ სახელით მხოლოდ მე-5 საუკუნიდან იხსენიება. უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, ნიკოფსიას **„ლაზიკა“, „ძველი ლაზიკა“** ან **„ლაზთა ქალაქი“** ერქვა. მე-5 საუკუნის ანონიმი ბერძენი გეოგრაფოსის პერიპლუსში, ანუ „მოგზაურობაში“ პირდაპირ აღნიშნულია, რომ **„შავი ზღვის სანაპიროზე, ლაიას კონცხის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი ძველი ლაზიკა, სადაც ამჟამად არის ე.წ. ნიკოფსისი“.**

**ნიკოფსიას** რომ **„ლაზიკა“,** ანუ **„ლაზთა ქალაქი“** ერქვა, ამის შესახებ უტყუარ ცნობას გვაწვდის მე-2 საუკუნის ალექსანდრიელი ასტრონომი, გეოგრაფოსი და ისტორიკოსი **კლავდიოს პტოლემაიოსი.** ასევე მე-2 საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი **ფლავიუს არიანეც** გარკვევით წერს და მიუთითებს **„ლაზთა ქალაქის“** ადგილსამყოფელს, რომელსაც საუკუნეების შემდეგ **ნიკოფსია** ეწოდა.




ზემოხსენებულ უცხოელ ავტორებს შორის, რომლებიც ისტორიული აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრად **„ლაზთა ქალაქს“,** ანუ მერმინდელ „ნიკოფსიას“ ასახელებენ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და ფასეულია **ფლავიუს არიანე,** რომელიც 131-137 წლებში **იმპერატორ ადრიანეს** დროს, კაპადოკიის მმართველი იყო. **ფლავიუს არიანეს** ევალებოდა არამარტო ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელება, არამედ იმპერიის საზღვრების დაცვაც. ამ მიზნით, 131 წელს მან ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე, ანუ სოხუმამდე გემით იმოგზაურა და **იმპერატორ ადრიანეს** მოხსენებითი ბარათიც გაუგზავნა. მოგვიანებით მან თავისი რელაცია ლიტერატურულად გადაამუშავა, რომელსაც **„მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“** უწოდა.

**ფლავიუს არიანე** საქართველოს შავი ზღვისპირა ზოლს, იქ მცხოვრებ ხალხებს, მათ ყოფა-ცხოვრებასა და შავი ზღვისპირეთის ქალაქებს ყველა ზემოხსენებულ ავტორზე უკეთ იცნობდა. უფრო მეტიც, ის ვალდებული იყო, ზუსტად სცოდნოდა, რომელი ქალაქი სად მდებარეობდა, რომელ პუნქტს რა სახელი ერქვა ან რომელი ხალხი და ტომი რა ზნე-ჩვეულების მატარებელი იყო, ვინ ვის შემდეგ და სად ცხოვრობდა და რა დამოკიდებულება ჰქონდა რომის იმპერიის ჰეგემონობის მიმართ. ამდენად, **ფლავიუს არიანეს** მიერ ნიკოფსიის იდენტიფიცირება **„ლაზიკასთან“** და **„ლაზთა ქალაქთან“** იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ **ტრაპიზონიდან ვიდრე დღევანდელ ტუაფსემდე და მის შემოგარენამდე სულ საქართველო იყო!**

სწორედ ეს არის ტერიტორია, სივრცე და ის გეოგრაფიული არეალი, სადაც **ისტორიული კოლხეთის სამეფო** იშვა და მერე **კოლხური კულტურა** არამარტო საბერძნეთში, არამედ ეგვიპტეშიც გავრცელდა. ამას აღნიშნავდა მე-18 საუკუნეში მოღვაწე მსოფლიო მედიცინის ისტორიის კლასიკოსი **კურტ იოაჰიმ შპრენგელი** (1766-1833 წ.წ.), როცა წერდა: **„ეგვიპტელთა კულტურაზე უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ. მათ კოლხეთიდან აქვთ გადმოღებული მიწათმოქმედებისა და სამედიცინო ხელოვნება. ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისგან, მოგვიანებით კი ელინებისგან გადაიღეს ღვთაებები. ძველ ეგვიპტელთა ღვთაებები თითქმის ერთიანად კოლხური წარმომავლობისაა!“**

**შპრენგელის** აზრით, ძველ საბერძნეთში თვით ოლიმპიური თამაშებიც კი კოლხეთიდან შევიდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რაც ცნობილმა ბერძენმა მეცნიერმა **კაფანტარისმა** 2009 წლის 18 იანვარს ბერძნულ გაზეთ „ვიმა საიენსში“ განაცხადა: **„კოლხებს, რომლებიც მაშინ კრეტაზე სახლობდნენ, შეუძლიათ, არამხოლოდ იოცნებონ, არამედ ისიც გაითავისონ, რომ ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები!“**

**ანტიკურ ხანაში ნიკოფსიას „ლაზიკა“, „ძველი ლაზიკა“ ან „ლაზთა ქალაქი“ ერქვა!**

**აი, ეს უნდა ვასწავლოთ ქართველ ბავშვებს და არა ის სიტუტუცე და გაყალბებული ისტორია, სადაც გვიმტკიცებენ – აფხაზებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრეს და „აფხაზთა სამეფო“ შექმნესო!**

**საქართველოს უბედურება ის არის, რომ ქვეყნის არათუ უძველეს, არამედ უახლეს ისტორიასაც ასე უსინდისოდ და უღვთოდ აყალბებენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ზურაბ ხანგოშვილი**
*გერმანიაში მოკლული ზელიმხან ხანგოშვილის ძმა*

ქილერს **პუტინი** წითელ ხალიჩაზე რომ დახვდა, ხომ ყველაფერი ნათელია? არსებობს ვიდეოები, **კრასიკოვი** თვითმფრინავიდან როგორც კი ჩამოვიდა, ის ხელს ართმევს პუტინს და ეუბნება — **ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ბრძანება შესრულებულიაო!** სხვა რა „პრიკაზი“ შეასრულა, თუ არა **ზელიმხანის** მკვლელობა? გერმანელებმა რუსეთს დამნაშავე რომ გადასცეს, **პუტინმა** ამით თავის ქილერებსა და ტერორისტებს მესიჯი გაუგზავნა — **აი, ეს როგორ დავიხსენი,** თქვენც ნუ შეგეშინდებათ, ნებისმიერი **ჩემი დავალება უნდა შეასრულოთ და თუ რამე, მე დაგიხსნითო!**

„კვირის პალიტრა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*

ჩემი აზრით, **რუსეთი** გადაყლაპავს იმას, რომ **უკრაინა შევიდეს ევროკავშირში,** მაგრამ ყველაფერს გააკეთებს, რომ **მისი ნატოში ინტეგრაცია გამორიცხოს.**

„კვირის პალიტრა“



**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*

**არავინ იცის, რას საქმიანობდა ლუგარის ლაბორატორია** — როგორ შეიძლება ქვეყანაში ფუნქციონირებდეს მსგავსი დაწესებულება და **ანგარიშვალდებული იყოს სხვა ქვეყანასთან?** ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ ლაბორატორიაში ძირითადად **ძლიერი ვირუსების გამოყვანა ხდებოდა** და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ **ქვეყანა დენთის კასრზე იჯდა ამ ბუნდოვანი დაწესებულების ფუნქციონირებით.** არაფერი საქართველოს არ დააკლდება **ლუგარისთვის გრანტების შეჩერებით,** უფრო მეტიც, ჩვენივე უსაფრთხოებისათვის ძალიან კარგია.

„კვირა“



**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*

ოპოზიცია **არა — არჩევნებისთვის,** არამედ **რევოლუციისთვის** ემზადება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# რა უნდა ვიცოდეთ კოღოებისა



## კახა საბახტარიშვილი:

# ქაფური კარგი საშუალებაა არამარტო კოღოს ნაკბენის დასამუშავებლად, არამედ ოთახიდან მის გასაძევებლად!



***ზაფხულში კოღოები, ქინქლები და ტკიპები განსაკუთრებით აქტიურდებიან და გვაწუხებენ. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი საფრთხილისკენ მოგვიწოდებს და იმ საშიშ დაავადებებს ასახელებს, რომლებიც კოღოებსა და ტკიპებს გადააქვთ:***

— ზაფხული საქართველოში და, განსაკუთრებით, მის დასავლეთ ნაწილში, სადაც კლიმატი სუბტროპიკული და ნოტიოა, კოღოების გამრავლებისა და გააქტიურების პერიოდია. საერთოდ, დედამიწაზე დაახლოებით კოღოს 3600 სახეობაა. კოღო უნიკალური მწერია, რადგან ანტარქტიდის გარდა, უხსოვარი დროიდან თითქმის ყველგან ბინადრობს. საუკუნეების განმავლობაში სამეგრელოს მუსრს ავლებდა მალარია, რომელიც კოლხეთის ჭაობში გავრცელებულ კოღოსა ერთ-ერთ სახეობას — **ანოფელესს** გადაჰქონდა. კოლხეთის ჭაობის დაშრობამ, რაც ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდება, მალარიის ეპიდემია მოსპო და ათეულათასობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. საერთოდ, კოღოს ძალიან უყვარს წყალსატევები. ის პირდაპირ წყლის ზედაპირზე დებს კვერცხებს. კოლხეთში მალარიის გამავრცელებელი კოღო ანოფელესის მოსპობა იმანაც განაპირობა, რომ ჭაობებში გაუშვეს თევზი **გამბუზია,** რომელიც კოღოების დაუძინებელი მტერია.

**— ამბობენ, თითქოს კოღო შავგვრემან ადამიანებზე მეტად ქერათმიანებსა და თეთრებს კბენს!**

— ეს მითია და რეალობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. კოღოს იზიდავს ის ნახშირორჟანგი, რომელსაც ადამიანი ან ცხოველი სუნთქვის შედეგად გამოყოფს. მას აგრეთვე ძალიან უყვარს ოფლიანი სხეული, რადგან იქ რძემჟავა ეგულება. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ცოცხალი არსების და, განსაკუთრებით, ადამიანის მიერ გამოყოფილ ნახშირორჟანგსა და ოფლის სუნს კოღო დაახლოებით 50 მეტრიდან გრძნობს და მყისვე მიემართება მისკენ. **ადამიანის სისხლით მხოლოდ მდედრი კოღოები იკვებებიან, ხოლო მამრი კოღო ადამიანს საერთოდ არ ეკარება და საკვებად მცენარის წვენსა და ნექტარს იყენებს.**

**— რა არის ამის მიზეზი?**

— საქმე ის არის, რომ მდედრი კოღო საკვებად იყენებს ადამიანის სისხლის ცილებს, რომლებსაც ამინომჟავებამდე შლის და კვერცხების შესაქმნელად მოიხმარს. კოღო ყველაზე მეტად ორსულ ქალებსა და პატარა ბავშვებს ერჩის, რადგან მათი სხეულის ტემპერატურა სხვებთან შედარებით მაღალია. კოღოს მოახლოებას დამახასიათებელი წუილით ვგრძნობთ. ამ ხმას მისი ფრთები გამოსცემენ, რომლებიც ერთ წამში 200-300-ჯერ ირხევა. კოღოს ნაკბენი უმტკივნეულოა, რადგან მას ორგანიზმში მხოლოდ ნერწყვი შეჰყვას, რომელიც გარკვეულ ანესთეტიკს, ანუ გამაყუჩებელს შეიცავს. ამიტომაა, რომ ხშირად კოღოს კბენის მომენტს ვერ ვგრძნობთ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ნაკბენი სივდება და იწყება ძლიერი ქავილი, რაც ორგანიზმის ალერგიული რეაქციაა.

**კოღოს ნაკბენს ნუ ვეხუმრებით, რადგან უამრავი დაავადების, მათ შორის, ენცეფალიტის გამომწვევი პარაზიტების გადამტანია.**

**— როგორ დავიცვათ თავი კოღოსაგან და როგორ ვუწამლოთ კოღოს ნაკბენს?**

— იმისათვის რომ კოღოები დავაფრთხოთ, საუკეთესოა ევკალიპტში, მიხაკში, ფორთოხალში, გერანსა და პიტნაში შემავალი ეთერზეთები. **კოღო განსაკუთრებით უფრთხის მიხაკს.** საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა მიხაკზე დამზადებული ოდეკოლონი, რომლის შეპკურების შემდეგ ადამიანს კოღო საერთოდ არ ეკარებოდა. **ოთახიდან კოღოების მოსაშორებლად საუკეთესო საშუალებაა ლიმონი,** რომელიც უნდა გავჭრათ და რბილობში ხუთი-რვა ცალი მიხაკის ფოთოლი ან ღერო ჩავარჭოთ. კარგია ფანჯრის რაფაზე გამხმარი პიტნის დაწყობაც. კოღოს ძალიან აფრთხობს ვანილი, რომელიც 1 ჩაის კოვზის ოდენობით 1 ჭიქა წყალში უნდა გავხსნათ, ხსნარში დოლბანდი დავასველოთ და ღია ადგილებზე წავისვათ.

**საკმარისია, ქოთანში რეჰანი გავახაროთ და ოთახში დავდგათ, რომ იქ კოღოები ველარ გაჭაჭანდებიან,** ხოლო ტყეში კოღოებისგან თავის დასაცავად საუკეთესოა კოცონში ნაძვის ან ფიჭვის გირჩის ჩაგდება.

არსებობს კანზე წასასმელი სპეციალური საშუალებებიც, რომლებიც კოღოებს აფრთხობს. ამასთან, ნაკბენის მოფხანას უნდა ვერიდოთ, რადგან ასეთ დროს შესაძლოა, კანში ინფექცია შევიტანოთ!

**თუ 100 გრამ წყალში 1 სუფრის კოვზ სოდას გავხსნით და კოღოს ნაკბენზე წავისვამთ, ქავილი აუცილებლად შემცირდება!**

**— შველის თუ არა კოღოს ნაკბენს ქაფური?**

— ქაფური კარგი საშუალებაა არამარტო კოღოს ნაკბენის დასამუშავებლად, არამედ ოთახიდან მის გასაძევებლად! ზაფხულია და მოსახლეობა ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში დასვენებას ირჩევს. **ყველამ იცოდეს, რომ ყველგან ჩასაფრებულია ფარული და საშიში მტერი — მინდვრის ტკიპა, რომელსაც უამრავი უმძიმესი დაავადების გამომწვევი ვირუსი თუ მიკრობი გადააქვს და არც ის არის გამორიცხული, რომ ტკიპის ნაკბენის შედეგად ადამიანი სამუდამოდ დაინვალიდდეს!**






# „კოღო ყველაზე მეტად ორსულ ქალებსა და პატარა ბავშვებს ერჩის!“

# რა არის ტკიპისმიერი

# და ტკიპების შესახებ?

**— მაინც რა საფრთხის მატარებელია მინდვრის ტკიპა?**

— ნებისმიერი ტყე, წყალსატევი, ტბა და მდინარის ნაპირი ზაფხულში ტკიპების ბუდეა. ისინი ძირითადად ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების სისხლით იკვებებიან. აქედან გამომდინარე, ზაფხულის ცხელ ამინდებში, როცა ზამთრის შიმშილის შემდეგ ტკიპები სამალავიდან გამოდიან, გამალებით ეძებენ საკბილოს ადამიანთა თავშეყრის ადგილებში წყალსატევებისა და მტკნარი წყლის სხვა საცავების სიახლოვეს.

ტკიპებს მარილიანი წყალი არ უყვართ, ამიტომ ზღვის ნაპირზე ისინი არ ბუდობენ. შესაძლოა, დღეში ასმა ტკიპამ გიკბინოს და არაფერი დაგემართოს, მაგრამ საკმარისია, ამ ასიდან ერთი იყოს **ენცეფალიტის ვირუსის** გამომწვევი ან **ბორელიას მიკრობის** გადამტანი, რომ ადამიანი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება!

**— მაინც რით არის საშიში ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი?**

— როცა ტკიპა ადამიანს კბენს, კანში შეჰყავს ხორთუმი, რომელსაც ნაჭდევები აქვს და მისი სუფთად ამოღება ძალიან ძნელია. კბენის შემდეგ ტკიპა ხორთუმის მეშვეობით წოვს სისხლს, მაგრამ იმავე ხორთუმის მეშვეობით ადამიანის სისხლში შესაძლოა, მოხვდეს **ენცეფალიტის ვირუსი,** რომელიც თვითონ ტკიპას არ ვნებს, მაგრამ ადამიანისთვის ძალიან სახიფათოა.

ენცეფალიტის ვირუსი სისხლის მეშვეობით აღწევს თავის ტვინში და იწვევს უმძიმეს პათოლოგიას — თავის ტვინის ანთებას, ანუ **ენცეფალიტს!** თუ ასეთ შემთხვევაში მკურნალობა დროზე არ იქნა ჩატარებული, ადამიანი შესაძლოა, დაიღუპოს ანდა დაემართოს დამბლა!

ვიდრე ვირუსული ენცეფალიტი სახიფათო ნიშნულს მიაღწევდეს, ახასიათებს ზუსტად ის სიმპტომები, რომ გაციებით მიმდინარე დაავადებებისგან ძნელად გასარჩევია. ეს ნიშნებია:

1. თავის ტკივილი;
2. მაღალი ტემპერატურა;
3. ძლიერი სისუსტე;
4. ოფლიანობა;
5. ცხვირიდან გამონადენი;
6. ღებინება;
7. გულისრევა;
8. ძლიერი ინტოქსიკაცია და ა.შ.

**თუ მინდორსა და ტყეში სეირნობის შემდეგ ასეთი სიმპტომები შევიგრძენით, გრიპსა და გაციებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, პირველ რიგში, ტკიპისმიერი ვირუსული ენცეფალიტი უნდა გამოვრიცხოთ!**

**— რაც შეეხება ტკიპისმიერ ბორელიოზს, მასზე რას იტყვით?**

— ამ საშიშ სენს იწვევს მიკრობი **ბორელია,** რომელიც ტკიპის ორგანიზმში თავს შესანიშნავად გრძნობს. ტკიპისმიერ ბორელიოზს სხვანაირად ლაიმის დაავადებასაც უწოდებენ.

**— მაინც როგორ უნდა გამოვიცნოთ ბორელიოზი?**

— ტკიპის ნაკბენის ადგილზე ჯერ ჩნდება წითელი ლაქა, რომელიც იზრდება და შესაძლოა, 20 სანტიმეტრსაც მიაღწიოს. კბენის დროს ტკიპას ხორთუმის მეშვეობით ადამიანის კანში შეჰყავს ტკივილგამაყუჩებელი, ანუ ანესთეტიკი, რის გამოც ადამიანმა ტკიპის ნაკბენი შესაძლოა, ვერც იგრძნოს. **წითელი ლაქის გაჩენის შემდეგ ბორელიას მიკრობი 2-6 თვეში გადადის სისხლში და აზიანებს თითქმის ყველა ორგანოს, განსაკუთრებით, სახსრებსა და ნერვულ სისტემას.** სახსრების დაზიანება გამოიხატება

**სახსრების ანთებით, ანუ ართრიტით. პირველ რიგში, მუხლის სახსარი ზიანდება, შემდეგ მას შესაძლოა, მოჰყვეს კოჭის, იდაყვის, მხრის და სხვა სახსრების ანთება.**

ბორელიას მიკრობმა შესაძლოა, დააზიანოს ნერვული სისტემა და გამოიწვიოს სახის ნერვის ან სხეულის სხვა ნაწილების დამბლა. სხვათაშორის,

**ბორელიოზის დიაგნოზს ხშირად ზუსტად ვერ სვამენ და ადამიანს გაფანტული სკლეროზის დიაგნოზით მკურნალობენ.**

ტკიპა უამრავი სხვა ვირუსის ან მიკრობის გადამტანი შეიძლება იყოს, მაგრამ **ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი** მათ შორის ყველაზე საშიშია. **ბორელიას მიკრობი შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში წლობით დარჩეს და დააზიანოს სახსრები, ნერვული სისტემა, გული, კანი და ა.შ.**

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები წლობით მკურნალობენ გულზე, ნერვულ სისტემაზე, კანზე, სახსრებზე, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ, რადგან დაავადების მიზეზი ბორელიოზია. **ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად უნდა ჩაიტარონ სისხლის გამოკვლევა და გამორიცხონ ბორელიოზი, რომელიც შესაძლოა, 15-20 წლის წინათ ტკიპის ნაკბენის შედეგად განვითარდა!**

**„ტკიპა უამრავი ვირუსის ან მიკრობის გადამტანი შეიძლება იყოს!“**






## „საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა მიხაკზე დამზადებული ოდეკოლონი, რომლის შეპკურების შემდეგ ადამიანს კოღო საერთოდ არ ეკარებოდა!“

**— რით იკურნება ტკიპისმიერი ბორელიოზი?**

— ტკიპისმიერი ბორელიოზის განსაკურნებლად საუკეთესო საშუალება ტეტრაციკლინის, პენიცილინისა და ცეფალოსპორონის ჯგუფის ანტიბიოტიკებია!

**— რა უნდა ვქნათ, ტკიპამ რომ არ გვიკბინოს?**

— ზაფხულში მინდორსა და ტყეში სეირნობის ან ხეტიალის დროს აუცილებლად ჩავიცვათ დახურული ტანსაცმელი ისე, რომ **შარვლის ტოტები წინდებში იყოს ჩატანებული!**

სახლში მისვლის დროს შიშველი სხეული გულდასმით დავათვალიეროთ! თუ ტანზე ტკიპას აღმოვაჩენთ, მექანიკურად არავითარ შემთხვევაში არ მოვიშოროთ, რადგან ასეთ დროს დიდია იმის ალბათობა, რომ სხეულში ტკიპის ხორთუმი ჩაგვრჩეს. **ტკიპის ხორთუმი ფრთხილად, წრიული მოძრაობით, პინცეტით უნდა ამოვიღოთ, ხოლო ჭრილობის ადგილი დავამუშაოთ წყალბადის ზეჟანგით ან იოდით!** მოცილებული ტკიპა აუცილებლად მოვათავსოთ შუშაში და შევამოწმებინოთ ლაბორატორიაში, ხომ არ შეიცავს რომელიმე საშიშ ვირუსს ან მიკრობს!

**— მეტყევეებმა და რეინჯერებმა ტკიპებისგან თავი როგორ უნდა დაიცვან?**

— ალპურ ზონაში, სადაც ტყე არ არის, ტკიპა ვერ მრავლდება! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ასეთი ადამიანები აუცილებლად უნდა აიცრან. სამწუხაროდ, **ტკიპისმიერ ბორელიოზზე** აცრა არ ხდება, მაგრამ **ტკიპისმიერ ენცეფალიტზე,** რომელიც ბევრად უფრო ვერაგი დაავადებაა, აცრის შესაძლებლობა არსებობს, რის შემდეგაც სამი წლის განმავლობაში ადამიანი დაზღვეულია!

მითია ის, რომ ტკიპა შესაძლოა, ხიდან ჩამოვარდეს და გვიკბინოს. მითია ისიც, რომ, თუ ტკიპას შევამჩნევთ, მას ზეთი უნდა დავასხათ, რის შედეგადაც ის მოგვშორდება. ეთერზეთებმა შესაძლოა, კოღო დააფრთხოს, მაგრამ ტკიპებზე არ მოქმედებს. მითია ისიც, რომ ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი გადამდებია.

**თუ ტკიპამ გვიკბინა, აუცილებლად მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ინფექციონისტს, ტკიპა თერაპევტის კომპეტენცია არ არის!**




## „კოღოს ძალიან აფრთხობს ვანილი!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# ვირუსული ენცეფალიტი?

# გალაკტიონ ტაბიძის „შოვის რვეული“ შავ რვეულად იქცა



*1947 წლის ზაფხულში გალაკტიონ ტაბიძე შოვში ჩავიდა. პოეტების მეფეს მთავრობის დასასვენებელი სახლის მაშინდელმა დირექტორმა სიმონ ყურაშვილმა მისთვის საკადრისი ოთახი გამოუყო, ხოლო მუხების ჩრდილში სამუშაო მაგიდა ჩაუდგა. სწორედ აქ შეიქმნა ლექსი „ნიკორწმინდა“, რომელიც ზაფხულის მიწურულს, 30 აგვისტოს, პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“.*

## „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ შოვის ტრაგედიამდე 76 წლით ადრე დაიწერა



ნიკორწმინდის ტაძარი 1010–1014



კროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ინდუსტრიული ქუთაისი

№ 166 (4393) შაბათი 30 აგვისტო 1947 წ.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომისა და მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის ორგანო

ОРГАН КУТАИССКОГО ГОРКОМА

გალაკტიონ ტაბიძე

ნიკორწმინდა

ლექსი „ნიკორწმინდა“ პირველად დაიბეჭდა გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1947 წლის 30 აგვისტო

გალაქტიონის **„შოვის რვეული“** საგანგებოდ ინახავს მის შთაბეჭდილებებს შოვში დასვენებასა და ბუნების სილამაზეზე. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1947 წელს სათიბში გადაღებული უნიკალური კადრები, სადაც პოეტების მეფე ბალახს თიბავს და ოფლს იწმენდს. ამ დროს ის 55 წლისაა — სახალხო პოეტი, რომლის ლექსებიც ქართველებმა ზეპირად იციან: „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „მერი“... **იმ ზაფხულს მის პოეტურ შედევრებს კიდევ ერთი მარგალიტი** — „ნიკორწმინდა“ მიემატება, რომლის შექმნის ისტორიაც გალაკტიონმა თავის დღიურში ასახა.

ნიკორწმინდის ტაძრის შესახებ მას ნიკორწმინდელმა დურგალმა **ნიკოლოზ ვაჩაძემ** მაშინ უამბო, როდესაც მთავრობის დასასვენებელი სახლიდან ტყეში, მუხებთან მისასვლელ ბილიკს კაფავდა და მათ ჩრდილქვეშ მაგიდას აკეთებდა. **გალაკტიონი** წერს: **ეს იყო მეტად მყუდრო და მშვენიერი ადგილი, ვაჩაძეს დავპირდი, რომ ნიკორწმინდის ტაძრის ჩუქურთმებზე ლექსს დავწერდი...** ამასთან, ნიკორწმინდაზე ჩაფიქრებულ გალაკტიონს საკუთარი თავისთვის კითხვა დაუსვამს: **ნეტავ, როგორ მოხდა, რომ საქართველოში ერთსა და იმავე დროს — მე-11 საუკუნეში აშენდა უდიდესი ტაძრები: ნიკორწმინდა, ალავერდის დიდი ტაძარი კახეთში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ქუთაისში — ბაგრატის ტაძარი და მცხეთაში — სვეტიცხოველი?!**

გავრცელებული ვერსიით, **გალაკტიონმა** ისე დაწერა „ნიკორწმინდა“, რომ ტაძარი არ უნახავს, თუმცა, მისი შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ, შეიძლება, ტაძარი ნანახიც ჰქონდა, რადგან გალაკტიონი დღიურებში წერს, რომ იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში და ასახელებს რაჭის სოფლებს, მათ შორის, ნიკორწმინდას.

**1947 წლის 2 აგვისტოს** შოვში თოვლი მოვიდა, 15 აგვისტოს, დილის ცხრის 22 წუთზე მიწა იძრა, ფანჯრის მინები აძაგძაგდნენ, ცა მოიღრუბლა, გაისმა ჭექა-ქუხილი, მეხი გავარდა, კოკისპირული წვიმა დაიწყო. ამ სევდიანი ამინდის შემსწრე **გალაკტიონი** იმ დღეს შოვის კურორტის დამაარსებელ, ექიმ **შამშე ლეჟავაზე** ფიქრობდა, რომელმაც 1923 წელს დაიწყო ამ ადგილზე კურორტის გაშენება, 1929 წელს საზეიმოდ გახსნა კიდეც, ხოლო 8 წლის შემდეგ — 1937 წლის 20 სექტემბერს დახვრიტეს. **1937 წელსვე დახვრიტეს იმ სამთავრობო დასასვენებელი სახლის არქიტექტორი ივან კოლჩინიც, სადაც იმ პერიოდში ცხოვრობდა გალაკტიონი.**

სისხლი და ცხედრები გალაკტიონის ცხოვრებას რაღაც წითელ ხაზად მიჰყვებოდა... ის დღეებიც ერთგვარი გადმოძახილია შოვის ტრაგედიასთან, რომელიც 2023 წლის 3 აგვისტოს სწორედ გალაკტიონის პოეტური აღმაფრენის სივრცეში დატრიალდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ მისტიკურ „მემენტო მორის“ გრძნობდა პოეტი შოვში, სოფელ **გლოლას** სიახლოვეს, რომლის სახელწოდებაც, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, სიტყვა **გლოვადან** მომდინარეობს. იმავე მისტიკური გათვლებით, კურორტ შოვის გაშენების დაწყებიდან ზუსტად 100 წლისთავზე მოვარდნილმა ღვარცოფმა მთლიანად წალეკა კურორტი, მიწასთან გაასწორა კოტეჯები და სასტუმროები, დაიღუპა 32 ადამიანი. ტრაგედიამდე 76 წლით ადრე, 1947 წელს, როდესაც გალაკტიონი „ნიკორწმინდას“ წერდა და **„შოვის რვეულს“** ად-

## კვირგვინოსნები

**გია ჯაჯანიძე**
*ტელეწამყვანი*



ყოველდღე საფრთხის ფასად მოპოვებულ ას დოლარს მირჩევნია, **ხუთი თეთრი და სიმშვიდე მქონდეს.** ზედმიწევნით კანონმორჩილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ **ყველა მცნობს და თბილად მხვდებიან,** ძალიან ვნერვიულობ, როდესაც პატრული მაჩერებს.

„თბილისელები“

**სიაკო ფიფია**
*მსახიობი*



სადაქალო **ერთად რომ მივდივართ დასასვენებლად,** ვამბობთ ხოლმე: **დაიწყო ჩვენი პენსიონერული დასვენებაო.** გავდივართ დილით ადრე, გავივლით გარკვეულ მანძილს, **ვსხდებით და ვისვენებთ...** ისევ გავივლით, **ისევ ვსხდებით დასასვენებლად.** თან, სათითაოდ გვიდევს ჩანთაში სხვადასხვა წამალი და ერთმანეთს ვახსენებთ, არ დაგვავიწყდეს დალევაო.

„თბილისელები“

**ნინი გველესიანი**
*მომღერალი*



საშინლად ვსწავლობდი, **ორიოსანი ვიყავი.** დედაჩემი ოქრომსმედალოსანია და ქალი დრამებში იყო, **უნიჭო შვილი** რომ ჰყავდა. მერე შევიცვალე, დავმშვიდდი, **წიგნებთან დიდ დროს ვატარებდი და სკოლა წარმატებით დავამთავრე.**

„თბილისელები“

**რეზო ჩხიკვიშვილი**
*მსახიობი*



ვერ წარმოიდგენთ, **გოგო შვილიშვილს როგორ ვნატრობდი.** კიდევ სხვა რეზო აღმოვაჩინე ჩემში. **ბაბუა რომ ხდები, რაღაც პრიორიტეტები იცვლება.** იმას, რაც შვილებთან გამოვტოვე, ახლა შვილიშვილთან გავდივარ.

„სარკე“



გალაკტიონი შოვში, მაგიდასთან, სადაც დაიწერა „ნიკორწმინდა“. 1947 წლის აგვისტო.

## გალაკტიონ ტაბიძე

# ქებათა ქება ნიკორწმინდას

მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია —
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა!

ვგრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანდო
ნათლად ნიკორწმინდა!

ხვეულთ დიადება
ვხედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადება
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჭქარგა,
და როცა მოჭქარგა,
შიგ მიჭკარგ-მოჭკარგა
გზნება — ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი
ნატვრის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმდიდრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი — ნიკორწმინდა!

შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი,
გშვენის, ნიკორწმინდა!

მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს ნიკორწმინდა!

შენ ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი.
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

გენდა, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე იგი **„შავ რვეულად“** იქცეოდა. არადა, **რაღაც ბედად, ღვარცოფის მრისხანებას გადაურჩა ის დასასვენებელი სახლი, სადაც გალაკტიონი 1947 წლის ივლის-აგვისტოში ცხოვრობდა.**

1947 წლის 24 აგვისტოს გალაკტიონმა შოვში ბოლო დღე გაატარა. ამავე წლის 30 აგვისტოს ქუთაისელებმა ადგილობრივ გაზეთში **„ინდუსტრიული ქუთაისი“** (№166) პირველად იხილეს გალაკტიონის ახალი ლექსი **„ნიკორწმინდა“**, რომელსაც შემდეგ **„ქებათა ქება ნიკორწმინდას“** ეწოდა. გაზეთის ამ ნომერს საგანგებოდ მიაკვლია ქალბატონმა **ნანული ცხვედიანმა.** არსებობს გალაკტიონის კიდევ ერთი ლექსი **„შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“** და ამ ლექსთან დაკავშირებული გალაკტიონის დიალოგი **მურმან ლებანიძესთან.** გალაქტიონს მისთვის უკითხავს: **თუ გახსოვს ჩემი „შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა, მტერს და მოღალატეს ბოლო აადინა“, რაზეა დაწერილიო?** თუმცა, ამ შეკითხვისთვის თავად გაუცია პასუხი: **„ნიკორწმინდაზე“! „ნიკორწმინდა“ შოვში რომ დავწერე, ისარი იყო ზოგისთვის და იმან მოადინა სხეპა თბილისში... შენმა გლოლელებმა მასწავლეს, ძამიკო, მშვენიერი რაჭული გამოთქმაა ეგ — „სხეპა მოადინა“.**

შოვიდან დაბრუნებული გალაკტიონი თავის დღიურში ჩაწერს: **შოვის სანატორიუმის წარუშლელი შთაბეჭდილება... წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც მოახდინა... ჩამოვედი. დიდებულია ეს...**

*ქეთევან ხამიცაშვილი*

## კვირგვინოსნები

**ნოდარ კავანაძე**
*სტატისტიკოსი*



**თუ გამორთავ ტელევიზორსა და „ფეისბუქს“,** აღმოჩნდება, რომ არაფერიც არ ხდება, ხოლო, **თუ ჩართავ „ფეისბუქსა“ და ტელევიზორს** და მხოლოდ ამას უყურებ, იტყვი, **მომეცით პისტოლეტი ერთი ტყვიით.** მე არ ვიცი, საქართველოში რამდენს აქვს წაკითხული **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ცალსახად გვიკრძალავს განვითარებას.** და სწორედ ამ იდეის ცხოვრებაში გატარებას ემსახურება ეს გრანტები — **რომ არასდროს განვვითარდეთ.**

„თბილისელები“

**გიორგი ფხაკაძე**
*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი*



**კოვიდაფეთქება 90-მდე ქვეყანაში დაფიქსირდა,** ოლიმპიადაზე 40-მდე სპორტსმენი **კოვიდით ინფიცირებულია.**

„ახალი თაობა“


# იმედის კლინიკა



თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო:
032 229–56–50
პედიატრიული კლინიკა:
032 223–85–80

IWAY.GE

ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში

# შპს „აივეი“

# გთავაზობთ:

უმაღლესი ხარისხის, მაღალი მარკიანობის (C2TE S1 სტანდარტი), ელასტიკურ, წყალგაუმტარ, ყინვაგამძლე თეთრ წებოცემენტს

## QIS AQUA BOND,

რომელიც გამოდგება კერამოგრანიტის, მარმარილოს და მეთლახის დასაწებებლად ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ზედაპირებზე, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების პირობებში, მათ შორის, იატაკქვეშა გათბობის სისტემის მონტაჟის შემდგომ.

ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები, უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.

თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge

# მაღაზია «ბუკვიცა»



ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15. ქურდიანის №2.

თამარისი Tamarisi

# დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics

საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა




# გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

# ნუგზარ კვაშალი:

# მენატრება 60-იანი წლები, ის დრო და ადამიანები!

***ფოტოზე, რომელსაც წარმოგიდგენთ, აღბეჭდილია ცნობილი მსახიობის ელენე ყიფშიძის ხელმძღვანელობით შექმნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ჯგუფი „ჯეჯილი“, რომლის წევრებიც იყვნენ: ნუგზარ კვაშალი, ზურა ყიფშიძე, გია ეძგვერაძე და მამუკა დუმბაძე. მას შემდეგ 56 წელი გავიდა, ისინი უკვე 70 წელზე მეტი ასაკისანი არიან, თუმცა, დღემდე აკავშირებთ მეგობრობა.***

**ნუგზარ კვაშალი, მუსიკოსი, ანსამბლ „ივერიის“ წევრი:** — ეს ფოტო გადაღებულია 1968 წელს საბჭოთა ეპოქაში, როდესაც **მე, ზურა ყიფშიძე, გია ეძგვერაძე და მამუკა დუმბაძე** ანსამბლ „ჯეჯილის“ წევრები გახლდით. სოლო გიტარაზე მე ვუკრავდი, ზურა — დასარტყამზე, მამუკა — ბასგიტარაზე, ხოლო გია — ე.წ. რიტმგიტარაზე. ხელმძღვანელი გახლდათ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ზურა ყიფშიძის დედა, ქალბატონი **ელენე ყიფშიძე.** ჩვენი პროდიუსერი იყო **ბესარიონ გუგუშვილი** — მომავალში საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი, გვეხმარებოდა მისი ძმაც და მამაც — აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი.** გვყავდა ასევე ხმის რეჟისორი, მუსიკალური ხელმძღვანელი, რომელიც გადარეული იყო იმის გამო, რომ ნოტები არ ვიცოდით, თუმცა, კარგად ვუკრავდით და ვმღეროდით. ადმინისტრატორი გახლდათ ულამაზესი კაცი **ჯონდო მაჭავარიანი.**

**— ამ დროს რამდენი წლის ხართ?**

— მე და მამუკა 16 წლისანი ვართ, მეათე კლასის მოსწავლეები, ხოლო ზურა და გია — 15-ის — მეცხრე კლასის მოსწავლეები. მიუხედავად იმისა, რომ შელახული აპარატურა გვქონდა, კონცერტებზე მაინც კარგად გამოვდიოდით და, ასე ვთქვათ, „ვანგრევდით“ დარბაზს. კონცერტი დაყოფილი იყო ორ განყოფილებად, პირველში — თეატრალურ სცენებში მონაწილეობდნენ **ბოვენ ჭეიშვილი, ელენე ყიფშიძე და ეკატერინე ვერულეიშვილი,** ხოლო მეორე განყოფილება ჩვენი იყო. ხალხს ისე მოსწონდა პროგრამა, რომ დარბაზში წივილ-კივილი ისმოდა. თან „როლინგ სტოუნსის“ და ჯიმი ჰენდრიქსის რეპერტუარიდანაც გვქონდა სიმღერები, ვუკრავდით როკ-ენ-როლს... დარბაზი განსაკუთრებით რეაგირებდა **ზურა ყიფშიძის** გამოჩენაზე, კარგადაც უკრავდა და ლამაზი ბიჭიც იყო. ცეკვას დაიწყებდა თუ არა, დარბაზი ყიჟინას სცემდა. მთელი საქართველო შემოვიარეთ მაშინ, მშობლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ, კონცერტების შემდეგ პურმარილს გვიშლიდნენ. მახსოვს, ბაბუაჩემი საგარეჯოში როცა ჩამოვიდა, თვალზე სიხარულის ცრემლი ჩამოუგორდა, თქვა: შავი პურის ფული უკვე აქვსო! ხალხი აღტაცებით გვხვდებოდა, განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ მაყურებელმა შეგვიყვარა. როცა გასტროლიდან თბილისში დავბრუნდი და სკოლაში მივედი, მასწავლებლები მეუბნებოდნენ — უკვე ცნობილი ბიჭი ხარ და შეგიძლია, სკოლაში აღარ იაროო *(იცინის).*

**— ის მუსიკა, რასაც 60-იან წლებში უკრავდით, ნებადართული იყო?**

— აკრძალული იყო, თუმცა, ჩვენთვის არავის აუკრძალავს, თან მაშინ ინგლისურიც არ ვიცოდით კარგად და სიტყვებსაც არასწორად ვმღეროდით. 55 წელი გავიდა მას მერე, უკვე 70 წელს გადავაბიჯეთ, მენატრება ის დრო და ადამიანები.

**— თქვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება...**

— **ზურა ყიფშიძესთან** 1967 წლიდან ვმეგობრობ, დღეს ის უკვე 71 წლისაა. მისი თხოვნით, ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, თუმცა, იქ ვერ მოვხვდი, სადაც მინდოდა. შემდეგ ექსტერნად კი ამიყვანეს, მაგრამ, იმის გამო, რომ მე და ზურა ლექციებს ვაცდენდით, ორივე გამოგვყარეს ინსტიტუტიდან. ბოლოს ზურა მსახიობი გახდა, მე — ესტრადა ავირჩიე. დღეს ის დიდი არტისტია, ძალიან უხდება თავის პროფესიას, არაჩვეულებრივი დედა ჰყავდა და გამზრდელი დეიდები. სხვათაშორის, ჩვენს ჯგუფს „ჯეჯილი“ სწორედ ზურას დედამ დაარქვა. 57 წელია, ვმეგობრობთ და ბოლომდე ასე იქნება, მინდა, ვუსურვო ჯანმრთელობა, კიდევ მრავალი წელი შეძლოს როლების ზღაპრული შესრულება და როგორც ბავშვობაში აგიჟებდა ხალხს თავისი ხელოვნებით, დღესაც ისევე გაეგიჟებინოს მაყურებელი.

**— ბოლოს როდის შეხვდით „ჯეჯილის“ სხვა წევრებს?**

— გასულ წელს 55 წლის იუბილე გადავიხადეთ, შევიკრიბეთ **მე, ზურა და მამუკა. გია ეძგვერაძე** გერმანიიდან ვერ ჩამოვიდა. ცოტა დავუკარით, გავიხსენეთ ძველი დრო და დავიშალეთ. გული მწყდება, რომ ხშირად ვერ ვხვდებით ერთმანეთს. შარშან საგურამოში ვიყავი მამუკასთან დაბადების დღეზე, მაშინ ზურა ვერ წამოვიდა, წელს კი მე ვეღარ შევძელი წასვლა და შერცხვენილი ვარ, მაგრამ, ვიცი, რომ არ გაბრაზდება. შესანიშნავი მეუღლე ჰყავდა, გულში დიდი დარდი აქვს. მამუკა ისტორიკოსია, აკადემიკოსი, უნიჭიერესი კაცი, ვუსურვებ ჯანმრთელობას.

**— ესტრადაზე მხოლოდ თქვენ გააგრძელეთ გზა?**

— ასე გამოდის. **გია ეძგვერაძე** მხატვარია, გერმანიაში ცხოვრობს და დიდი ხანია, არ მინახავს. ბოლოს რომ ჩამოვიდა, კარგი გიტარა ჰქონდა ჩამოტანილი. ღმერთმა ჯანი მისცეს, დიდხანს ხატოს და იყოს იმ ხელოვნებაში!

მოკითხვას ვუთვლი ყველას, მიყვარს და მენატრებიან. ვისურვებდი, ისევ ერთად შევკრებილიყავით ჩვენ ოთხი და იმჟამინდელი რეპერტუარიდან კიდევ ერთხელ შეგვესრულებინოს სიმღერები.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***


ანსამბლი „ჯეჯილი“ – ნუგზარ კვაშალი, მამუკა დუმბაძე, გია ეძგვერაძე, ზურა ყიფშიძე. 1968 წელი.


მამუკა დუმბაძე, ნუგზარ კვაშალი, ზურა ყიფშიძე. 2023 წელი

## კვირგვინოსნები

**ნინო ბურდულაძე**
*მსახიობი*



**ვერაფრით ვიჯერებ, რომ 40 წლის ვარ.**

„თბილისელები“

**ბარბარე სამხარაძე**
*მომღერალი*



საქართველოში **ბარბარა სამხარაძე** დავრჩები, უცხოეთში კი **ბარბარა კეით** გამიცნობენ.

„თბილისელები“

**ტარიელ ლუაძე**
*მუსიკოსი*



ზედმიწევნით **დაუნდობელი ვარ,** არ შეიძლება, ადამიანი **ასეთი სასტიკი** იყოს.

„თბილისელები“

**სოფო ბედია**
*მომღერალი*



თუ ვიღაცებს რაღაცის გამო **არ მოსწონთ ჩემი ქმარი,** თვითონ ჰყავდეთ უკეთესი!

„სარკე“

**ხატია სიჭინავა**
*ყოფილი ტელეწამყვანი*



როცა რამე მინდა, **დედამიწაზე ვერავინ შემაჩერებს.** ისეთი წინააღმდეგობები გადამილახავს, რომ არაბულ ულაყსაც გაუჭირდება გადახტომა.

„თბილისელები“

**ნუცა შანშიაშვილი**
*მუსიკოსი*



**ხანდახან გიუს მეძახიან,** პატარა ბავშვს როგორ ეკითხები აზრს ყველაფერზეო? — არადა, **მე ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც ჩემი შვილი მირჩევს.**

„თბილისელები“

# აი, რაზე თქვა სააკაშვილმა – ქვეზის გროვა დავკარგეთო!

# გვახსოვდეს!



მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 8 აგვისტო: — საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე...



## არადა, სინამდვილეში:

**2008 წლის აგვისტოში ორდღიანი ომის შედეგად რუსეთთან კაპიტულაციას ხელი მოაწერა ქართული ჯარის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა:**







ქვემო აჯარა
მამისაანთუბანი
თამარაშენი
ახმაჯი
აძგარა
ფრისი
ქვემო აჩაბეთი
მოსაბრუნი
იგოთი
ბუჩუკური
არგვიცი
ზემო აჩაბეთი
კორინთა
ბუძგური
ბერულა
ქურთა
საძეგური
გვანდრა
ერედვი
კეხვი
ლარგვისი
ზემო აჯარა
ვანათი
საცხენეთი
სვერი
ქარჩოხი
ზემო ზიმი
ბელოთი
ხეითი
ძარწემი
ალემი
ქვემო ზიმა
ზონკარი
ქემერტი
ჩიტიანი
ზემო ომარიშარი
ქვაბჩარი
ფრონე
დადიანეთი
ვაშლოვანი
ქსუისი
მარცხენა გენწვიში
ერედა
საკენი
დორეთკარი
მარცხენა პტიში
ოქონა
არცევი

არკნეთი
ავნევი
ყანჩავეთი
მარჯვენა გენწვიში
ტვირბრაშერი
დელკანი
ნული
ხეცკვარა
ძეგლევი
ჩხალთა
პტიში
დისევი
ნახარი
ჩირქოლი
შაბათკვარა
ბოლი
მრამბა
ომარიშარი
ჭარები
ხუტია
აწრისხევი
კლიჩი
ჯვარისუბანი
ბალაანი
ელოიანი
თინიკაანი
მიდელაანი

ნავიხევი
ოხორი
პავლიანი
ქარელთკარი
ქენქაანი
ჩიგიოანი
წიფათური
ჭორჭოხი
ხოზუეთი
დაბაკნეთი
ზოდეხი
თოხთა
მანჭიკაანი
მარტიანი
მაჭარაანი
მახიარეთი
მუჯუხი
პაპიაანი
უკანამხარი
უკანუბანი

ყველდაბა
შიუკაანი
ბაზუანი
ახალდაბა
ახალსოფელი
ბეჟანაანთკარი
ბარუბანი
ერედა
მორბედაანი
გდუ
ბოსლეთა
ღრუ
კოდიჯვარი
მამულაანი
მონასტერი
ციხისოფელი
ჭანდარი
გეზევრეთი
გუდაწვერი
ნახიდი

ყოჩაანი
წირქოლი
ხარკელანი
გავაზი
გარუეთი
დოგუზაანი
ველისა
კარა
კუცხოვეთი
მშველიეთი
საბარკლეთი
ჩკუნეთი
ცხავათი
ძაგნათი
ხარბალი
ხრამისწყარო
სალბიერი
ნაგომევი
ჩორჩანი
მუხიერითი...



## კვირგვინოსნები



**რამაზ საყვარელიძე**
*ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი*

ხალხმა უნდა მოიკრიბოს გონიერება და **ხმა „ქართულ ოცნებას" მისცეს,** რათა მეორე ფრონტის გახსნა, **რევოლუციური პროცესები** თავიდან ავირიდოთ.

„საერთო გაზეთი"



**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების" გენერალური მდივანი*

ივანიშვილს იმუნიტეტი სჭირდება და **„ოცნებამ" შეიძლება, პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელოს.** ამ ოპოზიციას ხელისუფლების შეცვლა არ უნდა. **დღეს სიტუაცია ისეთია, რომ, წესით, „ოცნება" მოიგებს.**

„ახალი თაობა"



**კახა მიქიაშვილი**
*მსახიობი*

**ქალბატონები ნამდვილად არ მასკდებიან...** არიან სხვადასხვა თაობის ადამიანები, რომლებიც **სითბოს და სიყვარულს გამოხატავენ,** თუმცა, ვერ დავიტრაბახებ, რომ განსაკუთრებით განებივრებული ვარ ამ მხრივ.

„სარკე"



**სოფია ცინცაძე**
*თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კორდებალეტის მსახიობი*

სუფრასთან რომ ვზივარ და იგებენ, **ბალერინა ვარ,** ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებიან: უი, შენ, ალბათ, არაფერს შეჭამ ხომ? **ორჯერ მეტს ვჭამ ხოლმე, რომ სიმართლე გავაგებინო.**

„თბილისელები"



**კეტი ჰოლმსი**
*მსახიობი*

**გამიხარდება, თუ ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი გამოჩნდება.**

„ახალი თაობა"



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ჩვენი ოთხფეხა მეგობარი

***— რომელი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ძაღლს ახასიათებს თავისებური ვოკალი, სხვადასხვა ხმაზე ყმული და ყეფით ლაპარაკი? არის ცნობისმოყვარე და აქვს ურთიერთობისა და სიყვარულის უსაზღვრო მოთხოვნილება. რა შემთხვევაშია დაჯილდოებული ძაღლი ძლიერი ინტუიციით, ხელმძღვანელობს გრძნობებით, ლეკვებს და სხვა ცხოველებსაც მშვენივრად უვლის, პატრონისა და ოჯახის ერთგული და დამცველია და მიიჩნევა საუკეთესო სახლის ძაღლად? ვის უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, პირველობა და საჩუქრები? ვინ ასხივებს სითბოსა და ენერგიას და აქვს წყლიანი თბილი თვალები და ასევე ხასიათდება ძლიერი ჯანმრთელობით, მედიდური სიარულით ანდა რატომ და ვისთვის შეიძლება იყოს ამგვარი თვისებების მქონე ძაღლები საუკეთესო არჩევანი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ ასტროლოგიის დახმარებით, როგორ შეიძლება ჩვენთვის შესაფერისი და სასურველი ოთხფეხა მეგობრის შერჩევა.**

— **3. ტყუპს** (21 მაისი — 20 ივნისი) განაგებს გონების, ინტელექტის, ურთიერთობებისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური, რაც ასევე აისახება ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ძაღლზეც. **ტყუპ-ძაღლს ახასიათებს თავისებური ვოკალი, სხვადასხვა ხმაზე ყმული. ყეფით ურთიერთობისას, თითქოს გელაპარაკებათ. იგი მუდმივად რაღაცას ათვალიერებს.** ძლიერი გონებრივი მონაცემებითა და ცნობისმოყვარეობით გამოირჩევა, რაც ზოგჯერ მხიარულებით, ზოგჯერ კი გადამეტებული ონავრობით გამოიხატება. მას განწყობა ადვილად და ხშირად ეცვლება, ამიტომ წუთის წინ მშვიდი ძაღლი, შესაძლოა, მეორე წუთში ცელქი გახდეს. მიუხედავად ამისა, **ტყუპი-ძაღლი საკმაოდ თბილია, მოფერება უყვარს და ადამიანებს, განსაკუთრებით კი პატრონს მშვენივრად ეთვისება, თუმცა, სხვა ძაღლებივით ის არასოდეს არ იქნება მხოლოდ საკუთარ პატრონზე მიჯაჭვული და დამოკიდებული.** მისთვის ოჯახის ყველა წევრი ტოლფასად მნიშვნელოვანია. სიყვარულისა და ურთიერთობის უსაზღვრო მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი შესაძლოა, მოიწყინოს და დეპრესიაც მოემატოს. **ტყუპი-ძაღლი** მეტად ჭკვიანი და ცნობისმოყვარეა და მუდმივად რაიმე ახლის გაგებასა და გამოკვლევას ცდილობს. გაუჩერებლად ძალუძს თამაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას გარკვეული პრობლემური თავისებურებანიც გააჩნია. მაგალითად, **იგი ყველანაირ საკვებს არ მიირთმევს, ამიტომაც რაციონის შერჩევას საჭიროებს.** გარდა ამისა, ეზოში ან ბაღებში სეირნობისას, ხშირ შემთხვევაში კატებს და სხვა ცხოველებს დასდევს. მას რუტინა და ერთფეროვნება არ უყვარს, ამიტომ ხშირად ითხოვს გასეირნებას. **ამგვარი ძაღლი მშვენიერი არჩევანია ვერძის, სასწორისა და მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის.**

**4. კირჩხიბის** (21 ივნისი — 22 ივლისი) **ნიშნით დაბადებული ძაღლი, გონებაზე უფრო მეტად ხელმძღვანელობს გრძნობებითა და ემოციებით. მას ძლიერი ინტუიცია გააჩნია.** საკმაოდ მშვიდია, თუმცა, დიდი სასიცოცხლო ენერგია აქვს და საკუთარი შინაგანი რიტმის ჩარჩოებშია მოქცეული. **ბემრიელი საკვები და ძილი უყვარს. თავს უსაფრთხოდ გრძნობს საყვარელი ადამიანების გვერდით, პატრონისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში.** კარგი აღმზრდელია, ამიტომ მშვენივრად უვლის საკუთარ ლეკვებს და ოჯახში მცხოვრებ სხვა ცხოველებსაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ **ლეკვი-კირჩხიბი, როგორც კი პატრონს შეიძენს, იგი მთელი არსებით ხდება მისი ერთგული და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იქნება მისი დამცველი.** მეტად მგრძნობიარე **ძაღლ-კირჩხიბს** თავადაც ესაჭიროება პატრონისა და ოჯახის წევრთა მხრიდან სითბოსა და სიყვარულის შეგრძნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას თავისი მადის გაკონტროლება უჭირს, ამიტომ პატრონმა უნდა განუსაზღვროს საკვებისა და დანამატების მიწოდება, რათა ძაღლი ზედმეტად არ გასუქდეს. **მას საკმაოდ რბილი ხასიათი აქვს. ემოციური მხარდაჭერა ძალუძს და ყურადღებიანია, ამიტომაც მიჩნეულია საუკეთესო სახლის ძაღლად. კირჩხიბი-ძაღლის** ნეგატიური თვისებებიდან შეიძლება აღინიშნოს სიმსუქნისკენ მიდრეკილება, ძლიერი ხმაურის (ჭექა-ქუხილის, სალუტის თუ სხვა მოულოდნელი ხმების) მიმართ შიში. გარდა ამისა, ამგვარი ძაღლების დიდ ნაწილს გარეთ სეირნობა არ უყვართ და ამჯობინებენ სახლში ყოფნას. მათთვის კი **საუკეთესო პატრონები იქნებიან და თავადაც დიდ სიამოვნებასაც მიიღებენ კუროს, ქალწულისა და თევზების ნიშნით დაბადებული ადამიანები.**

**5. ლომი** (23 ივლისი — 22 აგვისტო) **მეფური არისტოკრატიული ნიშანი გახლავთ და ხასიათდება განსაკუთრებული პატივმოყვარეობით.** ყურადღების ცენტრში ყოფნა, პირველობა და სხვების მართვა უყვარს. **დაბადებით ქარიზმატულია, სითბოსა და ენერგიას ასხივებს. ლომ-ძაღლს კონკურენცია არ უყვარს,** ამიტომ ურჩევნია, ოჯახში ერთადერთი და განუმეორებელი იყოს სხვა ძაღლების და ცხოველების გარეშე, სადაც ყველა მხოლოდ მას მოეფერება და სურვილებსაც აუსრულებს. **ლომ-ძაღლს უყვარს, როცა ათამამებენ და საჩუქრებს ჩუქნიან.** მას განსაკუთრებული წყლიანი, თბილი ლეკვის თვალები აქვს, რომელთა დახმარებით ადამიანებს აიძულებს, ყველა კაპრიზი შეუსრულონ, ხალხმრავალ ადგილებში ასეირნონ და ეფერონ. თავადაც საკმაოდ ლოიალურია. გარშემო მყოფთა მიმართ და პატრონისა და ოჯახის წევრთა გასახალისებლად და გასაბედნიერებლად ყველაფერს იღონებს. იგი თავისი ხიბლით საყოველთაო ყურადღებას იქცევს, ამიტომ სეირნობისას მის გვერდით მყოფი პატრონიც განსაკუთრებული ყურადღებითა და პოპულარობით სარგებლობს. ლომი-ძაღლი **ძლიერი ჯანმრთელობით გამოირჩევა და დაბადების პირველივე დღიდან აქვს სხვებზე აღმატებულობის შეგრძნება, რაც მედიდურ სიარულსა და საყოველთაო ყურადღების მოთხოვნილებას განაპირობებს.** უნდა აღინიშნოს, რომ **ამგვარი ძაღლი მშვენიერი არჩევანი იქნება ტყუპის, სასწორის, მშვილდოსნის და თავად ლომის ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 12 - 18 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ცხოვრებისეული ტემპი საკმაოდ მაღალი იქნება, თუმცა, ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არაა. ასევე ეს პერიოდი არ უწყობს ხელს მოგზაურობას, სამაგიეროდ კარგია სამომავლო გეგმების დაწყობისა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. ზედმეტი პირდაპირობით ეცადეთ, არ გააღიზიანოთ პარტნიორები და გარშემო მყოფთა აგრესია არ დაიმსახუროთ. ამას გარდა, აუცილებლად დაითმეთ თუნდაც მცირე დრო პირადი ცხოვრებისა და ურთიერთობებისთვის, რათა არ განაწყენოთ საყვარელი ადამიანი.

**კურო** (21.04-20.05)
გარკვევით დასახეთ გეგმები და ზედმეტ ენერგიას ნუ დახარჯავთ იმ საქმეებზე, რაც სწრაფად არ გამოგივათ. ახალი უცნაური ინფორმაციისა და კონტაქტების მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა არ გაართულოთ ცხოვრება. მოერიდეთ ახლობლების თქვენს საქმეში ჩართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე დამოკიდებული აღმოჩნდებით. მეტი ყურადღება გამართეთ ჯანმრთელობის მიმართ, რათა დროებით არ გადაიდოთ მნიშვნელოვან მოვლენებს. მოერიდეთ მოგზაურობას.

**ტყუპი** (21.05-22.06)
დროს მხოლოდ გართობასა და დასვენებაზე ნუ დახარჯავთ, რადგან შესაძლოა, ხელიდან გაუშვათ პერსპექტიული შესაძლებლობები. ეს პერიოდი მნიშვნელოვანია ახალი კავშირების დამყარებისა და საჭირო მოლაპარაკებების ჩასატარებლად. პირად და საოჯახო სფეროში მოსალოდნელია მოულოდნელი დადებითი მოვლენები ან სასიხარულო სიურპრიზები. მოგზაურობისას ბრმად ნუ ენდობით ნურავის და გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. თავისუფალი დრო დაუთმეთ დასვენებას და გეგმების გააზრებას.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მატერიალური საკითხები მეტად მნიშვნელოვანი გახდება. ამიტომ მთელ ძალისხმევას მოახმართ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საერთო მიზნების გამო საკუთარი სახსრებით ნუ გარისკავთ, რადგან მეგობრებმა შეიძლება ვერ შეასრულონ დანაპირები. ნურავის ნურაფერს ნუ შეჰპირდებით და განსჯის გარეშე მოერიდეთ მნიშვნელოვანი საბუთების ხელმოწერას. მოგზაურობისას რიგიანად დაისვენებთ. პირად ცხოვრებაში ეცადეთ, ნაკლებად მომთხოვნი იყოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
საკუთარი პრობლემების მოგვარებისას ეცადეთ, არავინ დააზარალოთ და გაითვალისწინეთ სხვათა ინტერესები. გაიზრდება როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯის რაოდენობაც, ამიტომ ყურადღებით ჩაატარეთ ყველა ფინანსური ოპერაცია. შორეული მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. სიფრთხილე გმართებთ მჭრელი და მჩხვლეტი საგნების გამოყენებისას, რადგან არსებობს დაშავების ალბათობა. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში კი ჯობს, დინებას მიჰყვეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ნუ გამოიყენებთ სხვის რესურსებსა და ფინანსებს და მოერიდეთ ორაზროვან სიტუაციებს, რადგან მათ დასაძლევად აუცილებელი ბრძოლისუნარიანობა და გამჭრიახობა არ გეყოფათ. მეტად დაეყრდენით საქმიან პარტნიორებსა და მეგობრებს, რათა ერთობლივად გაართვათ თავი არსებულ პრობლემებს. მოგზაურობა გადადეთ და მოერიდეთ უცნობებთან საპასუხისმგებლო მოლაპარაკებებს. ოჯახში ეცადეთ, ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დაზოგეთ ენერგია და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**სასწორი** (24.09-22.10)
კეთილგანწყობა და სიახლეებისადმი ინტერესი ბევრ ახალ საინტერესო ადამიანთან დაგაკავშირებთ. ნებისმიერ საკითხში იხელმძღვანელეთ ესთეტიკური პრინციპებით და ნუ შეუშინდებით ჩანაფიქრების განხორციელებას. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც მალე სასიყვარულო გრძნობა ჩამოგიყალიბდებათ. საჭიროების შემთხვევაში კარგია მკურნალობის დაწყება და ჯანმრთელობის პრობლემებისგან გათავისუფლება. მოგზაურობისას მოერიდეთ ექსტრემალურ გართობას.

**მორიელი** (23.10-22.11)
გართულდება ცხოვრებისეული მოვლენები. გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი დრო დაგეხარჯებათ. სახლის საქმეებზე დამოუკიდებლად მოგიწევთ მუშაობა. ნებისმიერი საბუთები სრულ წესრიგში მოიყვანეთ. საქორწინო ან საქმიან პარტნიორებთან შესაძლებელია სერიოზული უთანხმოება. შესაძლებელია, უცხოეთში გადასახლების და ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი დაგეუფლოთ. მოგზაურობისას ზედმეტად ნუ მოდუნდებით და გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოულოდნელი ცვლილებები თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის მაუწყებელია. მოერიდეთ დიდ ხარჯებს და ეცადეთ, ეკონომიურად მართოთ ფინანსები. ორაზროვან სიტუაციებში ჯობს, გარკვეულ დათმობებზე წახვიდეთ, რათა არავისთან გაიუარესოთ ურთიერთდამოკიდებულება. ოჯახში მოერიდეთ საკუთარი აზრის დამკვიდრებას და მეტი პატივისცემა მოიპოვეთ ბავშვებთან და მშობლებთან. მოგზაურობა სასიამოვნოდ ჩაივლის და კარგ მოგონებებს დაგიტოვებთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
დატვირთული, მაგრამ შედეგიანი პერიოდია. ბევრ ძალას მოახმართ კარიერას და პარტნიორულ ურთიერთობებს, რის გამოც ოჯახისათვის დრო შეიძლება არ დაგრჩეთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეცადეთ, გაიფართოვოთ სანაცნობო წრე და დაიხმაროთ მეგობრები. ეცადეთ, უყურადღებოდ არ დატოვოთ ოჯახის წევრები და მათთან ურთიერთობაში ყველა გაუგებრობა დროულად განმუხტეთ. კარგი დროა მოგზაურობისა და დასვენებისთვისაც.

**მერწყული** (20.01-18.02)
ახლობლების ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისას ბევრ დროს გაატარებთ საინტერესო ადამიანების წრეში, ახლის შეცნობისა და საკუთარი ავტორიტეტის გამყარებაში. რთული საკითხების გადაწყვეტისას მეტად უსმინეთ ახლობლებსა და საყვარელ ადამიანს. ნუ შეეცდებით მეუღლეზე ან ოჯახის წევრებზე ძალისმიერად მოქმედებას და მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან ან ასაკით უმცროს ადამიანებთან. კარგი დროა დასასვენებლად გამგზავრებისთვის, ჯანმრთელობის მოწესრიგებისა და ძალების აღდგენისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
ძველი მიზნები და ოცნებები შესაძლოა, მოძველებულად მოგეჩვენოთ, რაც ახალი გეგმებისა და მიზნების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მოიმატებს შემოქმედებითი პოტენციალის მომგებიანად გამოყენებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ალბათობა. შესაძლოა, განახორციელოთ სახლთან და ოჯახთან დაკავშირებული ძველი ჩანაფიქრები. შესაძლოა, მოიმატოს რომანტიკის სურვილმა. კარგი დროა დასვენებისა და ახლობლებთან ერთად სადმე გამგზავრებისთვის.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
**12, 16 და 18 აგვისტო**

4 აგვისტო – ახალმთვარეობა, პიკი – 15.14 საათზე.
19 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 21.22 საათზე.

## რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

### 12 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.07 საათზე, ჩადის 19.05 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 12.50 საათზე, ჩადის 22.26 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 15.26 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 19.20 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ძველი ვალდებულებისგან გათავისუფლების დღეა. კარგი დღეა საკეტების დასაყენებლად, თვითშემეცნებისთვის და კომპენტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, რემონტისთვის, ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირისა და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ. მოერიდეთ ემოციურობას, ეჭვიანობას, ყოყმანსა და უნდობლობას. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, ამიტომ საკვებით ნუ დაიტვირთებით. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სისხლის აღება, სხივური თერაპია, გინეკოლოგთან ვიზიტი, ინტიმური კონტაქტები, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარგალიტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 13 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.08 საათზე, ჩადის 19.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.57) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 13.57 საათზე, ჩადის 22.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 16.56 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.02 საათიდან 14.02 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ცდუნებების, სიცრუის, ილუზიების ალბათობა. ემოციები აკონტროლეთ. მეტი იმოძრავეთ. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდისკენ, საკვების მიღება შეზღუდეთ. იმატებს თავისუფლებისკენ ლტოლვა. კარგი დღეა ყელ-ყურ-ცხვირის, ფილტვების, ხელების, მხრების მეტყველების მკურნალობისთვის, კომპენტენტურობის გამოსავლენად, სამეცნიერო კვლევისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სისხის აღება, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, იასპი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 14 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.09 საათზე, ჩადის 19.02 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 15.04 საათზე, ჩადის 23.41 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 18.17 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შესაძლოა, ხელმძღვანელმა პირებმა სერიოზული შეცდომა დაუშვან. დემოკრატიულობა გამოავლინეთ, აზრები აკონტროლეთ, სიმშვიდე დაიცავით. ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი დღეა იურიდიული საკითხის გადასაწყვეტად, სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად, სუნთქვითი ვარჯიშისთვის, ფილტვების, ბრონქების, ხელების სამკურნალოდ, მასაჟისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, სარკაზმი, ემოციების გამოვლენა და ზეწოლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ამეთვისტო, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

### 15 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.10 საათზე, ჩადის 19.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.00) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 16.08 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 19.31 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.53 საათიდან 21.52 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში (9 სექტემბრამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, მასშტაბური იდეების გამოვლენას, კომუნიკაბელურობას, ლიდერობისკენ მიდრეკილებას, კეთილშობილებას, ორგანიზატორულ მონაცემს და ასევე სიზარმაცეს, სიჯიუტეს, ეგოიზმს, დიქტატორობას და ამბიციურობასაც. დღეს მეტი ყურადღება გმართებთ, ტრავმულ-ავარიული დღეა. კარგი დღეა სწავლისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, შეხვედრა-დისკუსიებისთვის. არ არის სასურველი სარკაზმი, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. საკვების ხარისხი გააკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები. **ქვები:** ფირუზი, იაგუნდი, ამეთვისტო, საფირონი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

### 16 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.11 საათზე, ჩადის 18.59 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 17.06 საათზე, ჩადის 17 აგვისტოს 00.35 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 20.23 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული დღეა, ყურადღება გმართებთ, აკონტროლეთ ემოციები, სიმშვიდე დაიცავით. სიფრთხილე გამოიჩინეთ ნებისმიერი საქმიანობისას. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის და ფილტვების მკურნალობა, კანისა და ფრჩხილების მოვლა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. არ არის სასურველი ტატუირება, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, ხელმძღვანელთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები, სახსრები, კბილები, კანი, ხერხემალი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

### 17 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.12 საათზე, ჩადის 18.58 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 17.54 საათზე, ჩადის 18 აგვისტოს 01.40 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 20.53 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** ბრძნული რჩევისა და საიდუმლო ცოდნის მიღების დღეა. დაძაბული დღეა, ყურადღება გმართებთ. შესაძლებელია ახალი პროექტის დაწყება, ძველი ურთიერთობის აღდგენა, პრობლემის გადაწყვეტა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის. სასიკეთო იქნება კუჭ-ნაწლავის, მკერდის, კანის, ფრჩხილების მკურნალობა. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, გაცვლითი ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 18 აგვისტო , კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.13 საათზე, ჩადის 18.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.55) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 18.33 საათზე, ჩადის 19 აგვისტოს 02.56 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.11 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.46 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ერთმანეთს გაუფრთხილდით, მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გმართებთ. პროვოკაციებს არ აჰყვეთ. სულსწრაფ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ნერვიული სისტემა სუსტდება. შესაძლოა, უძილობამ იჩინოს თავი. კარგი დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის, სამშენებლო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონებით ვაჭრობისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული სისტემის აპარატურის შესაძენად, განცხადებისა და რეკლამისთვის, ბინის შესაცვლელად. არ არის სასურველი ფორიაქი, ნერვიულობა, ზედმეტი ლაპარაკი და საიდუმლოს გამხელა, თვალების გადაღლა, ფეხზე დიდხანს დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.


შევიძენ
ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!
591 71 99 00

## საეკლესიო კალენდარი


12 აგვისტო – ხსენება აღმსარებელისა ცოტნესი, საქართველოსთვის თავდადებულისა

**12 აგვისტო. ორშაბათი. აღმსარებელისა ცოტნესი, საქართველოსთვის თავდადებულისა;** 70-თაგანთა მოციქულთა: შილასი, სილოვანესი, კრისკენტისა, ეპენეტოსი და ანდრონიკესი; მოწამისა იოანე მხედრისა; მოწამეთა: პოლიქრონისა, ბაბილონელი ეპისკოპოსისა, პარმენ, ელიმე და ქრისოტელ ხუცესთა, ლუკა და მუკო დიაკონთა, აბდონი და სენისი სპარსეთის მთავართა და მოწამეთა ოლიპისა და მაქსიმესი; მღვდელმოწამისა ვალენტინე ეპისკოპოსისა და სამთა მოწაფეთა მისთა მოწამეთა: პროკულისა, ეფებისა და აპოლონისა და მართლისა აბუნდისა.

✝ **13 აგვისტო. სამშაბათი. წინადღესასწაული უფლის ცხოველმყოფელი ჯვარის პატიოსანთა ძელთა შემოყვანებისა.** ღირსისა არსენისა, ნინოწმინდელი ეპისკოპოსისა; მართლისა ევდუკიმო კაბადოკიელისა; მოწამისა ივლიტასი.

✝ **14 აგვისტო. ოთხშაბათი. შემოყვანება პატიოსანთა ძელთა უფლის ცხოველსმყოფელისა ჯვარისა;** მოწამეთა შვიდთა ძმათა მაკაბელთა: აბიმისა, ანტონინესი, გურიისა, ელიაზარისა, ევსევონისა, ალიმისა და მარკელისა, დედისა მათისა სოლომონიასი და მოძღვრისა მათისა ელიზარ მღვდელისა; 9-თა მოწამეთა პამფილიის პერგიას: ლეონტისა, ატისა, ალექსანდრესი, კინდევსისა, მინსითევსისა, კვირიაკესი, მინეონისა, კატუნისა და ევკლესი; დასაწყისი მიძინების — მარიამობის მარხვისა. წირვის შემდეგ — წყლის კურთხევა.

✝ **15 აგვისტო. ხუთშაბათი. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა პირველმოწამისა, მთავარდიაკონისა სტეფანესი იერუსალიმით კონსტანტინოპოლს და პოვნა წმიდათა ნაწილთა მართალთა:** ნიკოდიმოსისა, გამალიელისა და ძისა მისისა აბიბოსისა; მღვდელმოწამისა სტეფანესი, რომის პაპისა და მისთანათა.

✝ **16 აგვისტო. პარასკევი.** პირველმოწამისა რაჟდენ სპარსისა, სოფელ წრომს წამებულისა; წმიდათა ცხრათა ძმათა ხერხეულიძეთა დედით და დით და მათთანა 10 000-თა ქართველთა, მარაბდის ბრძოლის ველზე მომწყდართა; ღირსთა: ისააკისი, დალმატისი და ფავსტოსი; ღირსისა კოზმა განდეგილისა; ღირსისა ანტონი რომაელისა, ნოვგოროდელი სასწაულმოქმედისა.

✝ **17 აგვისტო. შაბათი.** შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსისა, მარტინიანესი, იოანესი, დიონისესი, ექსაკუსტოდიანესი და ანტონინესი; ღირსმოწამისა ევდუკიასი; მოწამისა ელევთერისი.

✝ **18 აგვისტო. კვირა. წინადღესასწაული უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს ფერისცვალებისა.** მოწამისა ევსიღნისი; მღვდელმოწამეთა ანთვირესი და ფაბისა, რომის პაპთა; მოწამისა პონტი რომაელისა; მოწამეთა: კანტიდისა, კანტიდიანესი და სიბელისა ეგვიპტეს; მართლისა ნონასი, დედისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ღორჯო; 8. კოკოტი; 11. პარაშუტი; 12. სექტა; 13. მავრი; 14. ლუნეტი; 15. ქარავანი; 16. რილკე; 17. ლანდი; 18. ვნება; 19. კინომანი; 23. სევდა; 25. წილი; 27. ლიახვი; 28. ლაბრადორი; 30. რიწა; 32. წალდი; 33. არატე; 34. სპექტაკლი; 37. მესი; 38. ლეონიძე; 39. რქა; 40. კარუსელი; 41. ბარბი; 42. ქილიკა; 45. ასტროლოგია; 49. ფინეთი; 52. როკფორი; 53. კონტინენტი; 55. ზარალი; 56. კუბიკი; 57. ფარშავანგი; 58. კონერი; 59. სინემა.

შვეულად: 1. ბატატი; 2. მაღარო; 3. ფუფალა; 4. ღიმილი; 5. რევანში; 6. ოსირისი; 7. აქილევსი; 8. კალევალა; 9. კანდელაბრი; 10. ტატრა; 19. კალასი; 20. ნებიერა; 21. მთა; 22. ნეო; 24. დილეტანტი; 25. წიწილი; 26. ლალიონი; 29. დეა; 30. რინიტი; 31. წამება; 33. ასორტი; 35. ტიუსო; 36. კრედო; 39. რიზე; 40. კასკო; 42. ქარი; 43. ლაკმუსი; 44. ლეონი; 46. რატუშა; 47. ლენოვო; 48. გან; 49. ფიზიკა; 50. ნერონი; 51. თალარი; 53. კოფო; 54. ტოგა.

**მარინადილეგიონიანისულიერიქათიბისიროკოკოლი**
**ნიკელისტიქსილოლიტახომალდინილოსიონიანილინი**

| მწნილი | საჯარისო შენაერთი | ეთერზეთოვანი მცენარე | ძახილი საშველად | ყაჟირი | სტილი არქიტექტურაში | კენედის მკვლელი ... ჰარვი ოსვალდი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სურათი ზღვის ხედით | საპყრობილე ციხე-კოშკში | საზოგადოება „სტალინელის“ ლიდერი | სულდგმული | ქალის ბეწვ-მოვლებული სამოსი | ცხელი ქარი სამხრეთ ევროპაში | სასამსახურო ჯიშის ძაღლი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. პატარა მოშავო თევზი; 8. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (ფრანგ.); 11. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 12. რელიგიური ჯგუფი, განდგომილი გაბატონებული ეკლესიიდან; 13. ოტელოს ეროვნება; 14. კედელში დატანებული ღიობი სარკმლისათვის; 15. აქლემების მწკრივი; 16. ავსტრიელი პოეტი; 17. აჩრდილი; 18. ზიანის მიყენება; 19. კინოს დიდი მოყვარული; 23. დარდი, წუხილი; 25. ტილის კვერცხი; 27. მდინარე საქართველოში; 28. ძაღლის ჯიში; 30. ტბა აფხაზეთში; 32. საკაფი იარაღი; 33. ძველი ბერძენი პოეტი; 34. თეატრალური წარმოდგენა; 37. არგენტინელი ფეხბურთელი; 38. ქართველი მწერალი; 39. ყანწი; 40. მბრუნავი, გასართობი მოწყობილობა პარკებში; 41. ამერიკული თოჯინა; 42. ძველი ქართული მწერლობის ძეგლი „... და დამანა“; 45. ვარსკვლავთმისნობა; 49. ევროპის სახელმწიფო; 52. ფრანგული ყველი; 53. მატერიკი; 55. ქონებრივი დანაკლისი; 56. რუბიკის ცნობილი საგანი; 57. ლამაზკუდიანი ფრინველი; 58. აშშ-ის მსახიობი მამაკაცი; 59. კინოს მოძველებული სახელი.

შვეულად: 1. ტკბილი კარტოფილი; 2. წიაღიდან მადნეულის მომპოვებელი საწარმო; 3. სოფიკო ჭიაურელის როლი ფილმში „ნატვრის ხე“; 4. კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ...“; 5. სამაგიეროს გადახდა დამარცხებულისა; 6. ნილოსის ღმერთი ეგვიპტურ რელიგიაში; 7. ტროას გმირი სუსტი ქუსლით; 8. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი; 9. დიდტოტებიანი შანდალი; 10. ჩეხური ავტო; 19. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 20. შორენას შვილის ნუკრი („დიდოსტატის მარჯვენა“); 21. გორა; 22. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს; 24. რისამე ზერელე მცოდნე, მოყვარული; 25. გველის ნაშიერი; 26. ქართველი მწერალი; 29. გუიმპლენის სატრფო („კაცი, რომელიც იცინის“); 30. სურდო; 31. წვალება; 33. რისამე შერჩეული ნაკრები; 35. ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი; 36. მრწამსი; 39. ქალაქი თურქეთში; 40. გემის დაზღვევა; 42. ატმოსფერული მოვლენა; 43. ქიმიური ინდიკატორი; 44. ფილმი ჟან რენოს მონაწილეობით; 46. მერიის შენობა; 47. კომპიუტერის სახეობა; 48. ქართული გ-ს სახელი; 49. მეცნიერების დარგი; 50. რომის იმპერატორი; 51. ვაზის ხეივანი; 53. მეეტლის ადგილი ეტლში; 54. ძველი რომაელების სამოსი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქიმიური ელემენტი, ლითონი | მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში | რუსი მომღერალი ქალი | დიდი საზღვაო გემი | მდინარე აფრიკაში | მსახიობი ონისე ... | ამერიკელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|

| გამარჯვების ბერძნული ღვთაება | უნგრელი კომპოზიტორი | ორგანული ნივთიერება - გამოიყენება როგორც გამხსნელი | მდინარე ესპანეთში | იტალიელი ექს-ფეხბურთელი | პარფიუმერული ხსნარი | უფერო ზეთოვანი სითხე, გამოიყენება საღებავების დასამზადებლად |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 12 – 18 აგვისტო №34 (1552)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

